ინვალიდობის

ცვლილებისათვის

თეძის თვითორგანიზებისა და

თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე

ინიციატივა ცვლილებისათვის

(
თემის თვითორგანიზებისა
და თანამშრომლობის გამოცდილება
საბჭოთა ოკუპაციამდე
)

სარჩევი

გვ. 5 შესავალი - ინიციატივა ცვლილებისათვის
ანა მარგველაშვილი

თავი პირველი ↳

სოფლის თვითმმართველობა
და თვითორგანიზების გამოცდილება

გვ. 13 სოფლობა — დიანა კაკაშვილი
გვ. 22 გულგულას კომუნა — ირაკლი ხვადაგიანი
გვ. 36 სოფელ ავლევის მოდერნიზაცია — ირაკლი ხვადაგიანი

თავი მეორე ↳

კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივები
და ორგანიზაციები

გვ. 49 სოფელი მაჩხაანი — ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი — თამარ სიხარულიძე
გვ. 60 გურიის სახალხო ბიბლიოთეკა — ირაკლი ხვადაგიანი
გვ. 73 ქალთა გაერთიანებები და მათი საქმიანობა — თამარ სიხარულიძე

თავი მესამე ↳

სამეურნეო ამხანაგობები და კოოპერაცია

გვ. 85 მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“ — დიანა კაკაშვილი
გვ. 94 სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“ — დავით ხვადაგიანი
გვ. 108 სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“ — ირაკლი ხვადაგიანი
გვ. 118 მევენახე-მეღვინეთა გაერთიანებები — პაატა ალავერდაშვილი

ინიციატივა ცვლილებისათვის

[ანა მარგველაშვილი]

თვითმმართველობისა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების საკითხებზე, თემის მობილიზებაზე მომუშავე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუშაობის პროცესში ხშირად აწყდებიან ერთნაირ პრობლემებს. ეს უკავშირდება თემის პასიურობას, ადგილობრივი ინიციატივის ნაკლებობას, ერთგვარ უნდობლობას საზოგადოებრივი პროცესების მიმართ, ადგილობრივი დემოკრატიის სისუსტეს. ხშირია დისკუსია იმის შესახებ, რომ საჭიროა სოფლად თუ ქალაქებში მაცხოვრებლების გააქტიურება, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის ფორმირება და ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში მოქალაქეების ჩართულობა, სასოფლო ინიციატივა და უფრო ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა.

რეგიონებში მომუშავე სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოხალისეები, ასევე ხშირად აღნიშნავენ საზოგადოებრივ და სოფლის კეთილდღეობისთვის მიმართულ პროცესებში სოფლის მოსახლეობის ჩართულობის, ზოგადად, სამოქალაქო მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელს. თითქმის შეუძლებელია მნიშვნელოვან პრობლემებზე სოფლის კრების მოწვევა. ხშირად საუბნო კრების ჩატარებაც კი მეტად პრობლემატურია.

პრობლემა არა მარტო სასოფლო კრების შეკრება და სოფლის საერთო საკითხების მიმართ მოსახლეობის დაბალი ინტერესია, არამედ, ზოგადად, რაიმე ტიპის გაერთიანება, ინტერესთა ჯგუფების ფორმირება სხვადასხვა იდეის გარშემო: იქნება ეს სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვა, საუბნო საბჭო, ფერმერთა

გაერთიანება, კოოპერატივი თუ მოყვარულთა დრამატული წრე. შეხვედრის დროს ხშირად მოგვისმენია მოსაზრება, რომ სამოქალაქო მონაწილეობა, თემის ჩამოყალიბება, და საზოგადოებრივ პროცესებში აქტიური მონაწილეობა არ არის ქართული კულტურის ნაწილი.

ამ ვითარებას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: სოციალური პრობლემები, როცა ყოველდღიური გადარჩენისთვის ბრძოლის პროცესში საერთო საქმის განცდა და მნიშვნელობა სუსტდება და ამის შედეგად იკარგება საჯარო სივრცის აღქმა. ასევე, პოსტსაბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნაკლები ინიციატივა, რადგან წლების მანძილზე ისმოდა ერთგვარი გაფრთხილება „ინიციატივა დასჯადია“ და სხვა;

თუმცა, სიმართლეს არ შეეფერება, რომ საქართველოში, თემს არასოდეს შეეძლო მობილიზება, რომ არ არსებობდა ადგილობრივი ინიციატივები, ვერ ხერხდებოდა სოფლის პრობლემების გარშემო გაერთიანება, შრომითი და სამეურნეო კავშირების, ამხანაგობების ფორმირება, საზოგადოებრივ-კულტურული გაერთიანებების შექმნა, რომ აქტიური მოქალაქეობა და ჩართულობა ჩვენი კულტურის ნაწილი არ არის. საბჭოთა ოკუპაციამდე (1921 წ.) საქართველოში ამგვარი გაერთიანების, თვითორგანიზების, მობილიზაციის, ინტერესთა ჯგუფების ფორმირების არაერთი მაგალითი არსებობდა. საბჭოთა მმართველობის 70 წელი საკმარისი აღმოჩნდა 1921 წლამდე ჩანასახში არსებული ადგილობრივი დემოკრატიისა და გამოცდილების, თვითორგანიზების კარგი მაგალითების დასავიწყებლად.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი დისკუსიის ინიცირება თემის აქტიურობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და თვითორგანიზების, ადგილობრივი ინიციატივის მნიშვნელობის შესახებ. ამიტომ, საჭიროდ მივიჩნიეთ ისტორიული მაგალითების კვლევა და საზოგადოებისათვის გაცნობა.

პუბლიკაცია „ინიციატივა ცვლილებებისათვის“ შეიქმნა წარსულში არსებული სათემო ინიციატივების კვლევის შედეგად.

აქ წარმოჩენილია ათი თემატური, ისტორიული მაგალითი, მოვლენა; აღსანიშნავია, რომ ამ მაგალითებში ნათლად იკვეთება, თვითმმართველობის ჩანასახები და ადრეული ეტაპების ნიშნებიც. იმავდროულად, ჩანს ის პრობლემები და დაბრკოლებები, რომლებიც იმუამინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობის გამო ხელს უშლიდა ამგვარი ინიციატივების განვითარებასა და გაფართოებას. მკითხველი ნათლად დაინახავს პარალელებს დღევანდელ ვითარებასთან, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი მაგალითები ხშირად ასი და მეტი წლის წინანდელ პროცესებს ასახავს.

აღწერილი ისტორიული მაგალითები რამდენიმე ძირითად მიმართულებად ჯგუფდება:

სოფლის თვითმმართველობა და თვითორგანიზების გამოცდილება

აღნიშნულ თავში გაერთიანებულია საქართველოს სხვადასხვა სოფელში, სათემო თუ პირადი ინიციატივის შედეგად განვითარებული საზოგადოებრივი პროცესები და მათი პოზიტიური გავლენა მთლიანად სოფლის ცხოვრებაზე. აქ ნათლად ჩანს, თუ რამხელა გავლენის მოხდენა შეუძლია საერთო სასოფლო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე თემის, ინტერესთა ჯგუფების მობილიზებასა თუ ცალკეული პიროვნების ინიციატივას. თქვენ გაეცნობით სოფელ ტიბაანში, სოფლის თვითმმართველობის ე.წ. სოფლის ყრილობის მუშაობასა და ზოგადად თვითმმართველობის სასოფლო დონის გამოცდილებას საქართველოში; ასევე სოფელ გულგულასა და ავლევში ერთი ადამიანის ინიციატივით დაწყებულ პროცესებსა და მათ პოზიტიურ გავლენას სოფლის ცხოვრებაზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივები და ორგანიზაციები

მეორე თავი აერთიანებს კულტურისა და განათლების სფეროში ინტერესთა ჯგუფების მუშაობას, სასოფლო თუ ეროვნულ დონეზე მიმდინარე თვითორგანიზების პროცესებს, სხვადასხვა კავშირის საქმიანობას. მაგ., სოფელ ქვემო მაჩხაანში XIX საუკუნის დამლევს განვითარებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროცესებს და სოფლის აქტიური ცხოვრების მაგალითს; ასევე XX საუკუნის დასაწყისში და 10-იან წლებში ქალთა ორგანიზაციების, გაერთიანებების საქმიანობასა და მიზნებს, სახალხო განათლების მნიშვნელობასა და ამ კუთხით (განათლება და წიგნიერება) ცალკეული ჯგუფებისა და კერძო პირების აქტიურობას გურიაში.

სამეურნეო გაერთიანებები, კოოპერაცია და ამხანაგობები

იმ პერიოდის საქართველოში საკმაოდ კარგად ვითარდებოდა სამეურნეო გაერთიანებები, ამხანაგობები და კოოპერატივები. დაუზუსტებელი ინფორმაციით 1921 წლისათვის საქართველოში 900-მდე კოოპერატივი მოქმედებდა, რომელიც მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებდა.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია რამდენიმე ამახანაგობის საქმიანობა, როგორც თანამშრომლობის, ინტერესთა გაერთიანების მაგალითი; საქართველოში დღესაც აქტუალურია კოოპერატივებისა და, ზოგადად, შრომითი გაერთიანებების საკითხი. სოფლად მაცხოვრებელ გლეხთა დიდი ნაწილი მცირემიწიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომის შედეგად მიღებული მოგება ოჯახისათვის საკმარისი არ არის და სამეურნეო ძალთა გაერთიანება ამ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი გზაა.

2013 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. არსებული ორგანიზაც-

იულ-სამართლებრივი ფორმის მიმართ უნდობლობა დღესაც გვხვდება და ამ მხრივ მნიშვნელოვანია ისტორიული მეხსიერების წინ წამოწევა და იმის გააზრება, რომ მსგავსი სამეურნეო ფორმები საქართველოში საკმაოდ პოპულარული იყო; მიუხედავად მათ წინაშე მდგარი არაერთი გამოწვევისა და პრობლემისა, მათ იმ პერიოდის ეკონომიკურ ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ;

ეს მაგალითები გვაჩვენებს, რომ არა საბჭოთა ოკუპაცია, ჩვენი ქვეყანა, რთული, მაგრამ დინამიკური და დემოკრატიული განვითარების პროცესში იყო ჩართული.

მასალის თემატურ თავებად დაყოფა პირობითია. საბოლოოდ, თითოეული მაგალითი ინიციატივის, ჩართულობისა და თანამშრომლობის პოზიტიურ გამოცდილებას აღწერს და ერთ მიზანს ემსახურება: დაინტერესებულ საზოგადოებას გავაცნოთ ის ისტორიული გამოცდილება, რაც 1921 წლამდე საქართველოში არსებობდა თემის მობილიზაციისა და სამოქალაქო აქტიურობის მიმართულებით.

როგორც აღინიშნა, წარმოდგენილი გამოცემა ათ ისტორიულ მაგალითს აღწერს; ისტორიული ამბები პროექტში ჩართულმა მკვლევარებმა, მოიძიეს სხვადასხვა არქივში დაცული მასალის დამუშავების, ძველი პერიოდული გამოცემებისა და ზეპირი ისტორიების შეგროვება-ანალიზის მეშვეობით.

ჩვენი მკვლევართა გუნდი აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას: ვეძებთ 1921 წლამდე საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში სამოქალაქო სოლიდარობის, ერთიანობისა და თემის თვითორგანიზების მაგალითებს. თუ ფლობთ ან შეკრებთ თქვენს სოფელში მსგავს ისტორიულ მაგალითებს, დაგვიკავშირდით და ერთად შევავსოთ დაწყებული კვლევა.

1

სოფლის თვითმმართველობა და თვითორგანიზების გამოცდილება

სოფლობა

[დიანა კაკაშვილი]

სოფლობის არსი და მნიშვნელობა

სოფლობა ეწოდებოდა სოფლის ყრილობას, რომელიც როგორც სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში, ისე სხვა სოფლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით რეგულარულად იმართებოდა 1918 წლამდე, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე (ვინაიდან 1919 წელს ჩატარდა არჩევნები და ადმინისტრაციული მოწყობის ახალი პრინციპი ამოქმედდა). ისტორიული წყაროების თანახმად, იგი სათავეს იღებს მას შემდეგ (1865 წლიდან), რაც გატარდა საგლეხო რეფორმა (გლეხთა გათავისუფლება მებატონეებისაგან და მათი უფლებების განსაზღვრა) და მოხდა სოფლის მმართველობის რეორგანიზაცია: „1865 წლის 11 აპრილს მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა დაამტკიცა სათანადო დებულება, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი“.[1] სოფლის ყრილობის ამავე სახელწოდებით – სოფლობა – ფუნქციონირება დადასტურებულია რაჭაში (სოფ. ღები და სორი), სვანეთში,[2] გურიაში, იმერეთსა და ქართლში, ცალკეული სამეცნიერო კვლევებითა თუ პერიოდულ გამოცემებში თავმოყრილი მასალით. თუმცა ყველა ეს მონაცემი ერთობ ფრაგმენტულია და არ ასახავს ერთიან, სრულ სურათს. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ყრილობათა რაობის, მუშაობის მექანიზმებისა და პრინციპების

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5. გვ. 304.

2 გ. ჩიქოვანი „სანახშო“ და „სოფლობა“ რაჭაში. „საისტორიო კრებული“, თბ.1976.

შესახებ, უმთავრესად სოფელ ტიბაანის (სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში) მაგალითზე დაყრდნობით.

სოფლობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები და ცნობები

„სოფლობის“ შესახებ არსებული ინფორმაცია, ისტორიები ცოცხლად არის შემორჩენილი ტიბაანში. ქვემოთ მოცემული თხრობა აქ გამართული ყრილობების შესახებ, ძირითადად ეფუძნება ზეპირ ისტორიებსა და სოფელში არსებულ მეხსიერებას, ასევე ადგილობრივი მოსახლის, ისტორიის პედაგოგის, შალვა გურაშვილის ჩანაწერებს (გასული საუკუნის 80-იანი წლები), რომელშიც მოცემულია იმ ადამიანთა მონათხრობი, რომელთა ბავშვობაშიც ჯერ კიდევ ტარდებოდა აღნიშნული კრებები. დღესაც სოფლის ყველა მაცხოვრებელს შეუძლია იმ ადგილის მითითება, სადაც „სოფლობა“ იმართებოდა. ასევე კარგად ახსოვთ კრების ბოლო მდივანი – კოტე ალავერდაშვილი, რომელსაც თანასოფლელები კოტე მწერალს ეძახდნენ. „აქ, სოფლის ცენტრში, დიმიტრი ბეჟანიშვილის სახლის გვერდით, იდგა სამი აკაკის ხე (ერთი ახლაც დგას), რომლის ჩრდილშიც თავის მოყრა უყვარდათ სოფლის მამაკაცებს თავისუფალ დროს. აქვე იყო სავაჭრო დუქნები, სამიკიტნო და სამჭედლო. თავშეყრილი ხალხი, ხეების ჩრდილში ჩამომსხდარნი, ისმენდნენ ყრილობის მსვლელობას“ – იხსენებენ ადგილობრივები.

სოფლის ყრილობების საზოგადო მნიშვნელობის, მისი ფუნქციონირების პრინციპსა და მექანიზმებზე XIX-XX საუკუნეების პერიოდული გამოცემებიც მოგვითხრობს: „სახალხო გაზეთი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.

„კანონით ნება დართული სოფლის ერთათ შეკრება თავის ჭირ-ვარამზედ მოსალაპარაკებლათ, ერთი საუკეთესო მუხლია მეცხრამეტე საუკუნის კანონ-მდებლობისა... რა იქნება ამაზედ კარგი, კვირა უქმე დღეს შეიკრიბოს ერთათ სოფელი, გაუზიარონ ერთმანეთს ჭირ-ვარამი, სხვა და სხვა აზრის

მოსმენით იპოვონ გზა, რომელიც სოფელს წაიყვანს საუკეთესო მომავლისაკენ. ნათქვამია ერთის ჭკუა კარგია, ორისა კი – სჯობიაო. ცხოვრება გართულდა, მეტს უნარს და დაკვირვებას ითხოვს. ამისთვის დროა და დიდათ საჭიროა, ჩვენმა სოფლებმაც თავის საქმეები საზოგადო ყრილობაზედ დინჯის მოფიქრებით და მსჯელობით აწარმოვოს“ – ვკითხულობთ „სახალხო გაზეთში”.[3]

აღნიშნულ საკითხზე თავის მოგონებებში საუბრობს ისიდორე რამიშვილი.[4] ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულ რეალიებთან ერთად, იგი იხსენებს როგორ ემცნო საზოგადოებას (გურიაში) პირველად სოფლის თვითმმართველობის ჩამოყალიბების შესახებ. ახლადდანიშნული მაზრის უფროსი თავადი ანტონ ნაკაშიძე ჩადის სოფ. სურებში და ხალხს მიმართავს სიტყვით: „მოწყალე ხელმწიფემ ნება გიბოძათ, აირჩიოთ თქვენი სოფლის მოხელე პირები, პირველ ყოვლისა მამასახლისი, მერე მისი თანაშემწე, სამი „პოპოშნიკი“ და, აგრეთვე, სამი მოსამართლე – „სუდია“. მამასახლისი ჩემს მაგიერი იქნება თქვენს, სურების საზოგადოებაშინ – განმარტა ანტონ ნაკაშიძემ „სუდიების“ დანიშნულება, მოვალეობა, ხალხი არჩევნებისათვის დაითხოვა და თვით სახლში შეტრიალდან.[5] დადებით პიროვნებად და მზრუნველ მოხელედ იხსენებს იგი პირველ მამასახლისს მოსე მამუკას ძე რამიშვილს, რომლის თაოსნობითაც განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი საქმე სურებში, მათ შორის სოფელში მისასვლელი საცალფეხო და მეტად საშიში ბილიკის ნაცვლად, გაკეთდა საცხენოსნო შარაგზა, რასაც ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა. ეს გზა იმდენად სახიფათო ყოფილა, რომ მგზავრები ხშირად იღუპებოდნენ კიდეც.

---

3 „სახალხო გაზეთი“; 1909 წ. სტატიის ავტორი ფსევდონიმით – „ბევრჯელ სოფლის ყრილობაზედ დამსწრე“.

4 ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი (1859-1937).

5 რამიშვილი ისიდორე „მოგონებები“; გვ.125. გამომცემლობა არტანუჯი, 2012.

ყრილობის ფუნქციონირების მექანიზმები და პრინციპები

ზემოთხსენებული დებულების მიხედვით, სოფლის ყრილობა მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა, აღმასრულებელი ხელისუფალი მამასახლისი იყო. საზოგადოებრივი მმართველობის ფუნქციები მოიცავდა როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული საქმეების მოგვარებას. ამგვარად, სოფლის ყრილობა – „სოფლობა“ – შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც თვითმმართველობის საწყისი სოფლად, რადგან, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მანამდე სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

კრება წინასწარ გაწერილი განრიგით არ იკრიბებოდა. საჭიროების შემთხვევაში (მხოლოდ საზოგადო, საერთო პრობლემების გადასაჭრელად). ამის ინიციატორი შეიძლება ყოფილიყო მთელი სოფელი ან მამასახლისი. იმისათვის, რომ ყველა მაცხოვრებელი ყოფილიყო ინფორმირებული და მაქსიმალურად ჩართული, გზირი კარდაკარ ჩამოვლით აფრთხილებდა მათ. ხაზი უნდა გაესვას შეკრების საყოველთაობას – დაკანონებული იყო, რომ ყველა ოჯახიდან ერთი ადამიანი მაინც უნდა დასწრებოდა ყრილობას (მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ ქალებსა და არასრულწლოვან მამაკაცებს) და დადგენილება მხოლოდ მაშინ ითვლებოდა კანონიერად, თუ მას ესწრებოდა სოფლის მოსახლეობის ნახევარი მაინც. საკითხი წყდებოდა ხმების უმრავლესობით. კრების ხელმძღვანელი მამასახლისი იყო. იწერებოდა ოქმიც. თავად მამასახლისსაც ყრილობა ირჩევდა (ყოველმხრივ დადებითად იხსენებს ხალხი გიგა ლათიბაშვილს, რომელიც წლების განმავლობაში იყო სოფელ ტიბაანის მამასახლისი.

უკანასკნელად, სულ ერთი კვირით, ეს თანამდებობა გრიგოლ პაპალაშვილს ეკავა. ტიბაანელების თქმით, მამასახლისი XX საუკუნის 30-იან წლებამდე ჰყავდათ. მისი მოღვაწეობის ხანგრძლივობაც საქმის კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულებაზე იყო დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ მა-

მასახლისი მთავრობისგან გასამრჯელოს არ იღებდა. მას ჰქონდა ბეჭედი, რომელსაც მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და გაცემულ ცნობებს უსვამდა ხოლმე, რაშიც გლეხებისგან მცირე საზღაურს იღებდა.

რადგან კრება წყვეტდა როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციულ საკითხებს, განსახილველი თემებიც მრავალფეროვანი იყო: ხვნის, თესვის, მკისა და რთველის დაწყების თარიღი, სოფლის კეთილმოწყობა და წესრიგის დაცვა, ხიდების აშენება, გზების გაყვანა და შეკეთება, ობლად დარჩენილი ბავშვების მოვლა-პატრონობა, გადასახადების გაწერისა და აკრეფის საკითხებიც. მოსავლის აღება ყველას ერთად უნდა დაეწყო და ერთმანეთს დახმარებოდნენ. სანამ კარგად არ დამწიფდებოდა ყურძენი, დადგენილ თარიღამდე არავის უნდა დაეკრიფა. ტიბაანელები იხსენებენ, რომ ერთხელ ერთმა გლეხმა, ნიკა ხატიაშვილმა, დათქმულ დროზე ადრე დაკრიფა ყურძენი, რასაც დიდი აურზაური და შეხლა-შემოხლა მოჰყვა. შალვა გურაშვილის ჩანაწერებში ვკითხულობთ – „ყრილობა იხილავდა ისეთ საკითხებსაც, რომელსაც მეფის მოხელენი ყურადღებას არ აქცევდნენ და არც აინტერესებდათ, მაგ., სოფლის კეთილმოწყობა და წესრიგის დაცვა“. ამგვარად, ეს საკითხები მთლიანად სოფლის ინიციატივითა და საერთო ძალისხმევით გვარდებოდა.

ტიბაანის ყრილობის ოქმების მოკვლევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, თუმცა, ქვემოთ მოგვყავს ქართლში (სოფელ ბიწმენდისა და სოფელ ჯიღაურის) ჩატარებული კრების ოქმიდან რამდენიმე პუნქტი [„ივერია“ 1905 წ. #43], რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მსგავსი ყრილობების დადგენილებათა შესახებ:

„სოფელი ბიწმენდი (დუშეთის მაზრა). ამ სოფლისა და ჯიღაურის სოფლის მცხოვრებნი 25 მარტს ერთად შეიკრიბნენ, მოილაპარაკეს თავიანთ საჭიროებაზე და შემდეგი დაადგინეს:

1) რადგანაც სოფელი ბიწმენდი სახნავ-სათესისა და საძოვრის სიმცირით ძალიან შევიწროებულია, ამიტომ უკან დაუბრუნონ

სოფელს ის მამულები, რომლებიც დაისაკუთრეს მეზობელ-
-სოფლების თავად-აზნაურებმა. ამასთან, რაც სახაზინო მამ-
ულებია, სოფლის საკუთრებად ჩაითვალოს (ტყე, სახნავი და
საძოვარი), და გლეხების სასარგებლო გახდეს.

2) მთავრობისაგან დაყენებული მამასახლისი არ არის სას-
ურველი და ამიტომ ყოველ სოფელს თავისი ამორჩეული
კაცები უნდა ჰყავდეს, რომელიც სოფლის საქმეებს განაგებს
უსასყიდლოდ.

3) მღვდელს იმის გარდა რომ ჯამაგირი ეძლევა, გასამ-
რჯელოდ მიეცეს: წინ გასაძღოლი მიცვალებულზე – 1 მან.,
სამკვდრო – 2 მან., ჯვრის საწერი – 3 მან., ხოლო სახლის
გასანათლი და ბავშვის მონათვლაში გლეხებმა ფასი არ
უნდა გაიღონ. წირვა-ლოცვა სუყველგან, საცა ქართველებია,
ქართულ ენაზე უნდა იყოს.

4) ვისაც წლიურად 500 მანეთზე მეტი შემოსავალი არა აქვს,
სახელმწიფო გადასახადი არ უნდა გადაიხადოს.

5) ჩვენგან გაწვეული სალდათები კავკასიის გარედ არ უნდა
წაიყვანონ. ამასთან შემცირდეს სამსახურის ვადა 4 წლიდან 2
წლამდის.

6) სკოლები გაიმართოს სახელმწიფოს ხარჯით. სწავლება
უნდა იყოს ქართულ ენაზე და სავალდებულო 16 წლამდის
ყველასთვის, განურჩევლად სქესისა და სხვ.

ქიზიყელი გლეხები მიწის გადასახადს სახელმწიფოს უხდი-
დნენ. ამას ისინი „ფოშტის ფულს“ ეძახდნენ. სახელმწიფო
სოფლისთვის, მიწის ფართობის მიხედვით, მთლიან გადასა-
ხადს ადგენდა, შემდეგ ამის შესახებ ყრილობა თათბირობდა.
ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს გადასახადისაგან ათავ-
ისუფლებდნენ სრულად. კრება ირჩევდა თორმეტი კაცისაგან
შემდგარ კომისიას, რომელიც მთლიან თანხას ანაწილებდა
ცალკეულ ოჯახებზე, მათი შესაძლებლობისა და სარგებ-
ლობაში მყოფი მიწის ნაკვეთის მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ კრებასვე ევალებოდა თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი, რაც ამცირებდა საჯარო ძალაუფლების პირადი სარგებლისათვის გამოყენების საშუალებას, ანდა უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებს.

ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში, ყრილობა ითავსებდა სასამართლოს ფუნქციასაც: წყვეტდა ნაკლებად მძიმე დანაშაულებების საკითხს, რომელიც მოიცავდა სამოქალაქო სამართლის სფეროს. სასჯელად გამოჰქონდათ როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ასევე მცირე ფულადი ჯარიმები. მოსამართლეებსაც სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა ირჩევდა სამი წლის ვადით, მამასახლისს კი აკრძალული ჰქონდა მათ საქმიანობაში ჩარევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სოფლობის“ იმ ფორმის წინაპარი, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე ფუნქციონირებდა, უნდა ყოფილიყო საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში არსებული საზოგადოებრივი კრებები. მაგ., ხევსურეთში საფიხვნო და ფეხნობა, თუშეთში – საანჯმო, დაღესტანში – ჯამაათი, ოსეთში – ნიხასი და სხვ.[6]

ამგვარად, სოფლის ყრილობა წარმოადგენდა თემის თვითორგანიზების ერთ-ერთ კარგ მაგალითს, დამყარებულს მმართველობის ისეთ პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართულობას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, საზოგადოებრივ საჭიროებებსა და საერთო ინტერესებზე ორიენტირებულობას. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მყარ საფუძველს. გადაჭარბებული იქნება იმის თქმა, რომ აღნიშნული საზოგადოებრივი მმართველობა უნაკლოდ და უპრობლემოდ მუშაობდა. ხშირად ჩიოდნენ ყრილობის უწესრიგობისა და ხარვეზების გამო: „წესიერი და დინჯი მსჯელობა კი არ არის, საშინელი ღრიანცელია, სადაც

6 გ. ჩიქოვანი „სანახშო“ და „სოფლობა“ რაჭაში. „საისტორიო კრებული“. თბ.1976.

ყურთასმენა აღარ არის. რიგზედ ნათქვამს კი არ უგდებს ყურს სოფელი, ყველა თავისას ყვირის“.[7] თუმცა, როგორც ჩანს, ამის მიუხედავად, კრება ახერხებდა ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებზე კონცენტრირებასა და მუშაობის წარმართვას.

>>

7 „სახალხო გაზეთი“; 1909 წ.

№ 10 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

საგალობელი

ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ

[illegible]

ᲯᲔᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:
ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲘᲛᲔᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 2 ᲙᲐᲞ.
ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 75 ᲙᲐᲞ.

[illegible]

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 1909 წ. ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

ᲥᲐᲗᲐᲕᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲙᲣᲠᲝᲜᲘ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 1909 წ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ. ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ 8 ᲞᲘᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ:
ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲚᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲜᲐ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐᲢᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

(ᲬᲐᲛᲔᲑᲐ ᲭᲘᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐ).

ᲓᲠᲐᲛ. 5 ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡᲐ.

ᲛᲐᲜᲬᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔ ᲓᲦᲔ.
ᲙᲐᲛᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ: ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ.
ᲓᲐᲓᲐᲣᲯᲝᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ.
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲐᲚᲘ Გ. ᲛᲔᲜᲐᲠᲘ.
ᲓᲠᲐᲛ. ᲗᲐᲜ.ᲛᲝᲜ. ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲘᲐ.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲕᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲑᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲭᲘᲜᲬᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲮᲚᲘ № 7, „ᲐᲯᲔᲢᲘᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 590.

ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ:

ᲓᲐᲚᲐᲠᲒᲘᲗᲘᲡᲘ Დ. Ე. ᲨᲘᲜ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡ. 2—3½ Ს.
ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ Დ. Ე.: ᲨᲘᲜ. ᲓᲐ ᲑᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ. 10½—11 Ს.
ᲒᲔᲓᲔᲒᲘᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ Დ. Ო. ᲛᲝᲠ. ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲐᲨᲘ, ᲛᲝᲠᲩ., ᲓᲐ ᲞᲐᲠ. 10½—11 Ს.
ᲒᲣᲠᲯᲘᲐᲜᲘ Დ. Შ. ᲛᲝᲠᲩ. 11—12 Ს.
ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ Დ. Ა. ᲛᲝᲠ. ᲓᲐ ᲞᲐᲠ. 2½—3½ Ს.
ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ Დ. Ა. ᲛᲝᲠ. ᲓᲐ ᲞᲐᲠ. 10½—11 Ს.
ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ Დ. Ა. ᲛᲝᲠ. ᲓᲐ ᲞᲐᲠ. 1—2 Ს.
ᲓᲔᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ Დ. ᲛᲝᲠ. ᲓᲐ ᲞᲐᲠ. 11—12 Ს.
ᲓᲔᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ Დ. ᲛᲝᲠ. ᲓᲐ ᲞᲐᲠ. 2½—3½ Ს.
ᲓᲔᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ Დ. ᲛᲝᲠ. ᲓᲐ ᲞᲐᲠ. 10½—11 Ს.
**ᲓᲔᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ Დ

გულგულას კომუნა

[ირაკლი ხვადაგიანი]

სოფელ გულგულას კომუნა

XIX საუკუნის ბოლოს მეფის რუსეთის რეჟიმს სხვადასხვა არალეგალური ჯგუფები, რევოლუციური ორგანიზაციები და სახალხო მოძრაობები ებრძოდნენ. პარალელურად, მოსახლეობაში თვითმმართველობის განვითარებისთვის საჭირო ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ცოდნას ავრცელებდნენ. ცხოვრების ახლებური მოწყობის იდეა ხშირად რიტორიკის დონეზე რჩებოდა. თუმცა რეჟიმის პირობებში, დევნის მიუხედავად, მცდელობა მაინც იყო.

ასეთი მცდელობა ჰქონდა ლევ ტოლსტოის ფილოსოფიური შეხედულებების მიმდევართა მოძრაობას (XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში); პაციფისტური იდეის მქონე „ტოლსტოველთა“ გაერთიანებები კოლონიებს აარსებდნენ და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს აყალიბებდნენ, რომელთაც კომუნის ხასიათი ჰქონდათ. მოძრაობის მშვიდობიანი და აპოლიტიკური ხასიათის მიუხედავად, მეფის ხელისუფლებამ ტოლსტოველთა შევიწროვება დაიწყო, რის გამოც ბევრმა კომუნამ არსებობა შეწყვიტა და წევრები მასობრივად გადასახლდნენ იმპერიის საზღვრებიდან, თუმცა, ბევრმა კოლონიამ ზეწოლას გაუძლო და 1930-იან წლებამდე არსებობდა. საბჭოთა რეჟიმის ძალდატანებითი „კოლექტივიზაციის“ დროს ისინი საბოლოოდ დაიშალა და ლიდერთა და წევრთა ნაწილი ფიზიკურად განადგურდა.

საქართველოში ტოლსტოველთა იდეის განხორციელების

პრეცენდენტი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში – თელავის მაზრის სოფელ გულგულაში, რომელმაც მცირეხნიანი არსებობის მიუხედავად, თანამედროვე საზოგადოების დიდი ყურადღება და სიმპათია დაიმსახურა.

კომუნის დაარსების ინიციატორი ივანე კოლელიშვილი

გულგულაში (რომელიც ქალაქ თელავიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული) სოფლის განვითარებისათვის საჭირო საქმის ინიციატორი, მოგვიანებით კი კომუნის ორგანიზატორი იყო ადგილობრივი მემამულე, ყოფილი „გუბერნსკი სეკრეტარი“, ივანე თევდორეს ძე კოლელიშვილი (1862 წელს დაბადებული). მან თელავის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ უმაღლესი განათლება საფრანგეთში[1] მიიღო და ლევ ტოლსტოის ფილოსოფიის მიმდევარი იყო; თანამედროვეთა გადმოცემით, იყო ძალზე პრაქტიკული, უბრალო ცხოვრების წესის დამცველი, პრინციპული და გამბედავი პიროვნება, ასევე მკაცრი ვეგეტარიანელი – იკვებებოდა მხოლოდ ხილითა და ხორბლის მარცვლით.[2]

ფილოსოფიური შეხედულებების კვალდაკვალ, ივანე კოლელიშვილის პოლიტიკური სიმპათიები უფრო ახლად დაარსებული საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მხარეს იყო; იგი დიდ პატივს სცემდა პარტიის ლიდერს არჩილ ჯორჯაძეს და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პარტიის სხვა ლიდერებთან; განსაკუთრებით, თანამოაზრე, ასევე ტოლსტოველ ილია ნაკაშიძესთან.

---

1 მეორე ვერსიით შვეიცარიაში.

2 ივანე ვეგეტარიანობის გამო სკეპტიკურად იყო განწყობილი ღვინის კულტურის მიმართ, რამდენადაც ალკოჰოლი ყოველგვარი პრობლემის და ტრაგედიების წყაროდ მიაჩნდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მევენახეობა კახეთში მთავარი კულტურა იყო და გლეხებს მეურნეობის განვითარების ალტერნატივა არ გააჩნდათ, იგი ბეჯითად ეძებდა ამ დარგის გაძლიერების გზებს. თანამედროვეთა მოგონებებით, მას ასევე საინტერესო ჩვევები ჰქონდა: ყოველთვის ამჯობინებდა ფეხით სიარულს; ჩვევად ჰქონდა საკუთარი აზრები და შენიშვნები კედლებზე მიეწერა და მისი სახლი, თელავში, ჭადრის ქუჩაზე, აჭრელებული იყო ჩანაწერებით.

1890-იან წლებში, სოფლის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, თანასოფლელების ორგანიზებით, მან დააყენა საერთო სასოფლო მარანი-სარდაფის მოწყობის იდეა, სადაც გლეხები დააგროვებდნენ ზედმეტი მოსავლისაგან დაყენებულ ღვინოს და მისი რეალიზაციის შემდეგ მიღებულ ფულს შენატანის პროპორციულად გაინაწილებდნენ, ან საერთო საქმის განვითარებას მოახმარდნენ. იდეის არსი, წვრილი და გაფანტული გლეხური მეურნეობების პოტენციალის მობილიზება იყო. რამდენადაც, თუკი სოფელი მოახერხებდა ღვინის გასაღებაზე ერთიანი კონტროლის აღებას, ეს შეასუსტებდა შუამავალი ვაჭრების როლს და მეურნეობის მოგებას გაზრდიდა, რაც ხელს შეუწყობდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. იდეის მხარდამჭერთა საკმაო რაოდენობის მიუხედავად, იგი ვერ განხორციელდა – მთავარი პრობლემა დიდი მარნის მშენებლობისთვის საჭირო ფულის არარსებობა იყო – ივანე კოლელიშვილის შუამდგომლობა მიწათმოქმედების სამინისტროსთან სესხის გამოყოფაზე უპასუხოდ დარჩა და ღვინის „კომუნალური მეურნეობის“ ამოქმედების იდეა ჩაიშალა.

ამავე პერიოდში ივანე კოლელიშვილი, პრესაში თანამშრომლობით, ხელს უწყობდა საკუთარი უფლებების მიმართულებით გლეხების განათლებას. თარგმნიდა ქართულად და განმარტავდა სოფლის მეურნეობის შესახებ არსებულ კანონმდებლობას. უპირისპირდებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების თვითნებობას.

ამ დროს ივანე თელავის მაზრის სახელმწიფო ტყეების უფროს მეტყევედ მუშაობდა, თუმცა გლეხთა შორის აქტიური მუშაობის, ავტორიტეტისა და თავისუფალი აზროვნების გამო, ხელისუფლებამ მისი შევიწროება დაიწყო. სამუშაოდ ახალციხეში გადაყვანა დაუპირა, რის გამოც მან სამსახური დატოვა და მთლიანად თავის მეურნეობაში დაფუძნდა.

კომუნის ჩამოყალიბება

ივანე კოლელიშვილი თანამოაზრეებთან ერთად გლეხების საწარმოო ძალების გაერთიანებისათვის მუშაობას არ წყვეტდა. მათი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის ხელსაყრელი დრო 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის[3] დროს დადგა. კავკასია, მათ შორის თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, რევოლუციური გამოსვლების აქტიურ კერად იქცა; ზოგიერთ ქალაქსა და მაზრაში რევოლუციონერებმა მოახერხეს ადმინისტრაციის დაშლა და ძალაუფლების ხელში აღება. ზოგან ეს პროცესი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მმართველობა ახალ, ადგილობრივ, დემოკრატიული და რევოლუციური გზით დაკომპლექტებულ ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ მინდობილი.

1905-1906 წლების განმავლობაში ივანე კოლელიშვილი მხარდამჭერებთან ერთად საიდუმლოდ მოქმედებდა; მასთან ფარულად ჩადიოდნენ თანამოაზრეები და მეგობრები სხვადასხვა პროვინციიდან და მოლაპარაკებებს მართავდნენ. 1906 წლის 8 იანვარს (ძველი სტილით) გულგულაში მოეწყო სოფლის ყრილობა, სადაც ივანე კოლელიშვილმა განაცხადა კომუნის დაარსების შესახებ და გლეხებს მოუწოდა შეერთებოდნენ ამ წამოწყებას. ყრილობას ესწრებოდნენ ცნობილი და ავტორიტეტული სახალხო განმანათლებელი ივანე როსტომაშვილი და ჟურნალისტი ივანე პაატაშვილი. ივანე კოლელიშვილის სიტყვა-მოწოდებაში მოკლედ იყო წარმოდგენილი კომუნის არსი და მიზანი, რასაც მანამდე თვეების მანძილზე ფარულ შეხვედრებზე განუმარტავდა თანასოფლელებს:

„ძმებო და ამხანაგებო! გაჭირვება თქვენი დიდია, მდგომარეო-

---

3 პოლიტკური და სოციალური საპროტესტო მოძრაობის კულმინაცია რუსეთის იმპერიაში; საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების მცდელობა გაფიცვების, შეიარაღებული აჯანყების და მასობრივი საპროტესო მოძრაობის გზით მეფის „თვითმპყრობელური რეჟიმის“ დამხობის და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად, რომელიც ძალის გამოყენებით ჩაახშო მეფის ხელისუფლებამ.

ბა თქვენი აუტანელია. თქვენთვის არ არსებობს არც თბილი სადგომი, არც კარგი სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი, არც მოსვენება, არც ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. მუდამ დღე მუშაობთ, სისხლის ოფლსა ღვრით და თქვენი თავისთვის კი ვერა მიგიცხიათ რა. ბევრის აუტანელის მუშაობით და ძაღლურის ცხოვრებით სიცოცხლეს იმოკლებთ, ავად ხდებით და თქვენი მომხედავი კი არავინ არის. აბა შეხედეთ თქვენს შვილებს, შიმშილ-სიცივისაგან გამოყვითლებულან, დაავადმყოფებულან, დაღვრემილ-დაქრუშულან. სად არის მაგათი საამოდ ბალღურად მომღიმარი სახე, სიცოცხლით სავსე თვალები? სად არის მაგათი ბალღური სიცელქე? საწყალი ბალღები, ფეხს აიდგამენ თუ არა, მაშინვე მუშაობას უნდა მიჰყონ ხელი: ხან ბატებსა სდევენ, ხან კამეჩებს. სად არის მაგათთვის სწავლა-განათლება? თუ ჩვენ ასე ძაღლ-უნებურად ვიცხოვრებთ, ისევ ის არა სჯობია, რომ სულ არ ვიყვეთ! ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა? ეს ტანჯვა-ვაებაა. ხომ ხედავთ, რომ ჩვენთვის არავინ ზრუნავს, ჩვენ თვითონ ვიზრუნოთ ჩვენი თავისთვის. სიღარიბის და გაჭირვების წამალი მე ძალიან ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერა ვიპოვე რა, გარდა ერთობისა, გარდა ძმობისა, გარდა ამხანაგობისა. ცალ-ცალკე რომ ვიყვნეთ, ჩვენ გაჭირვებას, ჩვენ დაბეჩავებას ვერ მოვუვლით, რადგან ჩვენი გაჭირვება დიდია, და ერთმანეთისაგან გაცალკევებულებს ძალა არ შეგვწევს. ყველას ერთად-კი ძალიან გაგვიადვილდება ჩვენი ჭრილობების მოვლა, როგორც ერთ კამეჩთან ერთად მეორესაც უბამთ ხოლმე უღელში და ისინი ერთად ეწევიან ჭაპანს, ისე ჩვენც უნდა მოვიქცეთ. უღელი კამეჩი გუთანს ადგილიდანაც-კი ვერ დასძრავს და ექვსი უღელი-კი ძალიან ადვილად გადააბრუნებს ალოს. ძალა ერთობაშია. ყველამ მხარი მხარს უნდა მივსცეთ, უნდა ერთნი ვიყვნეთ ჭირშიაც და ლხინშიაც და ჩვენ დაბეჩავებულ მდგომარეობასაც ვუშველით. ძმებო, ჩვენ, ვისაც ქონება გვაქვს, ჩვენი ქონება ჩამოვიდეთ სასოფლოდ, ამხანაგურად დავამუშავოთ უქონლებთან ერთად და ამხანაგურად გავიყოთ საჭიროებისდა კვალად ჩვენი ნაწვავ-ნადაგი. აი მე მთელ ჩემს ქონებას მიწებს, ვენახებს, საქონელს ჩამოვდივარ სასოფლოდ და ვინც მე მომემხრობა და თავის ქონებასაც ჩამოვა სასოფლოდ, ცალკე გავიდეთ“.

ივანემ მსმენელებს ადამიანის ხელის მაგალითით აუხსნა, რომ თითებს განსხვავებული შესაძლებლობები და ფუნქციები ჰქონდათ, თუმცა განცალკევებულად ისინი არაფრის მაქნისი იყვნენ და სიკეთე ერთიანად მუშაობით მოჰქონდათ.
190 კომლიდან 70 ოჯახმა მაშინვე განაცხადა თანხმობა, გამხდარიყვნენ კომუნის წევრები. აირჩიეს კომუნის გამგეობა, რომლის ხელმძღვანელი ივანე კოლელიშვილი გახდა, ხოლო თანაშემწე არჩილ ივანეს ძე იაკაშვილი (სემინარია – დამთავრებული ახალგაზრდა პედაგოგი, რომელიც სოფელში დაბრუნებისთანავე დაუახლოვდა კოლელიშვილს და მისი უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე გახდა); ივანემ მაშინვე გამოუცხადა კომუნის წევრებს, რომ ხელმძღვანელი ორგანო აუცილებლად არჩევითი იქნებოდა და თავად მხოლოდ პირველ ჯერზე იქნებოდა ხელმძღვანელი, როდესაც კომუნა თავის პირველ ამოცანებს გადაჭრიდა. კომუნამ გამოიმუშავა წესდება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კომუნის წევრთა უფლება-მოვალეობები, აღწერეს წევრების შენატანი კომუნაში; ყველა წევრს მიეცა უფლება სურვილისამებრ დაეტოვებინა კომუნა და უკანვე დაებრუნებინა თავისი მატერიალური შენატანი.

კომუნა მოქმედებაში

გულგულას კომუნა – „ერთობა და ძმობა“ მუშაობას შეუდგა. მისი გეგმით, მევენახეობისა და ხორბლის წარმოების გარდა, საერთო ძალებით უნდა განევითარებინათ მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ხელსაქმე – ხალიჩების, ფარდაგების და წინდების ქსოვა და მესაქონლეობა-მეფრინველეობა.

თავდაპირველად კომუნის მუშაობის დაწყება შეფერხდა, რადგან იდეის მიმართ მტრულად განწყობილმა გლეხებმა ხმები გაავრცელეს, რომ მაზრის ხელმძღვანელობა აუცილებლად დააპატიმრებდა წამოწყების მეთაურებსა და მონაწილეებს. პირველ ჯერზე სამუშაოდ მხოლოდ 21 კაცი გავიდა, თუმცა რამდენიმე დღის ერთიანმა, მწყობრმა და ხალისიანმა შრომამ მაგალითი მისცა სხვა მომხრეებს და რამდენიმე კვ-

ირაში კომუნის მშრომელი ძალა სრულფასოვნად ამუშავდა. კომუნის საწყისი კაპიტალი ამხანაგობას საშუალებას აძლევდა პირველ მოსავლამდეც წევრები უზრუნველეყოთ დღიური სარჩოთი. კოლექტიურმა შრომამ შედეგი გამოიღო და კომუნის მიწები – ვენახები ძალზე სწრაფად და საფუძვლიანად დამუშავდა; მომდევნო ჯერზე ერთიანი ძალით კომუნის წევრების საკარმიდამო ნაკვეთები მოწესრიგდა და დამუშავდა. მომდევნო დღის სამუშაო გეგმას კომუნის წევრები საღამოს ერთად განიხილავდნენ; ასევე ყოველი საკითხის გადასაჭრელად იმართებდოდა კომუნის წევრთა შეკრება. კომუნამ, სააღრიცხვო განყოფილების გარდა, წევრების განათლების ხელშეწყობისთვის, კულტურის განყოფილებაც შექმნა.

კომუნის საქმიანობის დასახმარებლად თელავში ამუშავდა ივანე როსტომაშვილის ოჯახიც: ქალიშვილები – ბაბო და ტასო სახალხო წარმოდგენებს მართავდნენ და შემოსავალს კომუნას უგზავნიდნენ, ხოლო მათი დედა, ელისაბედი, კომუნის წევრებისათვის ტანსაცმელს კერავდა.

დროთა განმავლობაში კომუნის წარმატებამ და სიცოცხლისუნარიანობამ მის მიმართ ინტერესი გააღვივა – კომუნას ხშირად სტუმრობდნენ უბრალო ცნობისმოყვარეები თუ სხვადასხვა საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, მისი მუშაობის გასაცნობად და ამ პრეცენდენტის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. მეორე მხრივ, წარმატებამ თავიდან კომუნის მიმართ ეჭვით განწყობილი თანასოფლელებიც დაარწმუნა, რომ კომუნაში გაერთიანება სასურველი იყო; მალევე მეზობელი სოფლებიდანაც გამოჩნდნენ მსურველები, რომელთაც გულგულას მაგალითის გადაღება სურდათ და დახმარებას ითხოვდნენ.

ამოქმედდა კომუნის კულტურული განყოფილებაც – სტუმრები მოგონებებში განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ კომუნამ წევრი ქალების გააქტიურებას და საერთო შრომაში ჩაბმას შეუწყო ხელი – კომუნაში მამაკაცებისა და ქალთა შრომის ჯგუფებიც იყო ჩამოყალიბებული, რომლებსაც საკუთარი ხელმძღვანელები ჰყავდათ; მამაკაცებს – ვახო მოსიაშვილი, ხოლო ქალ-

თა ჯგუფს – მაგდანა კენკიშვილი და მარია იაკაშვილი ხელ-მძღვანელობდნენ. სოლიდარობის განწყობამ ძალზე შეცვალა თანასოფლელებს შორის ურთიერთობა – შემცირდა ყოფითი კონფლიქტები, კრიმინალი (რომელიც 1900-იანი წლების და-საწყისში ძალზე გამწვავებული იყო გულგულაში) და ლოთობა. ივანე კოლელიშვილმა კომუნის მხარდაჭერით ითავა ძველი კონფლიქტის გადაჭრა. ივანემ, მაზრის ხელმძღვანელობას-თან არაოფიციალური მოლაპარაკებებით, თავდებობა იკისრა და ტყეში გასული სოფლელები შემოირიგა, რომლებიც კო-მუნას შეუერთდნენ და შრომაში ჩაებნენ (1903 წელს პირუტყვის ქურდობის ეჭვით, სოფლიდან სამი მცხოვრები, მათ შორის გოგია კენკიშვილი გააძევეს, ისინი გაყაჩაღდნენ და ტყეში გავ-იდნენ).

მალე კომუნის წევრებმა 70-დან 100-120 კომლამდე მია-ღწია. მეურნეობაც გაფართოვდა და კომუნის წევრებმა ნა-ფარეულის საუფლისწულო მამულის იჯარით აღება და დამუშავებაც დაიწყეს. თანამედროვეების გადმოცემით, კო-მუნარები სამუშაოდ ორგანიზებულად გადიოდნენ; ივანე კო-ლელიშვილი მათ სულ თან ახლდა, მხარდამხარ მუშაობდა და თვალყურს ადევნებდა.

კომუნის დაშლის მიზეზები

წარმატებამ დიდხანს არ გასტანა, თუმცა პრობლემა არა კომუნის შიგნით, არამედ გარემო პირობების ცვლილებამ შექ-მნა: კომუნის ზრდა-განვითარება უსიამოვნოდ და სახიფათოდ ჩანდა სოფლის ბინადართა ნაწილისათვის, რომელსაც სა-კუთარი, განვითარებული მეურნეობები ჰქონდა და დაქირა-ვებულ შრომას – მოჯამაგირეობას იყენებდა; მოჯამაგირეთა უმრავლესობამ კომუნაში შესვლა, უკეთესი შრომისა და გამ-ომუშავების პირობები არჩია, რამაც ყოფილი დამქირავებელი გლეხების უკმაყოფილება და კომუნის მიმართ მტრობა გამ-ოიწვია.

1906 წლისათვის რევოლუციური მოძრაობა შესუსტდა და

მეფის ხელისუფლების მხრიდან ე.წ. „შავი რეაქციის“[4] ხანა დადგა. წელგამაგრებული მაზრის ადმინისტრაცია უკვე აღარ აპირებდა უკონტროლო სამეურნეო და პოლიტიკური წარმონაქმნისათვის თვალის არიდებას, მით უმეტეს, როცა მაზრის უფროსს ჰქონდა საიდუმლო შეტყობინებები, რომ ივანე კოლელიშვილი სისტემატურად ეწეოდა გლეხებში პროპაგანდას, არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას, არ გადაეხადათ გადასახადები, არ წასულიყვნენ არმიაში და თვითმმართველობის განვითარებაზე ეზრუნათ. სავარაუდოდ, მაზრის ადმინისტრაციამ „პრობლემის“ მოსაგვარებლად თანასოფლელებსა და კომუნის წევრებს შორის არსებული დაძაბულობის გამოყენება გადაწყვიტა და გამოიყენა კიდეც.

1906 წლის 7 ოქტომბერს (ძველი სტილით) საღამოს, როდესაც ივანე კოლელიშვილი თავისი სახლის მეორე სართულზე ლამფის შუქზე წიგნს კითხულობდა, ეზოს გალავნიდან უცნობმა ფანჯარას ესროლა; კომუნარებმა იპოვეს თავდამსხმელი (იმავე სოფლის მოსახლე ივანე ესიტაშვილი). თავდასხმის მეორე დღეს გულგულაში მაზრის უფროსი ანტონოვი კაზაკების ასეულთან ერთად გამოცხადდა და ინცინდენტში ჩაერია; მან დააპატიმრებინა მონაწილეები – ესიტაშვილი, ივანე კოლელიშვილი, არჩილ იაკაშვილი და თელავში, შემდეგ კი თბილისში გაგზავნა, ხოლო გულგულას მცხოვრებთ გამოუცხადა, რომ მთავრობის განკარგულებით კომუნა უნდა დაშლილიყო და ყველანი ძველებურ ცხოვრებას უნდა დაბრუნებოდნენ.

ივანე კოლელიშვილი თბილისში მეტეხის ციხეში მოათავსეს. საოლქო სასამართლომ თავდაპირველად ესიტაშვილი გაამტყუნა, თუმცა აპელაციის შემდეგ საქმე თბილისის სასამართლო პალატამ განიხილა და აშკარა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო: ესიტაშვილის ბრალის დამადასტურებელი

4 „შავი რეაქცია” – რუსეთის იმპერიაში 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების ჩახშობის შემდეგ, მეფის რეჟიმის მიერ წამოწყებული რეპრესიები რევოლუციაში მონაწილე მხარეებში მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგ, იქ მოქმედი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განადგურების (დაპატიმრება, გადასახლება და სიკვდილით დასჯა) და მათი თანამგრძნობი საზოგადოების დაშინების მიზნით.

მტკიცებულებები არასანდოდ გამოაცხადა და ბრალდებული გაამართლა, ხოლო ივანე კოლელიშვილი და არჩილ იაკ-აშვილი პირიქით – კომუნის მოწყობისა და სხვა აქტივობების გამო, პოლიტიკურად არასაიმედო პირებად მიიჩნია.

ივანე კოლელიშვილი სასამართლო პროცესების დასრულე-ბამდე – თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს ირკუტსკის (მეორე ვერსიით ოლენეცკის) გუბერნიაში, მაგრამ თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავდებობით, თბილისის გე-ნერალ-გუბერნატორმა 1907 წლის თებერვალში გადაწყვეტ-ილება შეცვალა და კოლელიშვილს კავკასიის საზღვრებიდან გაძევება დაუდგინა და 3 დღე მისცა მოსამზადებლად.

ივანე კოლელიშვილმა დატოვა რუსეთის იმპერიის საზღვრები და შვეიცარიაში გაემგზავრა. ასკონაში 2 წელი ცხოვრობდა, სადაც სატყეო სასწავლებელში სწავლობდა, შედეგ იტალიაში – ქალაქ პოსიტანოში, შემდეგ გაემგზავრა ინდოეთში, ხოლო იქედან კი – ეგვიპტეში.

ზეპირი გადმოცემის თანახმად, არსებობს ბუნდოვანი ვარაუდი, რომ ივანე კოლელიშვილის წამოწყებას კავშირი ჰქონდა ებ-რაელ რეპატრიანტთა მიერ ისრაელის მიწაზე სასოფლო-სა-მეურნეო კომუნების „კიბუცების“ დაარსებასთან. სავარაუდოდ, 1910-დან 1917 წლამდე მისი ეგვიპტე-პალესტინაში ყოფნაც, შეიძლება სწორედ ამ საქმეში ჩართულობით ყოფილიყო გამ-ოწვეული.

ივანე კოლელიშვილის მოღვაწეობა საქართველოს დემ-ოკრატიულ რესპუბლიკაში

1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და მეფის ხელ-ისუფლების დამხობის შემდეგ ივანე კოლელიშვილი გულგულაში დაბრუნდა და კვლავ აქტიურად ჩაება საზოგად-ოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამ-ოცხადების შემდეგ მონაწილეობდა მაზრის სამეურნეო და

კულტურულ განვითარებაში, იყო რესპუბლიკის მთავრობის ინსტრუქტორი და ხელმძღვანელობდა თელავის მაზრაში ტელეგრაფის ქსელის მოწყობას (სავარაუდოდ, საერობო რეფორმის შემდეგ არჩეული იყო თელავის სამაზრო ერობის გამგეობის წევრად). იგი აგრძელებდა მუშაობას გულგულაში კომუნის აღსადგენად, თუმცა, პირველი მსოფლიო ომის და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვითი ომების გამო შექმნილი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეს ადრინდელზე უფრო რთული ამოცანა იყო. სავარაუდოდ, ამ პერიოდში ივანე კოლელიშვილმა მოახერხა გულგულაში თელავიდან – მაწანწრის ხევიდან სასმელი წყლის გაყვანა.

1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების დროს, ივანე კოლელიშვილი მონაწილეობდა კახეთში თავდაცვის ორგანიზებაში. თუმცა, არმიის უკანდახევისა და რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, ივანემაც დატოვა საქართველო და საფრანგეთში გაემგზავრა.

სოფელი გულგულა და ივანე კოლელიშვილი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში

ემიგრაციაში ივანე კოლელიშვილმა დიდხანს ვერ გაძლო და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც იგი საბჭოთა უშიშროების სამსახურმა – საგანგებო კომისიამ დააპატიმრა.

ზეპირი გადმოცემით, საქართველოს სსრ ხელმძღვანელებს გაახსენდათ კავკასიაში პირველი კომუნის ორგანიზატორი, პატიმრობიდან გაათავისუფლეს და გულგულაში დააბრუნეს ძველი საქმის აღსადგენად. დაბრუნებისთანავე ივანე კოლელიშვილმა კვლავ სცადა სოფლის ცხოვრების გამოცოცხლება. გახდა გულგულას სათემო საბჭოს წევრი; საკუთარი მამულების ბაზაზე მზადება დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის აღსადგენად.

პირველ რიგში, მან სოფელში აბრეშუმის წარმოება წაახალ-

ისა – აბრეშუმის პარკი გაავრცელა და ქალებს მისი დამუშავება ასწავლა. შეიძინა საქსოვი დანადგარები და სახლში საამქრო გამართა. ასევე ჩამოიყვანა მატყლის დამუშავების ინსტრუქტორი და სოფლის ქალებს საკუთარ სახლში შეასწავლა მატყლის დაზგაზე დართვა და ქსოვა, ასევე მოიწვია ჭრა-კერვის ინსტრუქტორიც და სკოლა გახსნა; ამ ყოველივეს ივანე საკუთარი ფულით აფინანსებდა.

ამ დროისთვის გულგულაში სკოლა არ არსებობდა, ბავშვებს თელავში უხდებოდათ სკოლაში სიარული და ნახევარი დღის გზაში გატარება. ივანე კოლელიშვილმა თელავში, ჭადრის ქუჩაზე მდგომი საკუთარი სახლი სოფელს სარგებლობაში გადასცა, რათა მოსწავლეებისათვის საერთო საცხოვრებელი მოეწყოთ და ბავშვებს ღამე გაეთიათ.

პარალელურად, ივანე ცდილობდა ხელისუფლების ყურადღება სოფლისა და მაზრის გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის მიეპყრო. პრესის საშუალებით, მან გამოთქვა აზრი, რომ სასურველი იყო სოფელი გულგულა საცხოვრებლად უვარგისი მიდამოდან უკეთეს ადგილას, თელავის გასწვრივ, გადასახლებულიყო, სადაც თანამედროვე ტიპის დასახლებას – „სოფელს ბაღში“ – გააშენებდნენ. მისივე აზრით, ინტენსიური გადასახლება-განაშენიანება უნდა გაგრძელებულიყო თელავი-ახმეტის გზატკეცილის ხაზზე (რაც სოფლებს შორის კომუნიკაციას გააადვილებდა და კულტურული ცხოვრების ხელშემწყობ პირობად გადაიქცეოდა), ხოლო ალაზნის მხარის ველები, სასოფლო-სამეურნეო მიზნებით, მაქსიმალურად აეთვისებინათ. რკინიგზის ხაზი უნდა გაგრძელებულიყო თელავიდან ახმეტამდე და შემდეგ – წრიულად, ალაზნის მარცხენა ნაპირით, ყვარელი-ლაგოდეხის გასწვრივ, სიღნაღისკენ.

1928 წლისათვის, სამომავლოდ დაგეგმილ კოლექტივიზაციამდე, ბოლშევიკური ხელისუფლება ყოველნაირად უწყობდა ხელს სასოფლო-სამეურნეო კომუნებისა და არტელების ჩამოყალიბებას (მაგ., სამთავისისა და ზემო-ქედის კომუნები), რომლებიც მაგალითი უნდა გამხდარიყვნენ კოლექტიური შრომის უპირატესობის საჩვენებლად. ივანე კოლელიშვილის

მიერ საკუთარი მამულების ბაზაზე შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაც მსგავს მაგალითად მიიჩნეოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ეხმარებოდა მას თანამედროვე ტექნიკით – ტრაქტორებით, თუმცა ამხანაგობა ნელა ვითარდებოდა, 1929 წლის შემოდგომისათვის მასში 120 წევრი იყო გაერთიანებული.

ამხანაგობას, რომელიც უკვე კოლექტიურ მეურნეობად იყო გაფორმებული, მცირე წარმატების საფუძველი გამოაცალა საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებულმა ძალდატანებითი კოლექტივიზაციის მკაცრმა კურსმა; შეძლებული გლეხების „კულაკებად“ გამოცხადებამ, მათი საკუთრების ჩამორთმევამ, გადასახლებამ და კოლმეურნეობებში მექანიკურმა გაერთიანებამ, სამოქალაქო ომის ზღვარზე მიიყვანა სოფლის მოსახლეობა. ამ დროისათვის ივანე კოლელიშვილი, უკვე ფაქტობრივად, ჩამოცილებული იყო კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას და მას საერთო მეთვალყურეობის ფუნქციაღა ჰქონდა შენარჩუნებული. მოვლენების ტრაგიკულ განვითარებაზე ივანეს რეაქცია ხისტი იყო. იგი აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას არსებული კურსის მიმართ: „მე თქვენი ანბანი არ მესმის, სულ სხვა ჭკუაზე ხართ დამდგრებიო, მე ასე არ მეგონაო, ვინ რას აკეთებს ჩემთვის გაუგებარიაო“.

მისი ფილოსოფიური ნაშრომი, რომელიც წიგნად დაიბეჭდა, ცენზურამ დააკავა, ქსელიდან ამოიღო და გაანადგურა.

ივანე თელავში გადაბარგდა და სახლში ჩაიკეტა. მალევე მძიმედ გახდა ავად. მეგობრებმა თბილისში გადაიყვანეს, სადაც 1930 წლის 12 აგვისტოს მიხეილის საავადმყოფოში, ოპერაციის დროს, სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა.

1930 წლის 22 აგვისტოს ივანე კოლელიშვილი დიდი პატივით დაკრძალეს თელავის შესასვლელში, მაწანწრის ხევთან, დაღუპული წითელრაზმელების საძმო სასაფლაოზე.

>>



ივანე კოლელიშვილი

ფოტო: საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ფოტომატიანე,
ლუარსაბ ტოგონიძის კოლექცია

სოფელ ავლევის მოდერნიზაცია

[ირაკლი ხვადაგიანი]

სოფელი ავლევი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში ადგილობრივი მეურნეობის გაუმჯობესების მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია (ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა არსებობდა, რომელიც საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა). XIX საუკუნის ბოლოს დაარსდა გორის მემამულეთა სინდიკატი (ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელებისა და თავად-აზნაურების კოოპერატიული გაერთიანება). მისი პრიორიტეტი არსებული მეურნეობის პოტენციალის გამოყენება იყო, მაგრამ მან ეს ამოცანა ვერ შეასრულა. სინდიკატმა გამოცოცხლება მცირე ხნით შეძლო, როდესაც სათავეში ჩაუდგა ივანე მაჩაბელი, თუმცა მისი სინდიკატიდან წასვლის შემდეგ პრობლემებმა იმატა და სინდიკატი ზარალისაკენ წავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ქართლის სოფლებში კულტურული და სამეურნეო ცვლილებების ინიციატორები ცალკეული ენთუზიასტები გახდნენ, რომლებიც სოფლად ცხოვრებითა და მეურნეობების ირგვლივ მყოფ გლეხებს მოდერნიზაციით მაგალითს აძლევდნენ. მათ განათლებისკენ, საწარმოო ძალების შეკავშირებისა და განვითარებისაკენ უბიძგებდნენ.

ქართლში სოფლის სამეურნეო და კულტურული გარდატეხის, ყველაზე წარმატებული და თვალსაჩინო კვალი სოფელ ავლევის (თანამედროვე ავნევი) მკვიდრმა კონსტანტინე (კოსტა) მიხეილის ძე ამირაჯიბმა დატოვა.

კონსტანტინე (კოსტა) ამირაჯიბი

კონსტანტინე ამირაჯიბი თავადის, ოფიცრის (შემდგომში გენერლის) მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირაჯიბისა და სოფიო ვასილის ასული არღუთინსკი-დოლგორუკოვის (პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე) ოჯახში დაიბადა, ქალაქ ტფილისში 1869 წლის 18 დეკემბერს (ძველი სტილით). ბავშვობაში კონსტანტინე დიდ დროს ატარებდა სოფელ ავლევში, მშობლებთან ერთად, რომლებიც ხშირად ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ თანასოფლელი გლეხებისათვის და განათლების გავრცელებაზე ეზრუნათ. დედის, სოფიო ამირაჯიბის, ავადმყოფობის გამო, ოჯახი სამი წლით ჯერ პარიზში გადასახლდა, სადაც კონსტანტინემ ფრანგული განათლება მიიღო, ხოლო შემდგომ ექვსი წლით, 1887 წლამდე, ქალაქ ოდესაში ცხოვრობდნენ. სამშობლოში დაბრუნებისას კონსტანტინე ამირაჯიბმა სწავლა ტფილისის პირველ გიმნაზიაში დაარსულა და კვლავ ოდესაში დაბრუნდა, სადაც ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში ჩაირიცხა, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. სწავლისას ის დაუახლოვდა ოდესის უნივერსიტეტში მომუშავე ქართველ პროფესორებს – ვასილ პეტრიაშვილს და პეტრე მელიქიშვილს, პარალელურად კი სტუდენტთა მოძრაობაშიც ჩაერთო, რის გამოც, 1890 წელს, სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციის დარბევისას, კონსტანტინე ამირაჯიბი დააპატიმრეს, თუმცა ვასილ პეტრიაშვილის ჩარევის შედეგად, იგი საპატიმროდან მალევე გაათავისუფლეს და სწავლის დასრულების საშუალება მისცეს.

სტუდენტობისას, ძირითადი პროფესიული ხაზის გარდა, კონსტანტინე ამირაჯიბი დიდი ყურადღებით სწავლობდა და მუშაობდა ქიმიურ ლაბორატორიაში, ასევე საცდელ აგრონომიულ სადგურში. თანამედროვეები აღნიშნავდნენ პირად ცხოვრებაში მის უბრალოებას და სპარტანული ცხოვრების წესს. ამირაჯიბმა უნივერსიტეტი 1893 წელს პირველი ხარისხის დიპლომით და ოქროს მედლით დაასრულა.

პირველი ნაბიჯები სოფლის განვითარებისთვის

სტუდენტობის ბოლო თვეებში კონსტანტინე ამირაჯიბი მამასთან ერთად აქტიურად ჩაერთო სოფელ ავლევის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებაში: 1893-1894 წლებში ქართლში გავრცელებული ხოლერის ეპიდემიის სალიკვიდაციო ღონისძიებებში; მიხეილ ამირაჯიბმა, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, ფული შეკრიბა და ეპიდემიის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებებისათვის ექიმი დაიქირავა; მალევე კონსტანტინე ამირაჯიბი დაბრუნდა ოდესიდან და ავლევში საავადმყოფო-ქსენონი და აფთიაქი გამართა. უშიშრად შეუდგა ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლას: დადიოდა და მედიკამენტებს ურიგებდა ავადმყოფებს, ასწავლიდა ეპიდემიის გავრცელებისაგან თავის არიდების ხერხებს. ავლევის ქსენონში იღებდა ავადმყოფებს და უფასოდ მკურნალობდა მათ. ცნობა, ავლევში უფასო აფთიაქისა და სამკურნალოს არსებობის შესახებ, ფართოდ გავრცელდა და გლეხებმა ქართლის ყველა მხრიდან დაიწყეს მიმართვა. ხშირად ერთი დღის განმავლობაში კონსტანტინეს 80 ავადმყოფის მიღებაც კი უხდებოდა. ხოლერის ეპიდემიის ჩაქრობის შემდეგ კონსტანტინე პარიზში გაემგზავრა, სადაც ნაციონალურ აგრონომიულ ინსტიტუტში ისმენდა ლექციებს, 1895 წლიდან კი ბონში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ, 1897 წლამდე, ხერსონში, აგრონომ ოვსინსკის მეურნეობაში მუშაობდა.

1897 წელს კონსტანტინე ამირაჯიბმა სამშობლოში დაბრუნება, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საკუთარ მხარეში გამოყენება და ქართლის მეურნეობის მოდერნიზაციის ხელშეწყობა გადაწყვიტა. გლეხებს შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სამეურნეო მიდგომების პოპულარიზაციის პირველივე მცდელობები კრახით დასრულდა, რამაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამირაჯიბზე: გლეხობაში იმ დროის ფსიქოლოგიური განწყობა და ფონი – შიში, უნდობლობა და უიმედობა იყო; მათი მთავარი საზრუნავი წლიდან წლამდე თავის გატანა იყო და ეჭვის თვალით უცქერდნენ გარეშე ადამიანების რჩევებს, მცდელობას, ცოცხალი მაგალითი

მიეცა განახლებისათვის. თვლიდნენ, რომ სოფლად განათლებული და წარმატებული ადამიანის ადგილი არ იყო და „ინტელიგენტებს“, თუ ვინმე სოფლად ცხოვრობდა, უნდობლად ეპყობოდნენ. კონსტანტინემ, პირველი მარცხის მიუხედავად, ჯიუტად განაგრძო დასახული გეგმის განხორციელება, თუმცა სოფლად, გლეხებთან საქმიანმა ურთიერთობამ მის მსოფლმხედველობასა და გეგმებში კორექტივები შეიტანა: მან გადაწყვიტა, ადგილობრივი გლეხებისთვის მიებაძა, მათი წესებით ეცხოვრა, დაკვირვებოდა პროცესს, რაც საშუალებას მისცემდა არსებული სამეურნეო სისტემის ნაკლოვანებები პრაქტიკულად გამოევლინა, შეესწავლა და თან ეფექტურ მხარესაც დაკვირვებოდა.

ამირაჯიბის ტრადიციული სამეურნეო ცხოვრება ავლევში 3 წელი გრძელდებოდა, რამაც მას მისცა პრაქტიკული და სტატისტიკური ცოდნა მეურნეობის არსებული სისტემის ჩამორჩენილობის შესახებ. ამავე დროს, გლხებთან მხარდამხარ შრომამ იგი ძალზე დააახლოვა ადგილობრივ მოსახლეობას და მათ შორის დიდი ნდობა გაჩნდა; ხოლერის ეპიდემიასთან ბრძოლის წარსულ მაგალითს (რამაც ამირაჯიბის ავტორიტეტი გაზარდა) თან დაერთო 1900 წლის სტიქიური უბედურება, როდესაც სეტყვამ სრულად გაანადგურა ქართლის სოფლების მოსავალი, მათ შორის ამირაჯიბის მეურნეობის მიწებიც; კონსტანტინემ თანამოაზრე მემამულეებთან ერთად, ხელისუფლების დახმარებით მოახერხა ზარალის აღმოფხვრა. სოფლები შიმშილს გადაურჩა. ამ ეპიზოდის შემდეგ კონსტანტინეს ავტორიტეტი უფრო გაიზარდა და გლეხობა უფრო ნდობით განეწყო მისი ინიციატივის მიმართ.

ამირაჯიბის დაკვირვებით, ტექნოლოგიური ჩამორჩენის გარდა, ქართლის ტრადიციული მეურნეობების მთავარი პრობლემა სამუშაო ძალების დაქსაქსულობა და მიწების ფრაგმენტულობა იყო; მისი შეხედულებით, მეურნეობის განვითარების გამოსავალი ამხანაგობების შექმნა, მიწების ფონდების გაერთიანება და კულტურების მიხედვით ხელახალი გადაგეგმვა და კოლექტიური შრომა იყო; ამ გეგმის სისწორეში ადგილობრივი მეურნეების დარწმუნება ძალზე ძნელი საქმე

ჩანდა. ამირაჯიბმა პირველი ნაბიჯები ტექნოლოგიური ჩამორჩენის დასაბუთების მიმართულებით გადადგა და გლეხებთან ერთად დაიწყო საცდელი დაკვირვება თანამედროვე ევროპულ მანქანა-დანადგარებზე, რათა გამოერკვიათ, რომელი შეესაბამებოდა ადგილობრივი პირობებს.

ავლევის სამეურნეო ამხანაგობა და საცდელი მეურნეობა

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკის შექმნის შემდეგ, ამირაჯიბის ინიციატივით, გეგმის მეორე ეტაპის – სამეურნეო ამხანაგობის განხორციელება დაიწყო. ამ მიზნით კონსტანტინემ ამხანაგობას გადასცა საკუთარი 60 დესატინა ფართობი და ფინანსური გარანტორი გახდა. ამჯერად გლეხები უკვე აქტიურად ჩაერთნენ ამხანაგობის საქმიანობაში. 1902 წელს მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ (როდესაც პურის სალეწ მანქანასთან მუშაობისას კონსტანტინე დანადგარმა ჩაითრია და ფეხი დაუმტვრია, რის გამოც ფეხის ამპუტაცია გახდა საჭირო) ვერ შეანელა ამხანაგობის ინიციატორის ენთუზიაზმი. ამხანაგობის მეურნეობის წარმატებას მოჰყვა სასოფლო კოოპერატივის ამოქმედება, რამაც დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური შემოსავლების ზრდას.

1901 წლისათვის ავლევში ოფიციალურად გაიხსნა ქსენონი – ჰოსპიტალი, რომელიც წარმატებით მუშაობდა ათწლეულების განმავლობაში. 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების დროს გლეხებში კონსტანტინე ამირაჯიბის რეპუტაციას ჩრდილი მიადგა. მისი სახელი დაუკავშირდა ქართლში მოქმედ ე.წ. „შავ რაზმს“, (რომელიც ადგილობრივი თავადაზნაურობის მიერ ორგანიზებულ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა, გლეხთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ საბრძოლველად და საკუთარი მამულების დასაცავად). ამირაჯიბი რევოლუციურად განწყობილმა პრესამ და მოქალაქეებმა „შავრაზმელთა“ ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნიეს. მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა რეპუტაციის აღსადგენად.

ავლევის სასოფლო-სამეურნეო სკოლა

რევოლუციის მარცხის, „შავი რეაქციის“ შერბილებისა და შედარებითი მშვიდობიანობის კვალდაკვალ, ამირაჯიბმა განაგრძო დასახული გეგმის განხორციელება და ავლევში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის სამზადისს შეუდგა. ამ ჩანაფიქრისათვის მთავარ დაბრკოლებად სამოსწავლო ოლქის მიერ დაწესებული ოფიციალური და ჩამორჩენილი პროგრამები და ასევე კურსის სავალდებულო რუსულენოვნება იყო. როგორც ამირაჯიბი აღნიშნავდა, არსებული მოთხოვნა საშინელი აბსურდი იყო. გორის გუბერნიის სოფლის ბავშვებს რუსულად ესწავლათ სკოლის საგნები, ეს იგივე იქნებოდა, რომ ტულის გუბერნიის სოფლის ბავშვებისათვის ქართულ ენაზე სწავლა ეიძულებინათ. სწავლის პროცესის ორგანიზების ამ მიდგომის საჯაროდ დაცვა ამ დროისათვის პოლიტიკურად ძალზე საშიში იყო, რამდენადაც იმპერიის ადმინისტრაციისათვის ის აშკარა ნაციონალისტურ გამოხტომას წარმოადგენდა. ამიტომ სკოლის გახსნის პერსპექტივა უიმედო ჩანდა. მაგრამ, მოულოდნელად, ამირაჯიბის ინიციატივას მხარდაჭერა გამოუცხადა საეპარქიო სასწავლო საბჭომ, რომელმაც იმ პირობით, თუ ავლევში ორკლასიანი, ექვსგანყოფილებიანი სკოლა მოეწყობოდა საერთო-საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონით, სრულად იკისრებდა სკოლის ხარჯებსა და პედაგოგების დაფინანსებას.

სკოლის დამფუძნებლებს თავდაპირველი ფინანსური დახმარება ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ აღმოუჩინა, რომელიც შემდგომ თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს სამეურნეო კომისიამ შეცვალა. თუმცა მალევე მათი დახმარება საჭირო აღარ გახდა, რადგან სკოლამ თავადვე შეძლო სახელოსნოების მუშაობით მიღებული მოგებით საკუთარი ხარჯების დაფარვა და განვითარება. სამაგიეროდ, სკოლას სრული თავისუფლება ეძლეოდა პროგრამის შემუშავებასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. 1909 წლიდან ავლევის სასოფლო-სამეურნეო სკოლამ საუკეთესო პედაგოგები დაიქირავა, შენობა გამართა, სახელოსნოები მოაწყო და შეძლო მოსწავლეების მიზიდვა, არა მხოლოდ ქართლიდან.

სკოლის თანამედროვე მიდგომებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო, რომ მოსწავლეები სქესის მიხედვით არ იყვნენ გამიჯნული. გოგონები სასწავლო პროცესისა და პრაქტიკული მეცადინეობის ყველა საქმეში ბიჭებთან ერთად იყვნენ ჩაბმული; გოგონებისათვის ცალკე მოქმედებდა ხელსაქმის სკოლა, რომელსაც კონსტანტინე ამირაჯიბის მეუღლე – ქეთევან ამირაჯიბი უძღვებოდა. მოსწავლეთა რიცხვი 200-ს აღწევდა და ისინი სკოლის პანსიონში, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ. სკოლაში ყველა საგანი ქართულად ისწავლებოდა, ხოლო რუსული ენა კი ცალკე საგნად იყო განსაზღვრული. სასწავლო პროგრამა რთული, დატვირთული და ბავშვების მრავალმხრივ განვითარებაზე იყო ორიენტირებული. მოსწავლეები სკოლის სახელოსნოებში მუდმივად იყვნენ ჩაბმული თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკულ მეცადინეობებში. მოსწავლეების მიერ დამზადებული ტექნიკა არათერით ჩამოუვარდებოდა ქარხნულს და მალე მათმა გასაღებამ სკოლას სტაბილური, დამატებითი შემოსავალი გაუჩინა, რომელიც 3 000 მანეთამდე აღწევდა.

სოფლის კულტურული ცხოვრების განვითარება

მოსწავლეებს დღის განმავლობაში თავისუფალი საათები 2-დან 4-მდე ჰქონდათ. კონსტანტინე ამირაჯიბმა, რომელსაც მუსიკალური ნიჭი და განათლებაც ჰქონდა, ბავშვებს შესთავაზა თავისუფალი დრო მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლაში გამოეყენებინათ, რასაც ისინი სიხარულით დათანხმდნენ. მალევე ავლევის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ორკესტრმა კონცერტი ჩაატარა თბილისის ფილარმონიული საზოგადოების დარბაზში. მუსიკალურმა წრემ, უპირველეს ყოვლისა, გავლენა მოახდინა სოფლის ცხოვრებაზე. ორკესტრის რეპეტიციისას, განსაკუთრებით კვირაობით, სკოლის შენობასთან, საიდანაც მუსიკის ჰანგები გამოდიოდა, თავშეყრა დაიწყეს ახალგაზრდებმა და სეირნობა გამართეს. ეს საინტერესო ნიშანი აღმოჩნდა გუნდისა და მისი ხელმძღვანელებისათვის. მალე რეგულარულად დაიწყო მუსიკალური კონცერტების მოწყობა, რამაც მთელი სოფლის მოსახლეობა მიიზიდა და

მეტიც, უკვე საღამოზე გლეხებმა მეზობელი სოფლებიდან დაიწყეს სიარული. სკოლის პედაგოგების ინიციატივით, ამ საღამოებზე დაიწყეს ეკრანზე ე. წ. „ბუნდოვანი სურთების“ – დიაფილმების დემონსტრირება სახელდახელო საგანმანათლებლო განმარტებებით, თუმცა მალევე ცხადი გახდა, რომ აუდიტორიას უფრო სურათები და სანახაობა იზიდავდა. სკოლის სახელოსნოები ამოქმედდა და სკოლის შენობაში მოაწყვეს თეატრალური სცენა, სადაც მოსწავლეების სამსახიობო დასმა კონსტანტინეს ქალიშვილის, ბარბარე ამირაჯიბის ხელმძღვანელობით, რეგულარულად დაიწყო წარმოდგენების გამართვა, რაც დიდი ინტერესით მიიღო მოსახლეობამ.

1915 წლისათვის ავლევი საჩვენებელ ევროპული ტიპის სოფელს წარმოადგენდა. სოფელში მოქმედებდა სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატივი, ელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებდა სკოლას, სახელოსნოებს, სახერხ და ხორბლის სალეწ მანქანებს, სოფელსა და წისქვილს. სამეურნეო ამხანაგობას მოწყობილი ჰქონდა მანქანა-იარაღების საცდელი სადგური, საცდელი მინდვრები ნათესებისათვის, ხეხილის ბაღი, საფუტკრე, ქიმიური ლაბორატორია, ცხენთსაშენი და ეტლების სადგური.

ავლევის მოდერნიზაციის შეფერხების მიზეზები

პირველი მსოფლიო ომის გამო გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და სამეურნეო დაცემამ დიდი ზიანის მიყენება ვერ შეძლო ავლევისათვის. წარმატებული სოფლის ტრაგედია 1917 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომ, გორის მაზრაში აგრარულ და ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებულმა არეულობამ გამოიწვია. ცხინვალის და გორის მიდამოები შეიარაღებული შეტაკებებისა და ანარქიის ზონად იქცა, რამაც ძლიერ დააზარალა ავლევის მეურნეობა და კონსტანტინე ამირაჯიბიც ოჯახთან ერთად იძულებული გახდა თბილისში გადასახლებულიყო; 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1921 წლამდე, ადგილობრივმა მოსახ-

ლეობამ შეძლო სამეურნეო ამხანაგობის და კოპერატივის რეაბილიტაცია. თუმცა 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდგომ შექმნილმა გარემომ და გორის მაზრაში 1917-1918 წლების კონფლიქტის კვალმა, საბოლო წერტილი დაუსვა ავლევის სამეურნეო ამხანაგობასა და კოოპერატივს.

კონსტანტინე ამირაჯიბი 1918 წლიდან თბილისში ცხოვრობდა და აგრძელებდა სამეცნიერო მოღვაწეობას; მუშაობდა თბილისის ქიმიური ქარხნის ხელმძღვანელად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასოფლო სამეურნეო მექანიკის ლექტორად, შემდგომ მექანიზაციის კათედრის გამგედ; ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო მექანიკის სალექციო კურსი, მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში; მოგვიანებით კი – საქართველოს სსრ სტენდების ორგანიზებასა და ახალი დანადგარების დაპროექტებაში, მანქანა-იარაღების საცდელი სადგურის მოწყობაში და ა. შ. მიენიჭა მრავალი სახელმწიფო ჯილდო და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

კონსტანტინე ამირაჯიბი გარდაიცვალა 1948 წლის 14 ივლისს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ფორმულა კარგად ჩანს ინტერვიუს ფრაგმენტში, რომელიც მან ქართველ ჟურნალისტებს 1915 წელს, ავლევის მეურნეობაში სტუმრობისას მისცა: „...ინტელიგენცია სოფელს გაურბის – პატარას შეისწავლიან რამეს თუ არა მაშინვე ქალაქში გარბიან, ვიღას რად უნდა სოფელი, არა კადრულობენ სამშობლო კერასთან ნაყოფიერ შრომას... ეროვნულ საქმის ასაღორძინებლად, სოფლის ფეხზე წამოსაყენებლად საჭიროა ინტელიგენცია სოფელს დაუბრუნდეს...“

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს სოფელი ავნევი სრულად განადგურდა და დღეს მოსახლეობისაგან დაცლილია.

>>

კონსტანტინე ამირაჯიბი

ფოტო: საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ფოტომატიანე,
მანანა ქურდიანის კოლექცია

2

კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივები და ორგანიზაციები

სოფელი ქვემო მაჩხაანი - ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი

[თამარ სიხარულიძე]

სოფელი ქვემო მაჩხაანი

ქვემო მაჩხაანი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირძველი სოფელია. როდიდან ხდება იგი ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის პრესისა და სოფელში შემორჩენილი ზეპირი ისტორიების მიხედვით, შეგვიძლია გავეცნოთ მის ყოველდღიურ ცხოვრებას.[1] ამ წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ უკვე მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან სოფელი ქიზიყის სტრატეგიული და ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ეპიცენტრი იყო. ეს განაპირობა სოფლის ფუნქციამ. აქ იყრიდა თავს ქიზიყის სავაჭრო-სახელოსნო დუქნების უმრავლესობა. მათი რიცხვი რამდენიმე ათეულს შეადგენდა. დღესაც მთავარი ქუჩის გასწვრივ, მთელი სოფლის გაყოლებაზე, შემორჩენილია თავდაპირველი დუქნების რიგი, ორსართულიანი ნაგებობები, რომელთა პირველი სართული ღია, გაშლილი თაღებით, სავაჭრო ოთახებად გამოიყენებოდა, მეორე სართული კი – სახელოსნოდ ან საცხოვრებლად.

ძლიერი ეკონომიკური რესურსის სოფელში თავმოყრამ ხელი შეუწყო ადგილობრივ მოსახლეობაში საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გააქტიურებას. ადგილობრივები, თვითორგანიზებით, თავადვე სახავდნენ პრიორიტეტებს სოფლის ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო

1 1819-20 წ.წ. პერიოდულ გამოცემებში, „ივერიაში“, „დროებაში“, „ლახვარსა“ და სხვ. კონკრეტულად ქვემო მაჩხაანზე დაახლოებით 80-მდე სტატია მოვიძიეთ.

მიმართულებითა და შემდეგ სხვადასხვა სახის ღონისძიებით თავადვე მოიძიებდნენ სახსრებს მსგავსი პროფილის დაწესებულებების დასაარსებლად. ამ პროცესში ადგილობრივებთან ერთად თანაბრად იყო ჩართული ქიზიყის მოსახლეობა მიმდებარე სოფლებიდანაც. იკვეთება სამოქალაქო ჩართულობის ორი სახე: ერთი, როცა თავად სოფელია ინიციატივის ავტორიც და შემსრულებელიც, და მეორე, როცა ერთი ადამიანი წამოჭრის იდეას და შემდგომ განახორციელებს სოფლის მხარდაჭერით.

საზოგადოებრივ-კულტურულ ღონისძიებებს ქვემო მაჩხაანში XIX ს-ის განმავლობაში თითქმის ყოველთვიური სახე ჰქონდა, ყველა ამ სახის წარმოდგენის ორგანიზებას ადგილობრივი ახალგაზრდები ახერხებდნენ. ზოგჯერ წინასწარაა მოცემული დაგეგმილი ღონისძიებების სია. მათ უმრავლესობას შეადგენდა სპექტაკლები, კომედიები და საცეკვაო წარმოდგენები. სპექტაკლებში ადგილობრივი მსახიობები თამაშობდნენ. პერიოდულად ჩამოდიოდნენ თბილისიდანაც. ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენების გამართვის მიზანი საზოგადოებრივი დაწესებულებების გახსნისთვის თანხის შეგროვება იყო (მაგ., სამკითხველო, თეატრი, ქალთა სკოლა და სხვ.). იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები ღარიბ ან სნეულ სტუდენტთა და მოსწავლეთა დასახმარებლად.[2] წარმოდგენებს ესწრებოდა ქიზიყის სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობა. ისინი, ვისაც ბილეთის თანხა არ ჰქონდა, უფასოდ დაიშვებოდნენ.

სოფელი ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი მოვლენებისთვისაც ახერხებდა მობილიზებას. საყურადღებოა 1887 წლის 8 ივლისს ქვემო მაჩხაანის სკოლაში გამართული სპექტაკლი „ცოლი თუ გინდა, ეს არის“. შეხვედრის ორგა-

---

2 ივერია 1891 წ., #174. ანოტაცია: საქველმოქმედო მიზნით დადგმული ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „ანეგდოტები“.
ივერია 1893 წ., #179. ანოტაცია: საქველმოქმედო მიზნით დადგმული პიესების ჩამონათვალი: კომედია „გაყრა“, კომედია „რაც არ მერგება, არ შემერგება“, სპექტაკლი „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.
ცნობის ფურცელი 1897 წ., #277. ანოტაცია: სტუდენტ ლ. ბილანიშვილის დასახმარებლად შეგროვილი თანხის შესახებ.

ნიზება, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ, მაჩხაანში მცხოვრებ ქალებს გაუწევიათ. ასე მოაგროვეს თანხა და ამ საზოგადოების ფონდში იმ დღეს 9 მანეთი და 42 კაპიკი გადარიცხეს.[3]

სურათის უკეთ წარმოსაჩენად განვიხილოთ საზოგადოებრივი დაწესებულებების შენების მაგალითები.

წიგნთსაცავი — ბიბლიოთეკა

ქიზიყისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვემო მაჩხაანში სამკითხველოს გახსნა: „ქვემო მაჩხაანის ახალგაზრდობამ განიზრახა გაჰმართოს ამავე სოფელში ქართული წიგნთ-საცავი, ამ მიზნით წარმოდგენილ იქნა ორ-მოქმედებიანი კომედია ალ. ცაგარელისა „ბაიყუში“ და „რაც გინახავს ვეღარ ნახავო“. ახლო მახლო სოფლებიდან დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა წარმოდგენაზე დასასწრებად. (ჩამოთვლილია შემომწირველებიც). ჩვენი ახალგაზრდობა კიდევ აპირებს წარმოდგენის გამართვას ამავე წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ამ ზაფხულს. იმედი ვიქონიოთ, რომ საზოგადოება ერთი-ორად უფრო მეტი დაესწრება. ამ წარმოდგენიდან ხარჯის გარდა დარჩა 27 მანეთი. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ, ქვემო მაჩხაანის წიგნთ-საცავის დამაარსებელი ახალგაზრდობა, ვინც კეთილს ინებებს და შემოსწირავს რასმე ან ფულით ან წიგნებით, მიჰმართოს ადგილობრივს მღ. ვასილ მენთეშაშვილს“[4].

მათი ორგანიზებით იმართებოდა წარმოდგენები, გაყიდული ბილეთების თანხა კი გროვდებოდა წლების მანძილზე, ყველა წარმოდგენის შემდგომ. ინფორმაციის გაშუქებისას დაკონკრეტებულია შემოსული თანხა. პარალელურად, ჩამ-

---

3 ივერია. 1887 წ., # 142. ანოტაცია: ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების სასარგებლოდ სპექტაკლის, „ცოლი თუ გინდა, ეს არის“ დადგმა. დ. მაჩხაანელის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

4 ივერია 1889 წ., #149. ანოტაცია: ქართული წიგნსაცავის დაარსების განზრახვა. ამ მიზნით წარმოდგენების „ბაიყუში“ და „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ დადგმა.

ოთვლილია იმ ადგილობრივების სახელები და გვარები, რომლებმაც ბიბლიოთეკისთვის თავიანთი სახსრებით შეიძინეს თუ დათმეს საკუთარი წიგნები. „მაჩხაანის წიგნთ-საცავს დაეხმარნენ წიგნების შემოწირვით: შ. ქუჩუკაშვილი, ნ. აღნიაშვილი, გ. შოშიაშვილი, დ. ზარაფიშვილი, თ. კევლიშვილი. დურგალმა ა. ინაშვილმა უსასყიდლოდ გააკეთა წიგნთ-საცავისთვის წიგნების საწყობი. საზოგადოება შემომწირველთ გულითად მადლობას უძღვნის“.[5] ამ პირების, შემომწირველების, ასე მოხსენიება აშკარად გააჩენდა მოსახლეობის ჩართულობის სტიმულს. მართლაც, სამი წლის თავზე, მათ დაასრულეს ეს საქმე და 1891 წელს ქვემო მაჩხაანის საზოგადო დაწესებულებების რიცხვს დაემატა ქართული წიგნთსაცავი და სამკითხველო. ბიბლიოთეკის გახსნამდე, 1889 წელს, სოფელში იქაური მღვდლის ძალისხმევით გაიხსნა წიგნის მაღაზია.[6] მანამდე, რომ სულ უბრალო ქართული წიგნი ნდომებოდათ, სიღნაღის მაზრაში მისი შეძენა შეუძლებელი იყო, აუცილებლად თბილისში უნდა ჩასულიყვნენ, ხოლო უკვე დაარსებულ წიგნის მაღაზიაში ნებისმიერი ქართული წიგნის შეძენა გახდა შესაძლებელი. წიგნის მაღაზიის გახსნასთან ერთად, ადგილობრივებში გაჩნდა ბიბლიოთეკის გახსნის სურვილი.

1894 წელს სოფლისთვის მნიშვნელოვანი იყო ათთიაქის დაარსება. ათთიაქთან ერთად იხსნება ქსენონიც (საავადმყოფო). პრესაში გავრცელებული განცხადებით, სოფელში სამუშაოდ იწვევენ ქართველ ექიმს. „გვაკლია ექიმი და ნასწავლი მამასახლისი, სოფლის საზოგადოება მოწადინებულია ჯამაგირით მოიწვიოს ექიმი, მხოლოდ მას უნდა, რომ ექიმი ქართველი იყოს“.[7]

5 ივერია 1891 წ., #174.
6 ივერია 1889 წ., # 169.
7 ივერია 1894 წ. #76

საგანმანათლებლო დაწესებულებები

ქიზიყის საგანმანათლებლო დაწესებულების უმრავლესობაც ქვემო მაჩხაანში იყრიდა თავს. 1894 წელს იხსნება სამკლასიანი სახელოსნო სასწავლებელი.

ამავე პერიოდში არსდება „საერო სამინისტრო სკოლა“, სადაც ძირითადად ორი მიმართულებაა – სახელოსნო და სამეურნეო განყოფილებები. ქიზიყელები თავად იყვნენ სკოლის დაარსების ინიციატორები და მთავრობისგან ელოდნენ გადაწყვეტილებას, „ზღვის ოდენმა ხალხმა ერთხმად სურვილი გამოაცხადა ყოველ წლივ მისთვის სახარჯო ფულის გამოყოფაზე, სკოლა იქნება სოფელ ქვემო მაჩხაანში, რომელიც შუა გული ბაზარია ქვემო ქიზიყისა“. ახალგახსნილი სკოლის დამფინანსებლებიც თავადვე არიან.[8]

1895 წელს, მოსწავლეთა სიმრავლის გამო, ადგილობრივი მცხოვრები (ქეთევან ზარაფიშვილი) დამატებით ხსნის კერძო მოსამზადებელ სასწავლებელს.[9] 1898 წელს იხსნება ქალთა სკოლა. ახალგაზრდებმა ერთი წლით ადრე დაიწყეს ამ სკოლის დასაარსებლად ზრუნვა და სპექტაკლების გამართვა თანხის მოსაძიებლად.[10] წამოწყებას შეუერთდნენ ადგილობრივი მეცენატები, „დ. მაჩხაანელმა შესწირა ამ დღეებში ქვემო ქიზიყელებს ას თუმნად ღირებული საკუთარი შენობა-ადგილი საქალებო სკოლისათვის, სადაც პირველ დაწყებით სწავლასთან ერთად ჭრა-კერვისა და რთვა-ქსოვის კურსებიც იქნება მოზრდილებისთვის“.[11] მის მაგალითს იღებენ სხვა შემომწირველებიც.

1895 წელს დეპოს და ადგილობრივი ბანკის დაარსებამ, მათმა წარმატებულმა მუშაობამ განაპირობა იმ იდეის გაჩენა, რომელიც უკვე მაჩხაანში კი არა, ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში განხორციელდება სახელმწიფო უნივერსიტეტის

8 კვალი 1894 წ. #43.
9 ივერია 1895 წ., # 23.
10 ივერია 1897 წ. # 162.
11 ივერია 1898 წ., #16.

გახსნით. „მომავალში არათუ საშუალო სასწავლებლს, უმაღლეს სასწავლებელსაც კი გაუმკლავდებოდა სიღნაღის უმდიდრესი მაზრა – ქიზიყი.“[12]

სახალხო სახელოსნო დეპო-ბანკი

საავჭრო სახელოსნოების სიმრავლის გამო, ქვემო მაჩხაანში ეწყობოდა ხელოსანთა, მევენახეთა, მეცხვარეთა ერთობლივი კრებები, რომელთა ფარგლებშიც ერთიანი ძალებით აარსებდნენ მაღაზიებსა და საამქროებს, არა მარტო სოფელში, არამედ სხვა ქალაქებშიც. სწორედ ადგილობრივთა ასეთი გაერთიანება გახდა იმის საფუძველი, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, 1895 წელს, სოფელში დაარსდა ამიერკავკასიაში პირველი საავჭრო-სახელოსნო დეპო. მისი აუცილებლობა და მნიშვნელობა ფართოდაა გაშუქებული იმდროინდელ პერიოდულ პრესაში.

1894 წელს ქვემო მაჩხაანში იმართება ქიზიყელთა ერთობლივი კრება – სახალხო დეპო-ბანკის პროექტის განსახილველად. „პროექტის განხილვის შემდეგ კრებამ ამოარჩია დეპო-ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დ. ნადირაძე და წევრებად მასწავლებელი დ. ჯავიშვილი, პროვიზორი ს. კურცხალია და ვაჭარი ი. მატიაშვილი; რევიზიის წევრებად მღ. ი. ტუკუშაშვილი, მღ. ა. ბენაშვილი, მღ. ვ. ღვთისავარიშვილი და ვაჭარი ა. ნადირაძე. გამგეობა უკვე შეუდგა სხვა და სხვა თადარიგს და იმედი აქვს მომავალ წელს დააწყებინოს დეპო-ბანკს მოქმედება ქვემო მაჩხაანში“.[13] 1895 წელს, შენობის საძირკველი საზეიმოდ აკურთხეს და იწყება მშენებლობა, რომელიც ამავე წლის მიწურულს სრულდება. დაწვრილებითაა დაანგარიშებული ახლად გახსნილი დეპოს ათთვიანი მუშაობის შეჯამება. „დეპოს თავდაპირველად ჰქონია 9,030 მ. ამ ფულით ათი თვის განმავლობაში უვაჭრია 40,529 მ. და 65 კ. მოგება ყოფილა 4,398 მ. და 80 კ. აქედან თანახმად წესდებისა გამოერიცხათ 20 %

12 კვალი 1896 წ. #34.

13 ივერია 1894 წ., #171.

საქველმოქმედოთ და 20 % ძირი თანხის გასადიდებლად“.[14] ხელოსნების, მებაღეების, მეცხვარეებისა თუ მოვაჭრეების გაერთიანებით შექმნილი სავაჭრო სახელოსნო დეპო-ბანკი თავიდანვე აქტიურ საქმიანობას ეწევა. დედაქალაქში აარსებენ ღვინის, მატყლის, თამბაქოსა თუ სხვა ნაწარმის მაღაზიებს. მაჩხაანში, ბაზრის მოთხოვნის გამო, ამატებენ შალის, ხურჯინებისა და ფარდაგების საფეიქროს. იზრდება ადგილობრივი დუქნების რიცხვიც. დეპო-ბანკის თანხა ბევრ სასიკეთო საქმეს ხმარდებოდა, მაგალითად, ამ თანხის მარაგით 1901 წელს გვალვისა და მოუსავლიანობისას შეძლეს მოსახლეობისთვის ფქვილის შეძენა[15]. ხშირად იმართებოდა დეპო-ბანკის წევრების, მომხმარებელი საზოგადოების კრებები, უმეტეს შემთხვევაში, ძირითადი სამსჯელო საგანი იყო „გამგეობის მოხსენება საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და მსჯელობა საზოგადოების გაუმჯობესების შესახებ“.[16]

თეატრი

1899 წელს მთელი ქიზიყისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თეატრის მშენებლობის დასრულება. დაახლოებით ათი წლით ადრე დაიწყო მაჩხაანში სათეატრო წარმოდგენები და ამ გზით თანხის შეგროვება, რომელიც თეატრის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა. ტრადიციისამებრ, წარმოდგენებს ახალგაზრდები უწევენ ორგანიზებას. მაგალითად, 1892 წელს „იმართება წარმოდგენა ქვემო მაჩხაანის სათეატრო დარბაზისთვის. ღარიბი ხალხი უფასოდ იყო მოწვეული. ქვემო მაჩხაანის ახალგაზრდობა კიდევ ახერხებს ამ მოკლე ხანისთვის წარმოდგენას ამავე საქმის სასარგებლოდ და იმედიც არის, მრავალი ხალხი დაესწრება გარშემორტყმული სოფლებიდან“.[17] შემოწირულობაში დიდ როლს ასრულებს დეპოს გაღებული თანხაც. სათეატრო წარმოდგენებს ესწრება მთელი

14 კვალი 1896 წ. #34.
15 ივერია 1901 წ., #196.
16 კვალი 1898 წ. #47.
17 ივერია 1892 წ. # 142.

ქიზიყის საზოგადოება.[18]

როგორც დავინახეთ, სპექტაკლების გამართვის ტრადიცია ქიზიყში უკვე წლებს ითვლიდა. იგი სკოლის შენობაში ან ღია ცის ქვეშ იმართებოდა. სოფელს ჰყავდა თავისი სამსახიობო დასი, რომელსაც მადლობებისა და მოწონებების გვერდით, ზოგჯერ აკრიტიკებენ წარმოდგენის რიგიანად ვერშესრულების გამო.[19] აშკარაა, რომ თეატრის აშენების მოთხოვნილება და საჭიროება სოფლის რეალური სურვილი იყო, რომლის მშენებლობასაც აქტიურად შეუდგებიან კიდეც და რამდენიმე წელში დაასრულებენ. თეატრის მშენებლობაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მაჩხაანში მცხოვრებ საზოგადო მოღვაწეს, დიმიტრი მაჩხაანელს (ნამდვილი გვარი ნადირაძე).[20]

უკვე 1899 წელს თეატრის ახალგახსნილ შენობაში, თბილისიდან ჩამოსული სტუმრების თანდასწრებით, იმართება საზეიმო წარმოდგენა. თეატრი თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით სავსებით შეესაბამება იმ დროისთვის ხელმისაწვდომ სტანდარტებს.[21] თეატრის შენობაში, სპექტაკლების გარდა, იმართებოდა ლექციები ადგილობრივი მოსახლეობისთვის – სოფლის მეურნეობაზე, მედიცინასა და ჰიგიენაზე. სოფელში აღმოჩნდა ძველი ფოტო, სადაც თეატრის მშენებლობაა ასახული. მასზე კარგად ჩანს, როგორ შენდება

18 ივერია 1893 წ. # 179.

19 ივერია 1891 წ. # 174 წ.

20 იგი დაიბადა1861 წლის11 იანვარს, სოფელ ქვემო მაჩხაანში, იყო მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგიდა ბევრი სასიკეთო საქმის წამომწყები.

21 დღეს სოფელში შემორჩენილ ნაგებობათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწორედ ეს მეცხრამეტე საუკუნის თეატრია. იგი სოფლის ცენტრში დგას, ძველი სკოლის შენობის გვერდით. თეატრი არაჩვეულებრივადაა შერწყმული სოფლის კარგად შემორჩენილ ურბანულ სახესთან. ნაგებია აგურით, ფასადები შელესილი და შეღებილია, მთავარი ფასადი საპარადო შესასვლელითა და პარაპეტითაა აქცენტირებული. ინტერიერში მთავარი ადგილი თეატრის დიდ დარბაზს ეთმობა, რომელიც პარტერის ჩათვლით ორასამდე მაყურებელს იტევდა. თეატრს თავიდან მოძრავი სცენა ჰქონდა, რომელიც მოგვიანებით მოხსნეს. ინტერიერში ახლაცაა ხის თავდაპირველი ავეჯი, ორნამენტირებული მოდერნული სტილის სკამებით; შემორჩენილია თეატრის დეკორაცია, ორი ფერწერული ტილოც, ერთი ადრეული, ტყის ფერწერული ტილოა, მეორე კი, შედარებით გვიანდელი – ფარდა ლენინის გამოსახულებით ჰესების ფონზე. ორივე ისევ ამშვენებს სცენას. რაც ამ თეატრს აქვს განსაკუთრებული, გარდა ისტორიისა, ეს მისი კარგად შემორჩენილი პირვანდელი გარემოა.

ერთიანი ძალით სოფლის მნიშვნელოვანი კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულება.[22] სოფელ მაჩხაანში გახსნილი თეატრი ერთ-ერთი პირველია საქართველოში. მისი აშენების სურვილი ადგილობრივი მცხოვრებლებისგან მოდის და თავადვე, ერთობლივი ძალებით აშენებენ ათიოდე წელში.

საინტერესოა მეოცე საუკუნის დამდეგს სოფელში არსებული განწყობა. როგორ ეგებებიან ახალ საუკუნეს და როგორი იმედი და გეგმები აქვთ. თუმცა მათი მოლოდინი, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ მრავალ ოჯახს მოუწია სოფლის დატოვება, შეფიცულთა მომხრეები – დახვრიტეს. თუ აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათი იყო ეკლესია-მონასტერთა ნგრევა, ეს მაჩხაანელთათვის განაჩენად იქცა: დაანგრიეს სოფლის ძველი ეკლესია, გაანადგურეს იმ საზოგადო მოღვაწეთა და სასულიერო პირთა საფლავები, რომლებიც ეკლესიის ეზოში მდებარეობდა. ამ ყოველივემ ძირფესვიანად შეცვალა სოფლის ცხოვრება. დუქნები თანდათან იხურებოდა, ხოლო ბაზრის სხვა სოფელში გადატანამ მთლიანად უფუნქციოდ დატოვა სახელოსნო-საავაჭრო დუქნები.

ეს ის მნიშვნელოვანი ისტორიაა სოფლისა, რომლის გაცნობაც საშუალებას გვაძლევს, ზუსტად განვსაზღვროთ შემორჩენილი არტეფაქტების მნიშვნელობა და ხასიათი.

დღეს, ყოფილ საავაჭრო-სახელოსნო დუქნებთან ერთად, სოფლის განაშენიანებაში ჩართულია თავდაპირველი სკოლების, ქსენონისა და, რაც მთავარია, თეატრის ნაგებობაც. ბიბლიოთეკის, დეპო-სახალხო ბანკის, აფთიაქსა და სხვა შენობებს ჩვენს დრომდე აღარ მოუღწევიათ. შემორჩენილია მეცხრამეტე საუკუნის ბევრი ღირებული საცხოვრებელი სახლიც. ეს არტეფაქტები, სამოქალაქო ცხოვრების ამსახველ ისტორიებთან ერთად, არა მხოლოდ რეგიონული, ქვეყნის მასშტაბითაც მნიშვნელოვანი ობიექტებია.

---

22 შემდგომში გამართული სპექტაკლების შესახებ დაინტერესებულმა მსურველებმა კვლავ ძველ პრესას უნდა ჩახედონ, სადაც ჯეროვნადაა გაშუქებული სათეატრო ცხოვრება.

ამგვარად, ქვემო მაჩხაანში, მართლაც უპრეცენდენტო მოვლენასთან გვაქვს საქმე. საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება მრავალმხრივაა გაშლილი. ყველა მცხოვრებს თანაბრად აქვს გაცნობიერებული სოფლის მართვის საქმეში თავისი ფუნქცია და შესაძლებლობები. ერთიანი ძალით მრავალი ინიციატივის განხორციელებას სულ მოკლე ხანში ახერხებენ. მსგავსი ისტორიული სოფლები საქართველოში არც ისე ცოტაა. ამ მიმართულებით კვლევა ჯერ არ განხორციელებულა და ესეც პირველი მცდელობაა მათ გამოსავლენად. დღევანდელი გადასახედიდან, გასაოცარიც კია მოქალაქეების ასეთი მაღალი თვითორგანიზება და პასუხისმგებლობა. ეს ცხოვრების ის ბუნებრივი წესია, რომელიც არსებობდა საქართველოში 1921 წლამდე. ბუნებრივია, რეპრესიებმა, შიშმა, თაობების უმოქმედობამ გამოიწვია მისი სახეცვლა იმ დონემდე, რომ დღ ეს, თუნდაც 150 წლის წინანდელი ამბები, ძალიან შორეულად აღიქმება და ბევრი რამეც წაშლილია მეხსიერებიდან.

>>

სოფელ ქვემო მაჩხაანის
თეატრის შენობა

ფოტო: კულტურული მემკვიდრეობის
არასამთავრობო მონიტორინგი

გურიის სახალხო ბიბლიოთეკა

[ირაკლი ხვადაგიანი]

გურიის სახალხო ბიბლიოთეკა

XX საუკუნის დასაწყისში, გურიის, როგორც რუსეთის იმპერიაში პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარის რეპუტაციას (გლეხთა სოციალური მოძრაობითა და რევოლუციური ბრძოლის სამაგალითო ეპიზოდებით) საფუძვლად დაედო ათწლეულებით ადრე ენთუზიასტების მიერ წამოწყებული კულტურული რევოლუცია, რომლის შედეგადაც XIX საუკუნის ბოლოსათვის გურიის სოფლები სახალხო სკოლების ქსელების მუშაობით, ბიბლიოთეკების სიმრავლით, კულტურული ინიციატივებითა და მოსახლეობის განათლების დონით საჩვენებელ მაგალითად იქცა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განმანათლებლობის კომპანიის ინიციატორები ცდილობდნენ საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნა სოფლის მოსახლეობისთვის გაეცნოთ. მათ მიზანს ახალი ცოდნის უპირატესობის ჩვენება წარმოადგენდა, რასაც სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ბავშვებში განათლების მიღების უზრუნველყოფისთვის უნდა შეეწყო ხელი. კამპანიის ინიციატორები თვლიდნენ, რომ მხოლოდ აქტიურ მოქალაქეთა ორგანიზებულ ძალად ჩამოყალიბებული გლეხობა შეძლებდა თვითორგანიზებასა და პოლიტიკური ბრძოლით შედეგის მიღწევას. ამ მრავალწლიანი კულტურული გარდატეხის ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1890-იანი წლების დასაწყისში გურიაში პირველი სახალხო ბიბლიოთეკის ორგანიზება.

გურიის სახალხო ბიბლიოთეკის დაარსება

გურიაში განახლების პირველ ნაბიჯად, არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამრევლო და სამინისტრო სკოლების გამოყენება და მათი კულტურულ კერებად გადაქცევა, ძნელ ამოცანად იქცა: ერთი მხრივ, იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის, ხოლო, მეორე მხრივ, მახინჯი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობის გამო, რომელიც არაფრით არ ეხმარებოდა მოსწავლეების გონებრივ განვითარებასა და დაზეპირებისაკენ იყო მიმართული; ამის მიუხედავად, ენთუზიასტმა მასწავლებლებმა მაინც შეძლეს პირველი ნაბიჯების გადადგმა არსებული, ოფიციალური სკოლების შიგნით, პროგრამის გვერდის ავლით, თანამედროვე პედაგოგიური მიდგომებით, საკუთარი აღმზრდელობითი ნიჭითა და პრაქტიკით სასწავლო პროცესის წარმართვა. პარალელურად, სკოლის გარეთ, მოსამზადებელი წრეების საშუალებით, სრულიად თავისუფალი საგნმანთლებლო სივრცეების შექმნა.

შედეგად, მოსწავლეთა რიცხვის ზრდის, ინტერესის გაჩენისა და გამოცოცხლების კვალდაკვალ, გურიის სახალხო მასწავლებლებსა და განმანათლებლობის მომხრე ადგილობრივ მოქალაქეებს შორის გაჩნდა აზრი, რომ აუცილებელი იყო დიდი წიგნთსაცავის მოწყობა, რომელიც სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას ვერ ახერხებდნენ, საშუალებას მისცემდა თვითგანვითარება გაეგრძელებინათ. უახლესი და აუცილებელი ლიტერატურითა და პრესით მოამარაგებდა წერა-კითხვის ყველა მცოდნეს, რომელთა რიცხვი, სახალხო მასწავლებელთა მუშაობის შედეგად, იზრდებოდა.

1890-იანი წლების დასაწყისში, გურიის პირველი სახალხო ბიბლიოთეკის მოწყობის მთავარი ორგანიზატორები იყვნენ: მასწავლებლები – ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე და ლავრენტი წულაძე.

ისიდორე რამიშვილი ტფილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ, სადაც ხალხოსნურ-რევოლუციურ ჯგუფებში

მუშაობდა, მცირე ხნით წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში მასწავლებლობდა, ხოლო შედგომ მშობლიურ სოფელ სურებში დაბრუნდა და სახალხო სკოლა დააარსა, რომლის წარმატება სამაგალითო გახდა, არა მხოლოდ გურიისათვის.

არსენ წითლიძე ხონის საოსტატო სემინარიის დასრულების შემდეგ სოფლის მასწავლებლად მუშაობდა სხვადასხვა სკოლაში, ბოლო ხანებში კი საკუთარი სოფლის, აკეთის თემში, ვანის სკოლაში მასწავლებლობდა; მის „მოსამზადებელ წრეებში“ განათლებისაკენ პირველ ნაბიჯებს დგამდნენ გურული ბავშვები, რომლებიც შემდგომში ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები გახდნენ.

ლავრენტი წულაძის მამის – მღვდლის, ივანე წულაძის ოჯახი ჭანჭათში, ანალოგიური და საყოველთაოდ ცნობილი კულტურული სივრცე იყო ადგილობრივი საზოგადოებისათვის. აქ მუდმივად იყო ახალგაზრდა განმანათლებლებისა და პოლიტიკური მომუშავეების სტუმრიანობა. მათი ხანგრძლივი დისკუსიები ადგილობრივი პრობლემებისა და საზოგადოების განვითარების მოდელებზე, დამატებითი საგანმანათლებლო წყარო იყო სკოლის მოსწავლეებისათვის. ლავრენტი წულაძე მასწავლებლობის პარალელურად გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი იყო და ხშირად აცნობდა საზოგადოებას გურიის სიახლეებსა და საჭიროებებს.

ინიციატორებმა ბიბლიოთეკის მოსაწყობად შეწირულობების შესაგროვებლად, საზოგადოებას დახმარებისთვის პრესის საშუალებით მიმართეს. ასევე ადგილობრივად მოწყობილი ღონისძიებებით ცდილობდნენ იდეის პოპულარიზაციასა და სახსრების მობილიზებას. სოფლებში მართავდნენ თეატრალურ წარმოდგენებსა და მიღებულ შემოსავალს ბიბლიოთეკის ფონდს უგზავნიდნენ. ყოველ სახალხო თავყრილობაზე მოსახლეობას განუმარტავდნენ ბიბლიოთეკისა და განათლების მნიშვნელობას.

ბიბლიოთეკის დაარსებაში ენთუზიაზმით ჩაერთო გურიის საზოგადოების ყველა ფენა. მის მხარდამჭერად და დამფინან-

სებლებად გამოვიდნენ თავადი გურიელები, თავადის ასული თავდგირიძე სახალხო წარმოდგენების გამართვას ხელმძღვანელობდა, შემომწირველების სახელები კი პრესაში ცხადდებოდა და მეტად იზიდავდა საზოგადოების ყურადღებას. შემწირველთა შორის ართვინში, მაღაროში, სამუშაოდ გადახვეწილი გურული მუშებიც კი იყვნენ.

1893 წლისათვის, შეგორვილი ფულით, საქმის მოთავეებს ორი ამოცანა უნდა გადაეწყვიტათ – ბიბლიოთეკის შენობა შეეძინათ და ფონდი ლიტერატურითა და პრესით დაეკომპლექტებინათ.

გურიის პირველი სახალხო ბიბლიოთეკის ადგილის არჩევას, თავდაპირველად ვიწრო წრეში, დიდი დისკუსია დასჭირდა. ერთი მხრივ, ყველა თვლიდა, რომ ბიბლიოთეკის მთავარი მომხმარებელი სოფლის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, ამიტომ იგი ისეთ ადგილას უნდა მოწყობილიყო, რომ გურიის ყველა მხარის ბინადრებისათვის ერთნაირად ადვილად მისადგომი ყოფილიყო. ასეთი ცენტრალური ადგილი ნაგომარის მიდამოები იყო, თუმცა ამ სოფლის ეკოლოგიური მდგომარეობის (ჭაობიანი ნიადაგი) და ზოგადი განუვითარებლობის გამო მასზე არჩევანი არ შეაჩერეს. ოზურგეთი, როგორც მაზრის ცენტრი და ქალაქის ტიპის დასახლება, თავიდანვე გამორიცხეს, რადგან ბიბლიოთეკას სწორება სოფლის მოსახლეობაზე ჰქონდა, ასევე ბახვის ალტერნატივაზეც უარი თქვეს, რადგან იქ უკვე არსებობდა სახალხო სკოლა, რომელიც განვითარებული საგანმანათლებლო კერა იყო სახალხო მასწავლებლების გიგო და ნინო შარაშიძეების ხელმძღვანელობით და იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის მფარველობით. ბიბლიოთეკის განთავსებისათვის ყველაზე მიმზიდველ ვარიანტად ჩოხატაური ჩანდა, რომელიც მთავარი გზის პირას მდებარეობდა. სოფელს ჰქონდა სკოლა, კანცელარია, ფოსტის განყოფილება, ამბულატორია და სამომრიგებლო სასამართლო, რის გამოც მაზრის მცხოვრებთა დიდი მისვლა-მოსვლა იყო. მსგავსი მიმზიდველი პირობების მიუხედავად, ინიციატორებმა უპირატესობა მაინც ცენტრალურ ადგილმდებარეობას მიანიჭეს და ნაგომარის ნაცვლად, სადაც საქმეს ადგილობრივი პი-

რობები ხელს არ უწყობდა, ბიბლიოთეკის მოწყობა სოფელ აკეთში გადაწყვიტეს. ამ არჩევანს მეორე, საქმისათვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანი არგუმენტი ედო საფუძვლად. აკეთის სკოლაში ასწავლიდა არსენ წითლიძე, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ბიბლიოთეკის მოვლა-პატრონობას.

ფორმალური წინააღმდეგობების გადასალახავად (ინიციატორებს, სახლახო მასწავლებლებს არ ჰქონდათ საშუალება თავად ყოფილიყვნენ განმცხადებლები), ბიბლიოთეკის გახსნაზე პასუხისმგებელ პირად წარუდგა მაზრის ადმინისტრაციას აკეთის მკვიდრი ჯამულეთ ბაჟუნაიშვილი. აკეთში ბიბლიოთეკისათვის შეარჩიეს გასაყიდად მომზადებული ახალი სახლი, რომლის პატრონმაც – გლეხმა, ნიკო ქურიძემ (მას აუხსნეს განზრახვა სახლში ბიბლიოთეკა განთავსებულიყო და მისი მნიშვნელობა გურიის გლეხობის განათლებისათვის) შენობა ნახევარ ფასად დათმო.

ინიციატორები – ისიდორე რამიშვილი და არსენ წითლიძე დარჩენილი ფულით ბიბლიოთეკისთვის წიგნების შესაძენად თბილისში გაემგზავრნენ. მათ ჩამოიარეს არსებული გამომცემლობები და გაზეთების რედაქციები, რომელთა დიდმა უმრავლესობამ საკუთარი გამოცემების კომპლექტები საჩუქრად გადასცა ბიბლიოთეკას და პირობა მისცა, რომ ახალი გამოცემებითაც მოამარაგებდა. პარალელურად, კერძო პირებმა მრავალი მნიშვნელოვანი წიგნი შესწირეს ბიბლიოთეკას (თანამედროვეთა გადმოცემით, ინიციატორთა სოციალისტობის გამო, ილია ჭავჭავაძე თავდაპირველად ცივად მოეკიდა წამოწყებას, თუმცა შემდგომ საკუთარი თხზულებების ტომეული აჩუქა ბიბლიოთეკას).

სახალხო ბიბლიოთეკის პირველი ნაბიჯები

1893 წლის 22 აგვისტოს (ძველი სტილით) გურიის სახალხო ბიბლიოთეკა საზეიმოდ გაიხსნა. გახსნაზე არ მისულა მაზრის ადმინისტრაციის არც ერთი მოხელე. სამაგიეროდ, გურიის ყველა კუთხიდან იყვნენ საზოგადოებების წარმომადგენლები.

ხალხმრავალი ყრილობა თავისუფალი სიტყვისა და ახალი იდეების ცხადად და პირდაპირ გავრცელების ზეიმად იქცა.

გახსნის შედგომ მკითხველთა და გულშემატკივართა ყურადღება ბიბლიოთეკის მიმართ სტაბილურად ნარჩუნდებოდა. თუმცა, დამაარსებლებს ყურადღების მიღმა არ რჩებოდათ ფაქტი, რომ მაზრის მოსახლეობისთვის აკეთი მაინც არ იყო ადვილად მისაწვდომი ადგილი. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ სანამ მკითხველი მიაკითხავდა ბიბლიოთეკას, თავად მისულიყვნენ მკითხველამდე და ლიტერატურის სხვადახვა სოფლებში გატანა-გავრცელების გეგმა დასახეს, რომლის განხორციელებაში ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები აქტიურად ჩაერვთნენ.

ამ შეერთებული ძალისხმევის თვალსაჩინო შედეგს საინტერესოდ აღწერს ზაქარია ჩიჩუა (შემდგომში ცნობილი სოციალ-დემოკრატი) თავის მოგონებებში:

„...ერთ შვენიერ დღეს, პაპანაქება სიცხის დროს, ხვირჯინის ორთავე თვლების სხვადასხვა წიგნებით გაიმსო, თქვენს უმორჩილეს მონას აჰკიდეს და სოფელ-სოფელ წიგნების დასარიგებლად ააღოღეს. ვიტყვით და თქვენ კი სატრაბახოდ ნუ ჩამომართმევთ, რომ ხვირჯინ აკიდებულს სოფელ-სოფელ ორღობეშუა მიმავალს თავი მოგვწონდა, ვინაიდან სხვისი გონების ნაწარმოები და ცოდნა დაგვქონდა და თანაც ამ ცოდნას ვარიგებდით, ამ კუთხის და იმ კუთხის ამბებს ვგებულობდით, ვის რა წიგნი აინტერესებდა და ეხალისებოდა ვტყობილობდით და საცა კი მივიდოდით თუთიყუშივით გავიძახოდით: წიგნები იკითხეთ, ცოდნა შეიძინეთ და ჩვენც ჩვენს ხვირჯინს მოვხსნიდით თავს, ამოვიღებდით წიგნს და გულუხვ მასპინძელს უნდოდა თუ არ უნდოდა, ხმა მაღლათ უკითხავდით: „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“... და სხვა.

სოფლიდან სოფლად წიგნების ტარებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. მისი მოთხოვნილება საზღაპროთ გაიზარდა. სოფლის მაშინდელი მკითხველნი უფრო ითხოვდენ: აკაკი

წერეთლის, ე. ნინოშვილის, ალ. ყაზბეგის, შოთა რუსთაველის თხზულებებს. ყველას სურვილი ქონდა პირველ ყოვლისა დასახელებული თხზულებები წაეკითხათ. ძლიერ მოკლე დროში, აქა-იქ, მკვიდრთა ოჯახებს საკვირველი ცვლილება დაეტყო, სხვადასხვა უსმიამოვნო და უწმაწური ლექსების ნაცვლათ ახლა ჩანგურზე გიტარაზე და ბუზიკაზეც აკაკის ლექსებს ამღერებენ. პაწაწინა ბავშვები, ჯერ კიდევ ანბანის უვიცნი, კაჭ-კაჭივით გაიძახოდენ – აკაკიმ თქვა: „მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკით გადმომძახა; გაზაფხული, გაზაფხული“-ო... ყველა დიდი და პატარა წანაკითხს და სხვის მიერ წაკითხულსაც ძლიერ სწრაფვათ ითვისებდენ და იმ ზომამდეც კი მივიდენ, რომ ზოგიერთი აკაკის ლექსებს თავისებურათ აკეთებდენ, სიტყვებს ავტორს უცვლიდენ. ეს გადამკეთებლები უფრო წერა-კითხვის უვიცნი იყვენ. ერთხელ არს. წითლიძეს შევჩივლეთ: ცუდათაა საქმე, თქვენმა მკითხველებმა ლამის არის აკაკი წერეთელი გააყალბონ-მეთქი და გადაკეთებული ლექსების რამდენიმე მაგალითი მოუყვანე.

– კაცო, შენ მაგი ნუ გადარდებს – გვითხრა არსენმა – ეს ბედნიერებაა, დეე აკაკის სიტყვები აქა-იქ შესცვალონ, გადააკეთონ! „შენც ლამაზი, მეც ლამაზი კეკეჯან, გაღმა გავალ გამოგიტან ქოშებსა“ და სხვა, აი ამის მღერას იქნებ თავი დაანებონ და ჩვენი გამარჯვებაც ეს იქნებაო...

„მეტად კარგი სანახავი იყო, დღესაც სასიამოვნო მოსაგონია, რომ მეტადრე კვირა-უქმეებში და საქმის დღეებშიაც საღამოობით ქალ-ვაჟნი და დასირისტიანებული გლეხები ბიბლიოთეკის გვარიან მოგრძო მაგიდის ირგვლივ ისხდენ და ხმამაღლათ წიგნის, თუ გაზეთის მკითხველს გულმოდგინეთ, ბეჯითად და სასოებით ყურს უგდებდენ. ასე გეგონებოდათ, ღრმათ მორწმუნენი საყდარში თავმოყრილან და სულის საოხათ მქადაგებლის სიტყვებს ისმენენო. ბიბლიოთეკას ახალგაზრდა და მოხუცნი თანდათან ეტანებოდენ და მკითხველთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა. იგი ძლიერ მოკლე დროში შეუმჩნევლათ ხალხის საკუთრება გახდა და მის ერთ მოთხოვნილებათ შეიქნა თუ წინეთ მწიგნობარი და მწიგნობრობა ჩვენში რჩეულთა ხვედრი იყო, დღიდან კი იგი დემოსს მიუახლოვდა და მისთვისაც ხელმისაწდომი შეიქნა.“

სახალხო ბიბლიოთეკის წარმატების სტატისტიკა

არსებობის პირველ წლებში, სანამ ბიბლიოთეკის საქმეს არსენ წითლიძე განაგებდა, მისი ეფექტურობა ცხადი იყო. საილუსტრაციოდ, პრესაში გაშლილი დისკუსიის ფონზე, რამდენად მიზანშეწონილი იყო გურიის სახალხო ბიბლიოთეკის აკეთში გახსნა, საქმის მოთავეები დროგამოშვებით ათავსებდნენ ბიბლიოთეკის მუშაობის სტატისტიკურ ცნობებს, რომელთა თანახმადაც, მაგალითად, 1895 წელს, ორი თვის განმავლობაში, ბიბლიოთეკით 21 სოფლიდან 315 ადამიანმა ისარგებლა, მომდევნო ორ თვეში კი 200-მა მკითხველმა 600-მდე ერთეული გაიტანა წასაკითხად. გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით, მომხმარებელთა რიცხვი სტაბილური იყო, დათვარვის ზონა კი თანაბრად სწვდებოდა გურიის ყველა მხარეს, უფრო მეტიც, ბათუმიდანაც კი გაიტანეს წიგნი წასაკითხად. ამავე დროს, კოლექტიური კითხვის გამო, მკითხველთა რეალური რიცხვი 10-ჯერაც აღემატებოდა ფიქსირებულ მომხმარებლებს.

პირველი სახალხო ბიბლიოთეკის განვითარების შემაფერხებელი მიზეზები. წარმატებული მაგალითის გავლენა მხარის განვითარებაზე

სტატისტიკის მიუხედავად, ბიბლიოთეკის ამოქმედებისთანავე, მალე უკვე პრესაში გაგრძელდა დისკუსია სახალხო ბიბლიოთეკის აკეთში განთავსების ავკარგიანობაზე; კრიტიკოსების არგუმენტები კვლავ ძნელად მისადგომობა და ადგილობრივ მცხოვრებთა მცირე რიცხვი იყო. ბიბლიოთეკის დამფუძნებლები კი პრაქტიკული გამოცდილებიდან აღებული სტატისტიკითა და მაგალითებით იცავდნენ გადაწყვეტილების სისწორეს და ბიბლიოთეკის მუშაობას წარმატებულად აფასებდნენ.

პირველი საფრთხე ამ წამოწყების განვითარებას განათლების ინსპექციის გადაწყვეტილებამ შეუქმნა – არსენ წითლიძე მასწავლებლად მიქელგაბრიელის თემში გადაიყვანეს, ამასობაში ლავრენტი წულაძეც ფოთის სამრევლო სკოლაში გადავიდა

და სახალხო ბიბლიოთეკის მოვლა-პატრონობა ადგილობრივ მოსახლეობას დააწვა, ჯამულეთ ბაჟუნაიშვილის ხელმძღვანელობით.

თავის მხრივ, მაზრის ადმინისტრაცია ყოველნაირად შეეცადა პრობლემები შეექმნა ახალი, არასასურველი წამოწყებისათვის, რომლის ინიციატორები ხალხში მთავრობისათვის მიუღებელ იდეებს ავრცელებდნენ; მათ მიიმხრეს ახლად მივლენილი მასწავლებელი – ვალერიან მებუკე (რომელიც უგულოდ მოეკიდა ბიბლიოთეკის საქმეებს და სკოლასთან მის კავშირს) და სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება სცადეს ბიბლიოთეკის ფაქტობრივი დამაარსებლების წინააღმდეგ. თითქოს მათ განზრახვა ჰქონდათ ახალი მასწავლებელი მოეკლათ; ამ საბაბით ძიების დაწყებამ მათ საშუალება მისცა ბიბლიოთეკა დაელუქათ და მისი მუშაობა შეეჩერებინათ, თუმცა საქმის მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ მაზრის გამომძიებელი თავად იყო ბიბლიოთეკის მომხმარებელი და გულშემატკივარი; იგი ადვილად გაერკვა საქმის უსაფუძვლობაში და ძიება შეაჩერა, ბიბლიოთეკას კი მოქმედების გაგრძელების საშუალება მიეცა.

მომდევნო წლებში თავი იჩინა სხვა სახის პრობლემებმა: ერთი მხრივ, პრესაში გაშლილი დისკუსიის კვალდაკვალ, რომელიც ადგილმდებარეობის სისწორეს ეხებოდა, დამაარსებლებმა მოწინააღმდეგეებს მოუწოდეს, რომ თუკი ისინი უკმაყოფილონი იყვნენ სახალხო ბიბლიოთეკის სიშორით და ეს აწუხებდათ, თვითონვე ეთავათ საკუთარ სოფლებსა და დაბებში სამკითხველოების გახსნა. ამ არგუმენტმა და გურიის, აკეთის სახალხო ბიბლიოთეკის პირველი წლების წარმატებამ, ერთი მხრივ, მაგალითი მისცა სხვა ენთუზიასტებს, ხოლო, მეორე მხრივ, ობიექტური მოთხოვნილება გააჩინა სოფლებში ლიტერატურის გავრცელებაზე, რასაც აკეთის ბიბლიოთეკა უკვე ვეღარ აუდიოდა და მალევე გურიის სოფლები სამკითხველოების ქსელით დაიფარა. შესაბამისად, აკეთის ბიბლიოთეკას ხელმომწერები, ფინანსური მხარდამჭერები და მკითხველები დააკლდა და თანდათან მხოლოდ ადგილობრივი მკითხველების მომსახურეობაზე გადაერთო.

ჯამულეთ ბაჟუნაიშვილმა სცადა ბიბლიოთეკისათვის ახალი სიცოცხლე მიეცა და აღებული კურსი შეენარჩუნებინა. მისი ინიციატივით, ბიბლიოთეკა სხვა შენობაში, გზისპირას, სოფლის კანცელარიასთან გადაიტანეს, სადაც მოსახლეობის თავშეყრის ადგილი იყო; მოიძებნა დაფანტული წიგნები და გამოცემები, დაიწყო გაცემული და დაბრუნებული ერთეულების მწყობრი აღრიცხვა და საინფორმაციო შეტყობინების გავრცელება ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ, ასევე ფონდის ახალი გამოცემებით შევსება.

მიუხედავად თავდაპირველი მასშტაბის დაკარგვისა, 1905 წლამდე აკეთის ბიბლიოთეკა სტაბილურად მუშაობდა. რუსეთის იმპერიაში რევოლუციური მღელვარების დასაწყისის საპასუხოდ, ხელისუფლების მიერ პირველი საპასუხო რეპრესიების ფარგლებში, გურიაში მასობრივად დაიხურა ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, მათ შორის აკეთის ბიბლიოთეკაც. ამავე წელს გურიაში მთავრობის დავალებით, დელეგატად მივლენილი სულთან კრიმ-გირეის მოგზაურობისას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიები უშუალოდ უნდა მოესმინა და „მეფისათვის გადაეცა“, გლეხების წარმომადგენელთა მიერ გამოცხადებულ მოთხოვნათა შორის ბიბლიოთეკებისათვის მუშაობის განახლების თხოვნაც იყო.

1906 წლის დასაწყისში რევოლუციის დამარცხებისა და იმპერიის არმიის მიერ გურიაში სადამსჯელო ექსპედიციების ჩატარებისას, აკეთის ბიბლიოთეკა ძალზე დაზარალდა. ჯერ შენობა შიგნით დაზიანდა და ფონდი აირია, ხოლო შემდგომ, კარგა ხნის მანძილზე, შენობა გამოკეტილი იყო, რის გამოც სახურავი დაზიანდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ შეძლო ბიბლიოთეკის ამოქმედების ნებართვის მოპოვება, ფული შეკრიბა (სხვათა შორის ფულადი დახმარება ირაკლი შევარდნაძის სახელით ჩინეთიდან, ქალაქ ხარბინიდანაც გადმოგზავნეს გულშემატკივრებმა) და შენობა გააახლა, თუმცა წიგნების დიდი ნაწილი დაფანტული და დაზიანებული იყო და ძალზე გაუჭირდათ აკეთის უძველესი ბიბლიოთეკის ფეხზე დაყენება. ამ დროიდან მოყოლებული აკეთის სახალხო ბიბლიოთეკის საქმე წინ აღარ წასულა, თუმცა მან არსებული სახით 1921 წლამდე იარსება.

სახალხო ბიბლიოთეკის დამაარსებელთა ბედი

გურიის პირველი სახალხო ბიბლიოთეკის დამაარსებლების ბედი მძიმედ და ტრაგიკულად წარიმართა. სამივე მათგანი აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში: ლავრენტი წულაძე და არსენ წითლიძე, ძველებურად, ძირითად დროს სახალხო საგანმანათლებლო საქმიანობას უთმობდნენ, ისიდორე რამიშვილი კი, როგორც სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი, მუდმივი დევნა-შევიწროვების გამო 1905 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას აღარ დაბრუნებია; არსენ წითლიძე 1907 წელს მეფის რეჟიმმა დააპატიმრა, როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ლავრენტი წულაძე კი გურიაში განთქმული ხატის „ლომისკარელის“[1] მთავრობის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერი მღვდლების მიერ გლეხების დასაშინებლად, რევოლუციური მოძრაობის ლიდერების გასაცემად გამოყენების წინააღმდეგ პრესაში თამამი გამოსვლის შემდეგ, ხელისუფლების მიერ შევიწროებას ხშირად განიცდიდა.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ, მათ არ შეუწყვეტიათ საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა და ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ისიდორე რამიშვილი 1921 წლიდან მუდმივად დაპატიმრება-გადასახლებებში იყო და, საბოლოოდ, 1937 წლის დიდი ტერორის[2] დროს თბილისში დახვრიტეს.

---

1 „ლომისკარელი“ იყო ჯვარი (ხატი) რომლის სასწაულმოქედებისა და ძლიერების ყველაზე მეტად სჯეროდათ გურულებს და დიდ პატივს სცემდნენ. 1905-ში მღვდლებმა და ადგილობრივმა პოლიციამ დაიწყო ამ ხატის ტარება სოფლებში და გლეხებს აფიცებდნენ და ემუქრებოდნენ, თუ არ დაასახელებდნენ „ბუნტის“ მეთაურებს ხატი დასჯიდათ. ზოგან შეეშინდათ და რევოლუციონერები გათქვეს. ცოტა ხანში რევოლუციოენერების ჯგუფმა გატეხა ეკლესია ღამით და ხატი მოიპარეს, რის შემდეგაც მისი კვალი დაიკარგა.

2 დიდი ტერორი - 1936-1938 წლებში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ განხორციელებული მასობრივი ტერორი – რეჟიმის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, რეჟიმისათვის სოციალურად მიუღებელი მოქალაქეების და კომუნისტური პარტიის არალოიალური წევრების მასობრივი განადგურება, რომლის მასშტაბი და ინტენსივობა აღემატებოდა წინა წლების რეპრესიებს და საყოველთაო შიში და უნდობლობა დანერგა საზოგადოებაში.

არსენ წითლიძე 1920-იანი წლების განმავლობაში რამდენ-ჯერმე იყო დაპატიმრებული; ციხეში სიკვდილის პირას მისული გაათავისუფლეს და საკუთარ სახლში გარდაიცვალა.

ლავრენტი წულაძეც 1922 წელს, გურიაში ბოლშევიკური სა-დამსჯელო ექსპედიციის მსხვერპლი გახდა.

მათ მიერ, 1893 წელს აკეთში გახსნილი „გურიის სახალხო ბიბლიოთეკა“ იქცა იმ წყაროდ, რომელმაც შეუქცევადი გახა-და განათლების გავრცელება გურიაში და, თამამად შეიძლება ითქვას, კულტურულ რევოლუციას დაუდო საფუძველი.

>>

არსენ წითლიძე
მოსაწავლეებთან ერთად
(მეორე რიგი, მარცხნიდან მეორე)

ფოტო: საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ფოტომატიანე,
რუსუდან ჯანაშიას კოლექცია

ქალთა გაერთიანებები და მათი საქმიანობა

[თამარ სიხარულიძე]

ქალთა თვითორგანიზებადი საზოგადოებები საქართველოში

XIX საუკუნიდან ევროპაში აქტიურად იწყება ზრუნვა ქალთა უფლებებისთვის. ამ მოვლენებით საქართველოშიც ინტერესებოდნენ და პერიოდულ გამოცემებში ხშირად აშუქებდნენ თემატურ მოვლენებს ქალთა მოძრაობის ისტორიიდან[1] ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებებისთვის ბრძოლის შესახებ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოშიც ჩნდება რამდენიმე ათეული მსგავსი თვითმოქმედი საზოგადოება, XX საუკუნის დასაწყისში კი მათი რაოდენობა გაცილებით იზრდება და მასშტაბურ და ოფიციალურ სახესაც იღებს. „ქართველ ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობით დაინტერესებას ხელი შეუწყო „ტიფლისის ქალთა წრის კომისიის“ საქმიანობამ, რომელიც დაარსდა 1907 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“. „ქალთა კომისიამ“ შეიმუშავა მოწოდება ქართველი საზოგადოებისადმი, მოუწოდებდნენ ყველას მონაწილეობა მიეღოთ ილიას ფონდის გაძლიერებაში. მოწოდებას საქართველოს თითქმის ყველა კუთხე დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ 1908 წლისათვის ქალთა ანალოგიური წრეები დაარსდა თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, ხონში, ბათუმში, სოხუმში და სხვ. ამავე მიზნით

1 ჩვენი აზრი, 1909 წ., # 11.

მოქმედებდნენ კერძო პირები ბორჯომში, ყვარელში, საჩხერეში, სურამში, ხაშურში, მცხეთაში, ფასანაურში, ცხინვალში... მიუხედავად ქალთა კომისიების ხანმოკლე არსებობისა, (1907-1909 წწ) მათ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ქველმოქმედების გარდა, ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა. თვითმოქმედმა კომისიებმა საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის გამოაღვიძეს ქალთა ფართო ფენები და გაუღვიძეს ინტერესი საერთო სახალხო საქმისადმი".[2]

XIX-XX საუკუნეებში საქართველოში სხვადასხვა პროფილის ქალთა ორგანიზაციები და საზოგადოებებია: „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება", „კავკასიის ქალთა საზოგადოება", „სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება", „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება", „მუსლიმან ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება", ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი", ქალთა ამხანაგობა თელავში, ხაშმელ ქალთა ამხანაგობა, გორში ქალთა ამხანაგობა „თამარი", გორის პირველი ქალთა ინტერნაციონალური კავშირი, ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოება „შრომა", ლიხაურის ქალთა წრე, ასევე, აქტიურ ქალთა ჯგუფი მალევე ჩნდება ხონში, აბაშასა და გურიაში. 1905 წელს თბილისსა და ქუთაისში შეიქმნა ქართველ ქალთა თანასწორობის კავშირი.

თანასწორობა და ერთიანობა

ქალთა მოღვაწეობის ასეთმა გააქტიურებამ გააჩინა მოთხოვნები და მოწოდებები ქალთა შრომის მფარველობისა და მამაკაცებთან გათანაბრებული ხელფასისა თუ განათლების[3] მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ.[4]

---

2 გოდერიძე, ლამარა. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გვ. 310-311.

3 დროება 1880 წ. # 124.

4 მუშათა კავშირი, თბილისი, 1917, #12-13, გვ.2; თეატრი და ცხოვრება, 1917, #19, გვ. 7-8. შრომა 1906 წ. # 66 გვ. 3.

1906 წელს გურიაში, პლანტაციის მუშათა გაფიცვის დროს, დასვეს საკითხი თანაბარი ხელფასის მოთხოვნისა. ეს ერთ-ერთი პირველი კრება იყო საქართველოში, სადაც ეს საკითხი განიხილეს და შექმნეს კიდეც კომისია ნინო ნაკაშიძის ხელმძღვანელობით: „კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა, რომ ხელფასი დედაკაცებს და მამაკაცებს თანასწორად ეძლიოთ, რადგან, როგორც გამოირკვა და გამგემაცა სთქვა, სამეურნეო პლანტაციაზე და, საზოგადოდ, სამეურნეო საქმეში არ არის ისეთი სამუშაო, რომელშიაც ქალი არა თუ არ ჩამოუარდება მამაკაცს, უკეთესადაც აკეთებს. ასეა მაგალითად, ბოსტნეულის მოვლა მოშენება, ჩაის კრეფვა, თამბაქოს წყობა და სხვა. ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ქალების თანასწორობას გაუწია არა გლეხებმა, არამედ მუშებმა, რომელნიც კრებას დაესწრნენ.[5] ამავე წელს გაიფიცნენ ხონის ძაფის მღებავი ქარხნის მუშა-ქალები.[6]

ასევე მნიშვნელოვანია 1909 წელს ქალთა ჯგუფის პროტესტი პუბლიცისტ გ. გვაზავას მიმართ, მის მიერ ერობის მმართველობაში ქალების მონაწილეობის უარყოფითი დამოკიდებულების გამო.[7] ამავე პერიოდში ქალთა საზოგადოებებს გაუჩნდათ სურვილი შეექმნათ ქალთა კლუბი[8] და პერიოდული გამოცემა,[9] რომელშიც დაბეჭდილი სტატიებით გაეცნობოდნენ ერთმანეთის საქმიანობას და დეტალურად ეცოდინებოდათ თავიანთ ქვეყანაში არსებული ქალთა საზოგადოებების შესახებ.

„ქალთა წრეების კრებებზე იკითხება რეფერატები, ლექციები და სხვა, მაგრამ ეს მაინც არ კმარა. საჭიროა ამ მუშაობის გაფართოება, გაღრმავება. ეს კი შესაძლებელი შეიქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც იქნება შემუშავებული საერთო გეგმა და ორგანიზაცია მოქმედებისა. ეხლა ერთმა წრემ არ იცის რას აკეთებს და რა გზას ადგია მეორე; უეჭველად უნდა არსებობ-

5 შრომა 1906 წ. # 66.
6 გრიგალი, ტფილისი, 1906 წ., #15.
7 მომავალი, 1909 წ., #54.
8 ჩვენი აზრი,1909 წ., # 23.
9 თეატრი და ცხოვრება,1917 წ., # 3. თეატრი და ცხოვრება 1916 წ., # 22.

დეს მათ შორის მჭიდრო კავშირი. ეს ადვილად შესაძლებელია თუ დაარსდება ბეჭდვითი ორგანო. ეს ჟურნალი იქნებოდა მაჩვენებელი იმისი, თუ რა კეთდება ქალთა წრეებში; იგი გაუწევდა ხელმძღვანელობას ყველა პროვინციულ წრეებს, რომელთაც მუშაობა გაუადვილდებოდათ და წარმატების გზას უფრო მედგრად დაადგებოდნენ ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოს საკეთილდღეოდ...[10]

ქალთა გაზეთისთვის თანხების მოსაძიებლად მიმართავდნენ საქველოქმედო წარმოდგენებსა და შემოწირულობებს.[11]

მუშაობის პრინციპები

საზოგადოებები, სამუშაო პროფილიდან გამომდინარე, თვითორგანიზებით ახორციელებდნენ სხვადასხვა ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეურნეო თუ სამკურნალო საქმიანობას. საზოგადოებებს ჰყავდათ ძირითადი და საპატიო წევრები, მათი რიცხვი მთლიანობაში რამდენიმე ათასსაც კი აღწევდა. გაერთიანების წევრს ყოველწლიურად უნდა შეეტანა წინასწარ განსაზღვრული საწევრო გადასახადი. ორგანიზაციების ბიუჯეტი, საწევროს შენატანის გარდა, ივსებოდა მათივე ორგანიზებით გამართული საზოგადოებრივი ღონისძიებებიდან შემოსული თანხებით. ღონისძიებების უმრავლესობას ლიტერატურული საღამოები, სპექტაკლები, საცეკვაო წარმოდგენები და ქალთა მიერ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა შეადგენდა. ასევე, მსგავს ორგანიზაციებს დაარსებული ჰქონდათ კაფეები, საჩაიეები, საკონდიტროები, მათგან შემოსული თანხებით ივსებოდა საზოგადოებების ბიუჯეტი. შემდგომში ამ თანხებით აარსებდნენ ქალთა პროფესიულ სასწავლებლებს,[12] ბავშვთა სახლებს,[13] ეხმარებოდნენ საა-

10 თეატრი და ცხოვრება, 1916 წ., # 22.
11 თეატრი და ცხოვრება, 1917წ., # 44.
12 თეატრი და ცხოვრება, 1920წ.,# 22; დროება, 1909 წ., #67. ცნობის ფურცელი, 1896 წ., # 60; ივერია, 1901 წ., # 110, გვ.2.
13 თეატრი და ცხოვრება, 1920 წ,. # 4.

ვადმყოფოებს,[14] ღარიბ და სნეულ მოსწავლე-სტუდენტებს,[15] მართავდნენ სახალხო ლექციებს,[16] სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად არიგებდნენ კულტურული მცენარეების თესლსა და ნერგებს,[17] ეხმარებოდნენ რევოლუციის დროს დაზარალებულ კუთხეებს,[18] მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას,[19] მოიძიებდნენ სახსრებს დაჭრილ მეომართა სამკურნალოდ.[20] ეხმარებოდნენ ქართული თეატრის ამშენებელ კომიტეტს,[21] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას[22] და სხვ. საზოგადოებები ყოველწლიურად დეტალურად აქვეყნებდნენ თავიანთი საქმიანობის ანგარიშს,[23] პროცესის გამჭვირვალება განსაზღვრავდა კიდეც მათ არსებობას. ანგარიშს ესწრებოდნენ საპატიო წევრები, დონორები. ანგარიშს თუ ვერ წარმოადგენდნენ, შეწყვეტდნენ საწევრო ფულის გადახდას, რაც დააზარალებდა ორგანიზაციას. არის კიდეც ერთი ასეთი შემთხვევა თელავის მაგალითზე, როცა საზოგადოების თავმჯდომარემ ვერ წარმოადგინა საზოგადოების მოქმედების სრულყოფილი ანგარიში და თანხების ხარჯვის საბუთები. საზოგადოების წევრმა ოცდაათმა ქალმა, რომელიც წელიწადში იხდიდა სამ-სამ მანეთს, საზოგადოებას საწევრო ფულის შეტანა შეუწყვიტა.[24]

დასავლეთ საქართველოში ქალთა ორგანიზაციების დაარსებას ხელი შეუწყო ქუთაისის მაგალითმა, სადაც ერთდროულად რამდენიმე მიმართულების ორგანიზაცია გაჩნდა. „პირველად აქ დაარსდა ქალთა წრე, ქუთაისის შემდგომ ეს სიმპატიური

---

14 თეატრი და ცხოვრება, 1915 წ., #4.
15 წინ, 1907 წ., #2; მომავალი, 1909 წ,. #78.
16 სუსხი,1913 წ., #4; ისარი, 1907 წ., #100.
17 ივერია, 1902 წ., # 81.
18 ცნობის ფურცელი, 1905 წ., # 2941.
19 თეატრი და ცხოვრება, 1920 წ., #11.
20 კლდე, 1915წ., #1. თეატრი და ცხოვრება, 1915წ., #4
21 თეატრი და ცხოვრება, 1914 წ., #33.
22 ისარი, 1907 წ., #263. ისარი, 1907 წ., #220. ისარი, 1907 წ., # 225. ისარი, 1907 წ., # 226. ცნობის ფურცელი, 1904 წ., # 2447.
23 თეატრი და ცხოვრება, 1915 წ., # 11. კლდე, 1914 წ., # 24.
ივერია, 1898 წ., # 103. ცნობის ფურცელი, 1898 წ., # 587. ცნობის ფურცელი, 1898 წ., # 527. თეატრი და ცხოვრება, 1915 წ., # 12. ჩვენი გაზეთი, 1910 წ., # 8. ცნობის ფურცელი, 1896 წ., # 47.
24 ივერია, 1902 წ., #187.

ორგანიზაცია ხონში აღმოცენდა; დღეს, როგორც აქიდან გვაწვდიან ცნობებს, „ქალთა წრეების“ დაარსება განზრახული აქვთ – ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ლანჩხუთში და სხა კავკასიის დაბა ქალაქებში. წრის მიზანი – თვითგანვითარება და ქველმოქმედებაა. ხონში რამდენჯერმე დავესწარი „ქალთა წრის“ კრებებს. ისინი კვირაში ერთხელ იკრიბებიან დანიშნულ ადგილას: ხელსაქმობენ და თავიანთ აზრს ერთმანეთს უზიარებენ. ხონელი ქალები წელიწადში ერთხელ გამოფენას აწყობენ თავიანთი ხელთ ნასაქმისა წრეში. გამოფენაზე გასაყიდათ მოაქვთ და შემოსული ფულით ღარიბი შეგირდებისთვის სკოლაში სასწავლი ფული შეაქვთ; მქონდა ბედნიერება ქუთათურ ქალთა წრის კრებასაც დავსწრებოდი. აქაც სიცოცხლესა და მოქმედებას ხედავთ, კითხულობენ რეფერატს, წაკითხულზე მსჯელობენ, საერთო საქმეზე ბაასობენ და ყოველივე საზოგადოებრივ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში სათანადო ანგარიშს უწევენ.[25]

ქალთა სამეურნეო საზოგადოებები

ქალთა ორგანიზაციებს შორის თავისი ხასიათით გამორჩეულია სამეურნეო მიმართულების საზოგადოებები. მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი ბევრი არ იყო, მათი არსებობის ფაქტი ცალკეა გამოსაყოფი. ერთ-ერთი მათგანია – ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოება „შრომა“. საზოგადოება 1904 წლის 15 ივნისს დაარსდა და ერთი წლის თავზე საზოგადებას უკვე ჰყავდა 100 საპატიო და 1500 ნამდვილი წევრი. გაერთიანება ორგანიზებას უწევდა დასავლეთ საქართველოს სოფლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურული ჯიშების ნერგებისა და თესლის უფასოდ გავრცელებასა და მათი მოვლის წესების სწავლებას. გარდა ამისა, მოსახლეობას აცნობდნენ შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-მოშენების საკითხებს. ამისთვის ორგანიზაციას მიმდებარე სოფლებში ჰყავდა კოორდინატორები. საზოგადობას დაარსებული ჰქონდა ხუთწლიანი სამეურნეო სკოლა, „სადაც მოსწავლე ქალებს, საზოგადო გა-

25 წყარო, 1913 წ., # 4.

ნათლების გარდა, ასწავლიდნენ მეაბრეშუმეობას, აბრეშუმის თესლის დამზადებას, ჭრა-კერვას, ქსოვას, მერძეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, შინაური ფრინველის მოშენებას, მზარეულობასა და მეოჯახეობას“.[26]

საზოგადოების დაარსებიდან ერთი წლის თავზე, 1905 წელს, სამეურნეო სკოლას 68 მოსწავლე ქალი ჰყოლია. სწავლება ხუთწლიანი იყო და ამ დროისთვის ასწავლიდა 10 მასწავლებელი, რომელთაგან 6 სწავლების საფასურს არ იღებდა. (ესენი არიან ქალბატონები: ნ.პ. ქიქოძე, ც.ნ. ერისთავი, მ.ი. მათიკაშვილი, ფ.ყ. თავდგირიძე, ლ.გ. გოგონაძე, და ბატონები ი.რ. მაისუროვი და ნ.ს. მკურნალი.) საზოგადოების წევრები კერძო პირებს თუ სახელმწიფო უწყებებს, შეძლებისდაგვარად, ხშირად სთხოვდნენ სასოფლო-სამეურნეო წიგნებს, იარაღებს, თესლეულობასა თუ ფულად დახმარებას. 1905 წელს საზოგადოების კომისიის მმართველი წევრები არიან „ქ-ნი ო.ლ. ქორქაშვილისა და ზ.კ. ჩიკვაიძის ასულნი და ქ-ნი მ.ლ. ქორქაშვილის ასული და პ. თვალჭრელიძე.[27] საზოგადოების არსებობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოში ქალთა განათლებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ორი წლით ადრე, 1902 წელს, გორში დაარსდა ქალთა ამხანაგობა „თამარი“, რომელიც შედარებით მცირე მასშტაბის ორგანიზაცია იყო და მის საქმიანობას გორის სოფლებში აბრეშუმის ჭიის თესლისა და თუთის ნერგების გავრცელება შეადგენდა.[28]

სამეურნეო საზოგადოებების საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლებში ქალთა ცხოვრების გააქტიურებისათვის. მიღებულ განათლებასთან ერთად მათ შეეძლოთ საკუთარი მეურნეობა განევითარებინათ. ამან გამოიწვია სოფლებში საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ქალთა როლის მნიშვნელობის გაზრდა. მათ დაიწყეს საკუთარი მოვალეობებისა და შესაძლებლობების გაცნობიერება. ეს მუხტი უკავშირდებოდა ქალაქში მოქმედ სხვა ქალთა საზოგადოებებს. ასე ერთია-

26 ცნობის ფურცელი 1905 წ., # 1900
27 ივერია 1905 წ., # 155.
28 ივერია 1902 წ., # 81.

ნი ძალებით სოფლად თუ ქალაქად დაიწყო ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება. თვითორგანიზებით ბევრი ინიციატივის განხორციელება სულ მოკლე ხანში მოახერხეს.

საზოგადოების მოუმზადებლობიდან გამომდინარე, ქალთა ასეთი ფართო მასების ჩართვა და გააქტიურება ადვილი არ იყო. დასაწყისში იმაში დარწმუნებაც კი იყო საჭირო, თუ რატომ უნდა გაერთიანებულიყვნენ ქალები თავიანთი უფლებების დასაცავად, რომ, თუ არ გააქტიურდებოდნენ, სხვა ვერავინ დაიცავდა მათ უფლებებს. ამ მოვლენებში თავიანთი საქმიანობით დიდი წვლილი მიუძღვით ცნობილ ქართველ ქალებს: მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს, ეკატერინე გაბაშვილს, ოლღა გურამიშვილს, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას, ნინო ყიფიანის და ბევრ სხვას.

ეს მოვლენები ერთდროულად ასახავს თემის თვითორგანიზებისა და თვითგანვითარების მაგალითებს და ქალის როლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურების ისტორიას.

>>

ანნა კაპანაძის ქალთა საფეიქრო სკოლა
საგარეჯოში, 1919 წელი

ფოტო: საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ფოტომატიანე,
ლუარსაბ ტოგონიძის კოლექცია

3

სამეურნეო ამხანაგობები და კოოპერაცია

მეცხვარეთა ამხანაგობა - მწყემსი

[დიანა კაკაშვილი]

კოოპერატივების ჩამოყალიბების საწყისი საქართველოში

XIX-XX ს-ის მიჯნაზე საქართველოში სასოფლო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ჩამოყალიბდა საწარმოო კოოპერატივები. საზოგადოებაში იმდენად დიდი იყო თემისადმი ინტერესი რომ 1909 წელს თბილისში გამოიცა კონსტანტინე კანდელაკის (მოსკოვის უმაღლესი კომერციული სასწავლებლის კურსდამთავრებულის) წიგნი „კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა“. 1911 წლიდან ქუთაისში დაიწყო ჟურნალ „კოოპერაციის“ გამოცემა, იასონ გაბილაიას რედაქტორობით, სადაც იბეჭდებოდა ყოველგვარი სიახლე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ჟურნალის საშუალებით, მკითხველი ეცნობოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებასა და მიღწევებს კოოპერატივების მუშაობის შესახებ. ეს, უდავოდ დადებით როლს ითამაშებდა ქართული მოდელის წარმატებულად ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში. საზოგადოების მოთხოვნით, იასონ გაბელაია ერთი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს აღნიშნული თემის ირგვლივ ქუთაისის გუბერნიის ამა თუ იმ მხარეში (1914 წ.). მოსახლეობის დიდი მოლოდინისა და მზაობის შესახებ მეტყველებს ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული არაერთი წერილი, სადაც ადამიანები გამოთქვამენ სიხარულს, თავიანთ რაიონებში კოოპერატივების დაარსების თაობაზე და სჯერათ, რომ ეს იქნება მათთვის ეკონომიკური აღმავლობისა და სიღარიბისგან თავის დაღწევის საშუალება.

მწყემსის ჩამოყალიბების მიზანი და ამოცანები

გაერთიანების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს ჩვენთვის საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის განყოფილებაში[1] დაცული მასალა (წესდება, კრებათა ოქმები და სხვა საბუთები) წარმოადგენს. ასევე გარკვეულ ინფორმაციას იძლევა რევაზ გაბაშვილის[2] მოგონებები[3]. იგი კოოპერაციული მოძრაობების დაარსების აქტიური მონაწილე იყო. გაბაშვილმა თავის თანამოაზრეებთან ერთად 1912 წელს დააარსა ჟურნალი „კლდე“, რომლის საშუალებითაც ავრცელებდნენ თავიანთ ეკონომიკურ პროგრამებს. თავად წერილებს წერდა ფსევდონიმით „კოოპერატორი“.

რადგან მეცხვარეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა, 1920 წელს შალვა ქარუმიძის ხელმძღვანელობით დაარსდა მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა მწყემსი.

27 თებერვალს ქ.თბილისის თვითმმართველობის შენობაში შედგა ამხანაგობის დამფუძნებელი კრება ალ. მაჩაბლიშვილის თავმჯდომარეობითა და ალ. ჯავახიშვილის მდივნობით. შ. ქარუმიძემ აქ შეკრებილ საზოგადოებას გააცნო მწყემსის სამოქმედო გეგმა, მისი საჭიროება და დადებითი მხარეები. ამხანაგობის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, დარგის განვითარებისათვის ყველანაირი პირობის შექმნა, მეორე მხრივ, კი თითოეული მეცხვარისათვის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. როგორც ისტორიული წყაროებიდან, პრესიდან თუ სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გადამყიდველებისა და შუამავლების საშუალებით მიზერულ ფასად ყიდდა მოწეულ საქონელს. შესაბამისად, შრომის საზღაურსა და მოგებას თითქმის ვერ ნახულობდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ცალ-ცალკე, დაქსაქსულად, თავიანთი ძალითა და მცირე რესურსით ვერ

1 ფონდი # 392, „მეცხვარეთა ამხანაგობა მწყემსი“.

2 ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე (1882-1969).

3 რ. გაბაშვილი „რაც მახსოვს“, მიუნხენი 1959, გვ.77-82.

ახერხებდნენ კონტაქტების დამყარებასა და ნაწარმის გასასაღებლად ფართო ბაზრის მოპოვებას. მწყემსის საშუალებით კი გაერთანდა საქართველოს ყველა მეცხვარე და დაიწყო პრობლემათა საერთო ძალით, ჩარჩ-ვაჭრების გარეშე მოგვარება. მწყემსის წესდებაში ვკითხულობთ:

„ამხანაგობის მიზანია საქართველოს მეცხვარეების შეკავშირების საშუალებით: ა). გაასაღოს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს საზღვრებს გარეშე მეცხვარეობის ნაწარმოები: მატყლი, საკლავი, ყველი, ერბო, ტყავეული და სხვა, ბ). მიაწოდოს წევრებს მეცხვარეთათვის და მათი მეურნეობისათვის საჭირო საგნები, გ). მოაწყოს მეცხვარეობის ნაწარმოებების გაუმჯობესება-გადამუშავება, დ). დაეხმაროს წევრებს სესხით და ე). ხელი შეუწყოს წევრებს გონებრივი და კულტურული განვითარების საქმეში“. ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევად იმართებოდა საჯარო შეხვედრები თუ ლექციები, აქ მეცხვარეები იღებდნენ ინფორმაციას საქონლის მოვლის, პროდუქციის ხარისხიანად წარმოებისა და სხვა სამეურნეო საკითხთა შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი იყო სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც, თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა, რაც დაეხმარებოდა მათ თავიანთი საქმიანობის უფრო კვალიფიციურად წარმართვაში – ნაწარმის ხარისხის გაზრდასა და წარმოების სხვა საკითხებში, რაც საბოლოოდ გაზრდიდა მათ ფინანსურ შემოსავალს.

გაერთიანების გამგეობა თბილისში იმყოფებოდა, მაგრამ მისი სამოქმედო არეალი საკმაოდ ფართო იყო და თითქმის ყველა იმ რაიონში ჰყავდა წარმომადგენლობა, სადაც მეცხვარეობა არსებობდა (საგარეჯო, თელავი, სიღნაღი, ახალქალაქი და სხვ.). მასში გაერთიანება, ხელშეკრულების საფუძველზე, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლო საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც ჰყავდა არანაკლებ 30 სული ცხვარი. ასეთი მოქნილი პირობა, თითქმის ყველა მსურველს (და არა მხოლოდ დიდი მეურნეობის მქონე პირს) აძლევდა საშუალებას, გაწევრიანებულიყო გაერთია-

ნებაში და მიეღო სარგებელი, რაც საბოლოოდ, აისახებოდა სოფლის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. აუცილებელი პირობა იყო შექმნილი პროდუქციის გასასაღებლად ამხანაგობისათვის ჩაბარება. ამ წესის დარღვევისათვის გამგეობას უფლება ჰქონდა მეცხვარე გაერიცხა თავისი რიგებიდან. გარეშე პირზე გაყიდვა, განსაკუთრებულ შეთხვევაში, მხოლოდ გამგეობის წერილობითი ნებართვით წარმოებდა. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ რწმუნებულთა ყრილობის დადგენილებით, გარიცხულ წევრებს უკან აბრუნებდნენ. არსებობდა საწევრო გადასახადიც – 5 კაპიკი თითო სულ ცხვარზე, წლის ბოლოს კი ჩაბარებული ნაწარმის ღირებულების ერთი პროცენტი ამხანაგობას ეკუთვნოდა.

რადგან მეცხვარეთა რაოდენობა ძალიან დიდი იყო, მათი გაერთიანება დიდ მობილიზებასა და თვითორგანიზებას მოითხოვდა. იმისათვის, რომ მათ შორის კონტაქტი მჭიდრო ყოფილიყო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხშირად ეწყობოდა გაერთიანებული კრებები. განიხილავდნენ საერთო პრობლემებსა და სახავდნენ განვითარების გეგმებს. მეტი ორგანიზებულობისათვის ყველა რეგიონს თავისი კოორდინატორი ჰყავდა, რომელიც უზრუნველყოფდა პროცესის ეფექტურად წარმართვას.

ამხანაგობის ფინანსური რესურსი

გაერთიანების ფინანსური რესურსი ოთხი მიმართულებით იყო დიფერენცირებული: ძირითადი, საპაიო (საწილო), სათადარიგო და საგანგებო. ძირითად შემოსავალს მოგებიდან შემოსული პროცენტი და შემოწირულობები წარმოადგენდა, რითაც ამხანაგობისათვის საჭირო უძრავ-მოძრავ ქონებას ყიდულობდნენ. სათადარიგო თანხა კი საწევრო და საჯარიმო გადასახადებით გროვდებოდა. მისი დანიშნულება ამხანაგობის შესაძლო ზარალის დაფარვა იყო. საპაიო თანხა წევრების მიერ ყოველწლიურად შემოტანილი ერთი პროცენტით ივსებოდა. საგანგებო ფონდში თანხა გამიზნული იყო წევრთა დასახმარებლად, თუ ამა თუ იმ შემთხვევის გამო ისინი რაიმე ზარალს

მიიღებდნენ. აქ გათვალისწინებული იყო წევრთა მიერ თანხის სპეციალური დანიშნულებით შემოტანა. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მწყემსის ეკონომიკური გეგმა საკმაოდ გამართული იყო. ბიუჯეტი იმგვარად იყო გათვლილი, რომ ორგანიზაცია დაცული ყოფილიყო ყოველგვარი კრიზისისგან. მეცხვარეებისათვის კი მასში გაერთიანება ძალიან მიმზიდველი იყო, რადგან მათი მეურნეობა ამ გზით უფრო დაზღვეული იყო ზარალისა თუ გაუთვალისწინებელი ხარჯებისაგან და შემოსავალიც შეუდარებლად დიდი იყო, საწევრო ფულის გადახდა კი მათ დიდ ტვირთად არ აწვებოდათ.

კოოპერატივს ასევე გააჩნდა უფლება საჭიროების შემთხვევაში აეღო მოკლე ან გრძელვადიანი სესხი როგორც სხვა კოოპერატიული, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებისგან. მაგალითად, 1920 წლით დათარიღებულ საბუთში, რომელიც ფინანსთა მინისტრისადმი გამგეობის მიმართვას წარმოადგენს, ვკითხულობთ, რომ მთავრობისაგან მათ აიღეს კრედიტი 50 მილიონი მანეთის ოდენობით. დებულების მიხედვით, კერძო დაწესებულებებიდან 1 მილიონის, მთავრობისაგან კი განუსაზღვრელი რაოდენობის კრედიტის აღება შეეძლოთ.

ამხანაგობას სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთთან და ინგლისთან. 1923 წელს მატყლის რეალიზაციამ ყველაზე დიდი მოგება მოუტანა – 2.800.000.000 მანეთი. ასეთი შთამბეჭდავი რიცხვი მიუთითებს ამხანაგობის გამართულ და ეფექტურ მუშაობაზე, მისი საქმიანობის მასშტაბურობაზე. საექსპორტო საქონლის ამგვარი რაოდენობა, უეჭველია, დიდი სარგებლის მომტანი იქნებოდა ქვეყნისათვის და რომ არა ხელოვნური ჩარევა და მისი საქმიანობის შეფერხება, გასაღების ბაზარი და შესაბამისად, მოგებაც, ალბათ, უფრო გაიზრდებოდა. თუმცა, შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სავაჭრო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან მალევე წყდება და მას ანაცვლებს მოსკოვი, რაც მკვეთრად უარყოფითად აისახა გაერთიანების შემოსავლებსა და მეცხვარეთა მოგებაზე. დაიწყო ფინანსური კრიზისი და თანმდევი პრობლემები.

ამხანაგობის მართვა-გამგეობა

ამხანაგობის მართვა-გამგეობა გამჭვირვალობის პრინციპებს, წევრთა მაქსიმალურ ჩართულობასა და თანამონაწილეობას ემყარებოდა. ამისათვის შექმნილი იყო რამდენიმე სპეციალური ორგანო: ა) წევრთა და რწმუნებულთა საზოგადო კრება, ბ) საბჭო, გ) გამგეობა, დ) ადგილობრივი რაიონული კრებები, რომლებიც საჭიროების მიხედვით არსდებოდა.

გამგეობა (3 წევრისაგან შემდგარი) აწარმოებდა ამხანაგობის ყველა საქმეს: წევრთა პროდუქციის მიღება-გასაღებას, სასამართლოსა და საადმინისტრაციო დაწესებულებებში ამხანაგობის ინტერესების დაცვას, განყოფილებების მოწყობას, ხარჯთაღრიცხვის შედგენასა და სხვ. 1922-1923 წლების განმავლობაში გამგეობის თავმჯდომარე იყო კოტე აფხაზი, რომელიც შემდეგ გ. ავალიშვილმა შეცვალა. კავშირის ხელმძღვანელი და საკონტროლო ორგანო კი იყო საბჭო, რომელიც შედგებოდა არანაკლებ სამი წევრისაგან. მისი ძირითადი მოვალეობა გამგეობის საქმიანობის მეთვალყურეობა იყო, მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების, წლიური ანგარიშისა და მოგების განაწილების პროექტის განხილვა და სხვ. საკითხები წყდებოდა ხმათა უმრავლესობით გამგეობის კრებაზე. პრობლემის სიღრმისეული ანალიზისა და კომპეტენტურად მოგვარებისათვის სხდომას ესწრებოდნენ გამგეობის მიერ მოწვეული დარგის სპეციალისტებიც. გარდა ამისა, არსებობდა სარევიზიო კომისია, რომელიც ამოწმებდა საქმის წარმოებასა და ამხანაგობის ყოველგვარი თანხისა თუ ინვენტარის რაოდენობას, წინდაწინ განიხილავდა გამგეობის მიერ შედგენილ ბიუჯეტს, წლიურ ანგარიშებს ადარებდა საბუთებს.

ყოველი წლის ბოლოს იმართებოდა წევრთა და რწმუნებულთა საზოგადო კრება, რათა განეხილათ გასული წლის ანგარიშები, დაემტკიცებინათ მომავალი წლის ბიუჯეტი და სამოქმედო გეგმა, უძრავი და მოძრავი ქონების შეძენის საკითხები, განეხილათ საჩივრები რეგიონში თავიანთ წარმომადგენლებზე, დაეარსებინათ ახალი სარაიონო განყოფილებები და სხვა. საზოგადო კრებები იმართებოდა ხან თბილისში და ხან

რეგიონებში, საჭიროების მიხედვით.

1920-1923 წლებში მწყემსის მუშაობა, ფინანსური ანგარიშების მიხედვით, შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს.1923 წლიდან კი გაერთიანებაში პრობლემები თანდათან იმატებს, იქმნება ფინანსური კრიზისი, საიდანაც თავის დაღწევაც მხოლოდ დროებით მოხერხდა, მაგრამ ორგანიზაციამ არსებობა მხოლოდ 1930 წლამდე შეძლო.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური რეალიები, რა თქმა უნდა, ამხანაგობის მუშაობაზეც აისახა. 1923 წელს (26-27 თებერვალი) მწყემსის გამგეობა მიმართავს უგზავნის სოციალისტურ საბჭოთა შინაგან საქმეთა კომისარიატებს და გამოთქვამს იმედს, რომ ხელს არ შეუშლის მათ საქმიანობასა და ითანამშრომლებს გაერთიანებასთან. ამავე წლის 25 ნოემბერს მწყემსის არაჩვეულებრივი ყრილობა იმართება ქიზიყში, სოფელ ქვემო მაჩხაანში, სადაც უკვე სიტყვით გამოდიან საბჭოთა ხელისუფლების (ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია – კრების საპატიო თავმჯდომარეები) წარმომადგენლები. ისინი დახმარებას აღუთქვამენ ამხანაგობას, და მოუწოდებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ. ამავე წლის 26-27 თებერვალს შედგა მწყემსის საზოგადო კრება და დაიწყო გაერთიანების რეორგანიზაცია. გადაწყდა, რომ ამხანაგობა უნდა გამოსულიყო ე. წ. „წარმოკავშირიდან“, რომელიც აერთიანებდა საქართველოში არსებულ ყველა კოოპერატივს. ჩათვალეს რა, რომ „მწყემსის“ პირველმა გამგეობამ მახე დაუგო მეცხვარეებს საკუთარი ჯიბის გასასქელებლად, (მეცხვარეთა ამხ. „მწყემსის“ არაჩვეულებრივი ყრილობა 1923 წლის, 25 ნოემბრის ოქმი, გვ. 15). მთლიანად შეიცვალა გამგეობისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა. თუმცა, ანგარიშებიდან ჩანს, რომ ამავე პერიოდიდან იწყება ორგანიზაციის ფინანსური კრიზისი და უკუსვლა. გაერთიანების მუშაობაში ხელოვნურმა ჩარევამ მოშალა ორგანიზაციის მუშაობის პრინციპები და მექანიზმები, ამან კი დააზარალა მათი სამოქმედო გეგმა. ისინი ვეღარ სარგებლობენ კრედიტებით. „სესხის გამონახვაზე ოცნება სულ ზედმეტად ჩაითვლება“ – (ფინანსური დარგის გამგის და გამგეობის წევრის ანგარიში, 1925 წ. გვ. 2). 1925 წელს,

დიდი წვალების შემდეგ, გაერთიანებამ მოახერხა ბანკებიდან მოკლევადიანი კრედიტის აღება, მატყლის გირავნობით, თუმცა ამან შექმნილი მდგომარეობა ვერ გამოასწორა. მომდევნო 5 წლის განმავლობაში კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა და 1930 წელს მოხდა გაერთიანების ლიკვიდაცია.

>>

შალვა ქარუმიძე (ცენტრში ჩოხით)
მთიელ მებრძოლებთან ერთად.
სასახლის ბაღი, თბილისი

ფოტო: საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,
საზოგადოებრივი არქივი, კახაბერ ხიმშიაშვილის კოლექცია

სამეურნეო ამხანაგობა - კოლხიდა

[დავით ხვადაგიანი]

სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“
და პრესის კანტორა „იმერეთი“

„ჩვენი ხალხის განვითარების ეკონომიურ მიზეზთა კვლევის დროს, ჩვენებურ ამხანაგობათა აღორძინება-მოსპობის ისტორიაც ბევრ საგულისხმო მასალას მისცემს მკვლევარს მომავალში, როდესაც ამ გულდასმულ საკითხების საძიებლათ დრო დადგება და დღევანდელი მღელვარება-შიშიანობით აღარ იქნება მოცული ადამიანის სული და გული“ – წერდა ერთ-ერთი ჟურნალისტი გაზეთის „ისარი“ ფურცლებზე 1907 წელს, როდესაც რევოლუციის დამარცხებას მეფის რუსეთის მხრიდან მოჰყვა ე. წ. „შავი რეაქცია“ – სახელმწიფო ტერორი და დევნა.

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ ბევრი დოკუმენტი თუ ზეპირი ისტორია უკვალოდ დაუკარგა ჩვენს თაობებს, მაგრამ XIX და XX საუკუნეების მიჯნის მოღვაწეების ძალისხმევის კვლევა, გვაძლევს საშუალებას გავიგოთ რა პროცესები ვითარდებოდა ჩვენს საზოგადოებაში საუკუნის წინ, რა მიზნები და იდეები ამოძრავებდათ იმ ადამიანებს, რომლებმაც მცირე კვალი მაინც დატოვეს ჩვენი საზოგადოების განვითარებაზე.

ეს საინტერესო გაკვეთილი იქნება თანამედროვე აქტიური მოქალაქეებისათვის.

სამეურნეო და სავაჭრო ამხანაგობები
მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა

დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოდან საფუძველი ჩაეყარა სამეურნეო და სავაჭრო ამხანაგობებს. ერთ-ერთი, პირველი, ვინც ამ ამხანაგობების დაარსების იდეამ გაიტაცა, ნესტორ წერეთელი იყო, რომელმაც სოფელ კუხში დააფუძნა „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“. მისი მაგალითის მიმდევარი იყო ქუთაისელი ვაჭარი არ. ანჯაფარიძე. ამხანაგობა შედგებოდა ვაჭრებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. მისი საქმიანობა ძირითადად აბრეშუმის პარკის, ბამბის შესყიდვა და დამუშავება იყო. ამხანაგობა პარკს ყიდულობდა, ახმობდა, ძაფებად ამოჰყავდა. ქსოვილების დამზადებაც კი დაიწყეს ამ საქმეში დახელოვნებულმა ამხანაგობის დაქირავებულმა ქალებმა. ნესტორ წერეთელმა პირველმა სცადა აბრეშუმის პარკისთვის ბაზარი საზღვარგარეთ მოეპოვებინა, იქაურ მექარხნეებთან უშუალო კონტაქტით. მას უნდოდა ამ საქმისთვის ჩამოეშორებინა ადგილობრივი გადამყიდველები და მოსული კომისიონერები; პირველმა ჩაუყარა საფუძველი აბრეშუმის პარკის საზღვარგარეთ გასაღების საქმეს, მაგრამ როგორც იმდროინდელი კორესპონდენტი წერს, ამ საქმეს „შავმა კატამ გადაურბინა“ – „მეთაურთა საქმეებს მეორე მოწინააღმდეგე ქუთათურმა საქმის კაცებმა ხელის ფათური დაუწყეს და საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ჟანდარმთა უწყებას აღარ დასჯერდნენ და ოლქის სასამართლოს მსჯავრს მიმართეს. ხომ მოგეხსენებათ, ცოცხალი სავაჭრო საქმე რომ ბიუროკრატიულ სამსჯავროში თავს ამოჰყოფს, უნდა გამოეთხოვო, საქმე სახეიროდ აღარ დაბოლოვდება. ამიტომაც მეთაურებმა ლიკვიდაცია არჩიეს და მოსპეს კიდეც მისი ხსენება, რასაც თან გაჰყვა ამ საქმის პირვანდელი წამომწყები“.

მალე მეტი შრომისგან დაუძლურებული და დასნეულებული ნესტორ წერეთელი ამ საქმეს გადაჰყვა და გარდაიცვალა – ერთმა კაცმა (ამ საქმეში მასსავით გატაცებული თანამშრომელი არ ჰყოლია), ადგილობრივ ნიადაგზე თვითგანვითარებით აღზრდილმა, ამ დიდ საქმეს თავი ვერ გაართვა, მის მოწესრიგებას მტკიცე სავაჭრო ხასიათი ვერ მისცა და ისე არეულდარე-

ული დარჩა საქმე, როგორც დასაწყისში იყო. ნესტორ წერეთელის სახელი შერჩა საუკეთესო აბრეშუმის თესლს „გრენის“, რომელიც ხრისტოდულიდის ფირმას შეუქმნია იმერეთის ბაზრისთვის და ყველა „წერეთლის აბრეშუმის თესლს“ ეძახდა.

სავაჭრო ამხანაგობა „კოლხიდა“

რაც ერთმა ადამიანმა, ნესტორ წერეთელმა, ვერ შეძლო, ამ საგანგებო საქმისთვის ისევ ამხანაგობას უნდა მოეკიდა ხელი და მკვიდრი საფუძველი უნდა ჩაეყარა. საქმის მოსაწესრიგებლად საჭირო იყო არა მარტო ადგილობრივი სავაჭრო პირობების ცოდნა, არამედ ევროპის ბაზრების მდგომარეობის ადგილზე შესწავლა, ენების ცოდნა და იქ უშუალოდ საქმის დაჭერა. მართალია, ასე მომზადებული ადამიანები მაშინ თითზე ჩამოსათვლელად იყვნენ და თითქოს საქმის გამგრძელებელიც არავინ ჩანდა, მაგრამ 1899 წლის 11 აპრილს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა ახალი ამხანაგობის წესდება, რომელსაც „კოლხიდა“ ეწოდა. მან საქმიანობა 1900 წლიდან დაიწყო.

დაარსებისთანვე ორგანიზაციას მართავდა გამგეობა, რომლის თავმჯდომარეობაც თავიდან ს. ჯაფარიძეს შესთავაზეს, მაგრამ მისი უარის შემდეგ გამგეობის თავმჯდომარეობა იოსებ ქუთათელაძეს მიანდეს. წევრები იყვნენ: დირექტორი – რაუდენ დათეშიძე, კ.ოცხელი, ფ.საბაშვილი და ისიდორე კვიცარიძე.

„კოლხიდა“ ჩამოყალიბდა სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციად, რომლის მიზანიც იყო, გარდა კომერციული მოგებისა, წესრიგი შეეტანა სასოფლო-სამრეწველო მეურნეობაში, ხელი შეეწყო სამრეწველო მეურნეობის კულტურულ ნიადაგზე გადაყვანისათვის და ისეთი დარგებისათვის, როგორიც იყო: მეაბრეშუმეობა, მებამბეობა, მევენახეობა და სხვა, ჩამოეცილებინა გადამყიდველთა გავლენა (როგორც მაშინ ეძახდნენ „ჩარჩული სახე“), რომლებიც, ფაქტობრივად, გლეხობის მოტყუებით და ძარცვა-გლეჯით იყვნენ დაკავებული. რაც მთავარია, ასეთი ურთიერთობები ცუდ გავლენას ახდენდა პრო-

დუქციის ხარისხზეც, განსაკუთრებით ბამბაზე, რომელიც გადიოდა როგორც მოსკოვში, ასევე მარსელსა და ლოძშიც.

„ჩვენ ხალხს ჯერაც ვერ შეუგნია ის უბრალო საქმიანობა და პირდაპირი თავისი ინტერესი, რომ მას შეუძლია თავისი ნაწარმი ქალაქის ბაზარზე მოიტანოს და აქ უშვამავლოდ მიყიდოს ამხანაგობას თუ კერძო ვაჭარს, მაშინ მათ ერგებათ ის საკომისიო ფულიც, რაც ჩარჩებს მიაქვს საშუამავლოთ და წონა-ანგარიშშიც არ მოტყუილდებიან. ამ მხრით ეს დარგი ჩვენებური მეურნეობისა ყველაზე ცუდ პირობებშია ჩავარდნილი, ჩვენი უკულტურობით და სხვა საერთო პირობების გამო, ბუნებით საუკეთესო, ნაზი თვისებების იმერული ბამბა ისე მუშავდება, იწმინდება, ინახება და შემდგომ ისე მოუვლელათ ბინძურათ იყიდება, რომ ლამის არის სულ გაიფუჭოს სახელი“ – წერდა ისიდორე კვიცარიძე „ცისკარის“ ფურცლებზე. იყო შემთხვევებიც, როცა ქუთაისელ მექარხნეებს უწევდათ მიეღოთ წყალში დასველებული, ქვებ და მიწაშერეული ნედლი საქონელი. „კოლხიდას“ მიზანიც სწორედ ის იყო, რომ პირველი ხელიდან, სოფლის მეურნეებისგან, შეეძინა ნედლი, გადაუმუშავებელი საქონელი. მაგრამ ამ ყველაფერს ახლდა წინააღმდეგობები და სირთულეები ზემოთხსენებული მიზეზებისა და „კოლხიდას“ არცთუ ისე დიდი შესაძლებლობების გამო. ამხანაგობის მიზნები, გარდა წმინდა მოგებისა, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

დახმარებოდა სოფლის მწარმოებლებს, მეურნე-გლეხებს ყოველგვარი სამეურნეო ნაწარმის გასაღებაში. ამ მიზნით, ამხანაგობა თავისი აგენტების საშუალებით ქუთაისსა და სოფლებში ყიდულობდა: აბრეშუმის პარკსა და ბამბას, ამუშავებდა მას თავის ფარდულში და გასაყიდად ამზადებდა რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში;

ეხმარებოდა ასევე სხვა ამგვარ ამხანაგობებს და კერძო პირებსაც თავიანთი ნაწარმისა და საქონლის გასაღებაში;

„კოლხიდას“ ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო სამეურნეო ცოდნა და გაუმჯობესებული სამეურნეო-ტექნიკური იარაღები

გაევრცელებინა და ხელი შეეწყო ამ იარაღების შეძენაში;

ამხანაგობის მიზანი იყო, მეურნეებისათვის სესხი მიეცა საქონლის დაგირავებით ან დახმარებოდა მათ სესხის აღებაში.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზანთა შესასრულებლად თავის კანტორაში ამხანაგობამ მოაწყო „საკომისიო ბიურო“, რომლის მოქმედებაც გამოიხატებოდა იმაში, რომ დახმარებოდა გლეხებს, სოფლის მეურნეებს, სხვადასხვა იარაღის: სახნავ-სათესის, სამკელის, ვენახის შესაწამლი და სხვა საჭირო ნივთების შეძენა-გავრცელებაში. მიეწოდებინა მათთვის საუკეთესო შაბიამანი, გოგირდი, საუკეთესოდ მომზადებული და შემოწმებული აბრეშუმის თესლი „გრენა“, ხილის და დამყნილი ვაზის ნერგები, მინდვრის, საბოსტნე და საბაღე თესლეულობა (როგორც ადგილობრივი, ასევე ცნობილი უცხოური ფირმების). ამხანაგობა ყიდულობდა ყოველგვარ ხმელ ხილს, ჩირს: ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ბლის და სხვა. ასევე – ნიგოზს, თხილს, დათვნას, თაფლს, ჯაგარს, მატყლსა და სხვა მისთანებს. ამ საქმიანობის ეფექტურად წარსამართად „კოლხიდას“ დაქირავებული ჰყავდა სპეციალისტები და საქმის მცოდნე პირები. ამხანაგობაში ირიცხებოდა 170-მდე წევრი, პაი ღირდა 10 მანეთი და მისაღები 1 მანეთი. პაის შეძენა შეეძლო, ვისაც რამდენი სურდა.

უკვე 1907 წლის დასაწყისისთვის „კოლხიდას“ შეძენილი და მოწყობილი ჰქონდა ბალახვანში[1] 3 000 კვ. საჟენიანი[2] 10 000 მანეთად შეფასებული საბაღე დამუშავებული მამული, რომელზედაც გამართული იყო 2 500 ფუთამდე პარკის სახმობი ფარდული საკანტორე შენობით. იქვე მოწყობილი ჰქონდათ საცდელი მინდორი ვენახის, ხეხილის, მინდვრის, საბაღე თესლებისა და ბოსტნეულისათვის. ამხანაგობას შეძენილი ჰქონდა „ლოკომობილი“ (მანქანების ასამოძრავებელი ძრავა) და ბამბის სარჩევი 6 000 მანეთის ღირებულების მანქანები, რისთვისაც ბამბის ფარდული იყო გამართული (მიტროფანე

1 უბანი ძველ ქუთაისში.

2 ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული 2 მეტრი და 13 სანტიმეტრი, იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ლაღიძისა და ამხანაგობა „წყლის ქარხნის“ გვერდით, ალექ-სანდრე მხეიძის მამულში, საურთიერთო ბანკთან ახლოს, ბა-ლახვნის ქუჩაზე). ამ ქარხანაში ყოველ წელს მუშავდებოდა 8 000-დან 15 000-მდე ფუთი[3] ბამბა, ხოლო პარკის ფარდულში ხმებოდა 2 500 ფუთი აბრეშუმის პარკი. ყოველ სეზონზე ამ-ხანაგობას სამუშაოდ დაქირავებული ჰყავდა 20-დან 60-მდე მუშა, როგორც კაცები, ასევე ქალები, ძირითადად ღარიბები. ამ ორგვარი საქონლის საწარმოებლად ამხანაგობა ფულს სესხულობდა, როგორც ქუთაისშივე მდებარე საურთიერთო ბანკებიდან, ასევე ბათუმში სახელმწიფო ბანკიდან და ჩინეთის ბანკებიდან, რომელთაც დამუშავებულ საქონელს გაყიდვამ-დე უგირავებდა. ამ ორგვარ საქონელს ამხანაგობა ჰყიდდა: ბამბას – მოსკოვსა და ლოძში, ხოლო პარკს აგზავნიდა მარ-სელსა და ლიონში. ამდა სხვა ოპერაციებიდან ამხანაგობას წე-ლიწადში რჩებოდა 2-დან 4 მანეთამდე მოგება. იგი მოგებას წევრებს ურიგებდა და აგრეთვე იძენდა ქონებას და საჭირო ინვენტარს.

„კოლხიდას“ საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით. მას თბილისში ჰქონდა ღვინის სარდაფი (ქ. სიმონოვის შენობაში), სადაც ინახებოდა კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთის“ ღვი-ნოები, რომლის წარმომადგენლობაც ქუთაისის გუბერნიაში „კოლხიდას“ ჰქონდა მინდობილი, მასვე ჰქონდა მინდობილი „სკრის“ მემამულეების, ძმებ ფრიდონოვების სანერგე ხეხილის წარმომადგენლობა (ქართლში). „კოლხიდა“ იმერეთში კერ-ძო მევენახეებისა და დაწესებულებებისგან გასაყიდად იღებდა დამყნილ ვაზს.

როგორც იმდროინდელი სტატიებიდან ჩანს, „კოლხიდას“ მი-მართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო – მისი და-არსებიდან მოკლე ხანში მან ადგილობრივ მცხოვრებლებში საკმაო პოპულარობა და თანაგრძნობა მოიპოვა, რასაც ვერ ვიტყვით კერძო მოვაჭრეებსა და გადამყიდველებზე, რომ-ლებსაც მუდმივი კონკურენცია და დაპირისპირება (ხშირად

3 16 კგ.

ყოველგვარი თამაშის წესების უგულვებელყოფით) ჰქონდათ ამხანაგობასთან.

ამხანაგობისვე ინიციატივით, 1908 წელს ზესტაფონში გაიმართა იმერეთის მევენახეთა კრება, რომლის მიზანიც იყო ემსჯელათ მევენახეობისა და მეღვინეობის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივაზე. კრებას ესწრებოდნენ როგორც მსხვილი მეურნეები და ამხანაგობები, ასევე გლეხებიც. თითოეული მათგანი გამოთქვამდა თავის აზრს, უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას. საინტერესოა ნაწყვეტი დისკუსიიდან, რომელიც პრესის ფურცლებმა შემოგვინახა და ძალიან მნიშვნელოვანია იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის შესაფასებლად:

გლეხი ალ. გეწაძე: „მოტანილი იაფი ღვინო ქიშპობას უწევს ჩვენსას და კარგი იქნებოდა ასეთი ღვინის მოტანა აიკრძალებოდეს“;

გლეხი სერ. ბიბილაშვილი: „ღვინო ძვირად გვიჯდება, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის იმის საბუთი, რომ სხვას ავუკრძალოთ ღვინის მოტანა ჩვენში. გავაუმჯობესოთ ჩვენი ღვინის ხარისხი და იგი ჩვენი ქვეყნის გარეთაც მოიპოვებს ბაზარს“.

ცალკე აღნიშვნისა და გამოკვლევის საგანია ამხანაგობა „კოლხიდას“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორის და გამგეობის წევრის ისიდორე კვიცარიძის ცხოვრება,მისი ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდას“ (შემდგომში „იმერეთი“) საქმიანობა.

ისიდორე კვიცარიძე

ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძე დაიბადა 1878 წელს, ქუთაისის გუბერნიის სოფელ ოფურჩხეთში, მღვდლის ოჯახში. ძმის მონდომებით, საუკეთესო მოსწავლე ტფილისის სასულიერო სემინარიაში გააგზავნეს, სადაც ისიდორე მალევე ჩაება სემინარისტთა არალეგალური წრეების მუშაობაში და დაუახ-

ლოვდა ზაქარია ჭიჭინაძეს[4], ვისგანაც აკრძალულ ლიტერატურას იღებდა წრეებისთვის; იგი მალევე გაიწაფა ბუკინისტურ საქმიანობაში და ზაქარია ჭიჭინაძის მთავარი თანაშემწე გახდა, პარალელურად კი აქტიურად მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. სემინარიის მესამე კურსიდან ისიდორემ საკუთარი გადაწყვეტილებით სწავლას თავი დაანება (რამაც ოჯახი დიდად გაანაწყენა) და მთლიანად პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე გადაერთო; იგი რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც საგამომცემლო საქმიანობის შესწავლის და პარტიული დავალებების პარალელურად, თანამშრომლობდა ადგილობრივ პრესასთან. მეგობრებთან ერთად დაიწყო რუსულ პრესაში საქართველოს შესახებ ცნობების სისტემატიურად გამოქვეყნება და ქართული საზოგადოებრივი პროცესების გაცნობა რუსი მკითხველებისათვის.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისიდორემ გადაწყვიტა, საკუთარი მხარის განათლებისათვის ეზრუნა:

„მდაბიო ხალხში მწიგნობრობის გავრცელება, მარტო ვაჭრული მიზნით ამ წმინდა საქმეს არ შეჰფერის და იგი საზოგადოებაში ვერც იდეიურ თანაგრძნობას მოიპოვებს. აქ საჭიროა, როგორც იდეურათ დაინტერესებული ისე ვაჭრული გამოცდილებით აღჭურვილი მოქმედი პირები ხელმძღვანელობდნენ საქმეს. პირველი უმეორეოთ არ ვარგა და მეორე უპირველოთ, რადგან თუ პირველმა გაგიტაცა მის შესასრულებლათ ნივთიერი სახსარი აღარ გექნება, ხოლო თუ ამ საქმის ხელმძღვენელნი ვაჭრულმა ინტერესმა ჩაითრია, მაშინ ამ საქმეს საზოგადოებრივი ხასიათი ეკარგვის და იგი ჩვეულებრივ მეწვრილმანის საქმეთ იქცევა, კერძო ინტერესს ემსახურება“ – წერდა ისიდორე კვიცარიძე გაზეთ „ცისკარის“ ფურცლებზე.

4 ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე (1854-1931) ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი.

საგამომცემლო და პრესის კანტორა „კოლხიდა“

მას ამ საქმიანობის დაწყება მეტად რთულ და უსიამოვნებებით აღსავსე დროს მოუწია: რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის დროს, როცა ცარისტული რუსეთის მიერ იდევნებოდა ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთი, თავისუფალი სიტყვა და საგანმანათლებლო მუშაობა. ამ დროისათვის ქუთაისში სულ წიგნის ხუთი მაღაზია ყოფილა. აქედან ოთხი სახელმძღვანელოებითა და საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობდა. ისიდორემ სამეურნეო ამხანაგობაში მონაწილეობის კვალდაკვალ, იმავე სახელის მქონე საგამომცემლო და პრესის კანტორა „კოლხიდა“ დააარსა. იგი ორიენტირებული იყო ჟურნალ-გაზეთებისა და ისეთი ლიტერატურის გავრცელებაზე, რომელიც ხალხის ინფორმირებასა და თვითგანვითარებას უწყობდა ხელს. როგორც ისიდორე კვიცარიძის ძმის, პოლიევქტი (პოლია) კვიცარიძის, აგრეთვე ცნობილი სახალხო მასწავლებელის შთამომავალი, მერი ქაცარავა-კვიცარიძე, იგონებს, ისიდორეს სახლს (რომელიც ქუთაისში ყოფ. „არქიელის გორაზე“ დღევანდელ ბაგრატის ქ. # 6-ში მდებარეობს) ხშირად სტუმრობდნენ ისეთი გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და ნოე ჟორდანია. სწორედ მათი თანამოაზრეობა, ხალხის საზოგადო და პოლიტიკური განვითარება იყო ისიდორეს ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი მიზანი. კვიცარიძეების სახლის პირველი სართული ისიდორეს ბერძნული სკოლისთვისაც კი ჰქონია დათმობილი.

XX საუკუნის დასაწყისის ჟურნალ-გაზეთებში შემორჩენილი ცნობებით, „კოლხიდას“ საქმიანობა საკმაოდ წარმატებული ყოფილა არა მარტო ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების გავრცელებით, არამედ რეგიონებშიც, რომელთა პრესით მომარაგების სქემა ჩინებულად აუწყვია ის. კვიცარიძეს და მის კანტორას. „კოლხიდა“ ავრცელებდა არა მარტო ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს, არამედ თბილისსა და პეტერბურგიდან გამოწერილ პრესასაც. როგორც საზოგადოდ არის ცნობილი, მაშინდელ იმერეთში სწავლა-განათლების საკითხი მთელ კავკასიის რეგიონში თითქმის ყველაზე კარგ მდგომარეობა-

ში და კარგად ორგანიზებული იყო. იმავეს ვერ ვიტყვით დასავლეთ საქართველოს პროვინციებზე. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, რადგანაც ეს კუთხეები მაღალმთიანია და უგზოობის გამო წლის უმეტესი ნაწილი მოწყვეტილი იყო დასავლეთ საქართველოს ცენტრს, ქუთაისს (სამწუხაროდ, იგივე მძიმე სურათია ჩვენს დროშიც, ამ მხარეებს მუდმივად აქვს უგზოობის გამო ქუთაისთან კავშირის პრობლემა). არ იყო სამკითხველოები და პრესის მიწოდებაც ფერხდებოდა. მაშინდელ დროში ეს გარესამყაროსთან კავშირისა და თვითგანვითარებისთვის აუცილებელი პირობა იყო. ისიდორე კვიცარიძე პრესის ფურცლებიდან ეხმიანება და ყოველგვარ დახმარებას ჰპირდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის თაოსნობით შედგენილ ახალგაზრდების ჯგუფს, რომელსაც მიზნად დაუსახავს რაჭა-ლეჩხუმში სამკითხველოების დაარსება, წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით უწყვეტად მომარაგება და უზრუნველყოფა. ამ მხრივ, ისიდორე კვიცარიძისა და მისი ჟურნალ-გაზეთების კანტორის „კოლხიდას“ წვლილი რაჭა-ლეჩხუმში პრესის და წიგნების გავრცელებაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

„მე მოვკიდე რა ამ საქმეს ხელი აზრად დავისახე, იმერეთის პროვინციებში ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გასავრცელებლათ აგენტურა მომეწყო, რომ მკითხველს შეძლება ქონებოდა მიეღო თავის დროზე ყოველგვარი ჩვენი გამოცემები, ხოლო გამომცემლები უზრუნველყოფილიყვნენ ხვედრი ფულის ანგარიშების უკლებლივ მიღებაში, რათა მათ ხელმოკლე წარმოებას საქველმოქმედო ხასიათი არ ქონებოდა და თავიანთი გამოცემები განეგრძოთ. ამ მიზნით სამიოდ წელიწადს მარტო ვიმოქმედე ქუთაისში, სადაც ეს საქმე ყველამ იცის როგორც მაქვს დაყენებული. შინაურ და გარეგან მტრებს ხელი რომ არ შეეშალათ კიდევ უკეთ იქნებოდა მოწყობილი. მეოთხე წელიწადს მინდოდა საქმე გაფართოებულიყო და გავმართე მოლაპარაკება დასავლეთ საქართველოს ყველა უმთავრეს რაიონების აგენტებთან, მინდოდა მთელს იმერეთში ორი ან ოთხი კაცი ვყოფილიყავით გამომცემლების წინაშე პასუხისმგებელნი და ჩვენ გვყოლოდა დანარჩენ ადგილებში თანამშრომლები. ოთხივემ სამოქმედო რაიონები დავინაწილეთ და

თავთავიანთ ადგილებში მოქმედება დავიწყეთ, შევნიშნავ რომ ყოველივე ეს მოლაპარაკება შეთანხმება სიტყვიერათ იყო და ნოტარიუსისთვის არ მიგვიმართავს, თუმცა ბოლოს აღმოჩნდა ჩვენში ფორმალიზმი მწიგნობრობის საქმეშიც საჭირო ყოფილა, რადგან ჯერ კიდევ უკულტურონი ვყოფილვართ. საქმემ ისევ ძველებური ხასიათი მიიღო – დაიშალა ეს ოთხთა კავშირი და დღეს ყველა თავის ნებაზეა მიშვებული, როგორც მოეხასიათება ისე აწარმოებს წიგნების აგენტურას. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული რომ აგენტურის მოუწყობლათ ჩვენი გამომცემლები თავიანთი მცირედი შემოსავლებით ვერ იარსებებენ, ფვართოდ შევუდექი ჩემ რაიონში ამ საქმის ორგანიზაციას, გავიჩინე 15 სხვადასხვა ადგილას აგენტები, რომელთაც ვუგზავნიდი მუდამ დღე ყველა ჩვენ დღიურ და კვირეულ გამოცემებს და ახალ წიგნებსაც, გაგზავნ-გამოგზავნაშიაც მელინეიკე-მედილეუნეებმა რაჭა-ლეჩხუმის, ხონის, ნაოღალევის, და ბაღდათისკენ დახმარება აღმომიჩინეს და სულ მცირე სასყიდლათ მიჰქონდ-მოჰქონდათ გაზეთები. ამნაირათ დაარსდა მჭიდრო კავშირი ჩემი რაიონის პროვინციებთან, რაჭა-ლეჩხუმში შარაგზის ყველა ათამდე სადგურზე მყავდა აგენტები, ასევე არის მოწყობილი ხონში, ნაოღალევში, ბაღდათში და ტყიბულში. მარა ჩემ საქმესაც შავმა ყორანმა დასჩხავლა და ჩემგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა ასე აწყობილი საქმე ამიწეწ-დამიწეწა“.

რეაქციის წლებში ხელისუფლებას უყურადღებოდ არ დარჩენია „კოლხიდას“ საქმიანობა და 1907 წლის 22 მარტს წიგნის მაღაზია, ჟურნალ-გაზეთების კანტორა დახურა. თუ რამ წიგნები ჰქონდათ, ტომრებში ჩაყარეს და ჟანდარმთა სამმართველოში წაიღეს, რამაც, რა თქმა უნდა, დიდად დააზარალა ეს საქმე და, ფაქტობრივად, ყველაფერი ხელახლა ასაწყობი შეიქმნა. ამას მოჰყვა ისიც, რომ პროვინციებთან კავშირი გაწყდა და ხალხში განათლების შემტანი ეს აუცილებელი საშუალება მოაკლდა ყველასაგან მივიწყებულ მხარეებს. მალე თვითონ ისიდორეც დააპატიმრეს. ხელისუფლება მას აკრძალული ლიტერატურის გავრცელებას ედავებოდა, ხანგრძლივი სასამართლო პროცესების შემდეგ კი მას ერთი წლით პატიმრობა მიესაჯა.

განთავისუფლების შემდეგ ისიდორე კვიცარიძე, მიუხედავად ხელისუფლებისა და ცენზურის მხრიდან მუდმივი შევიწროებისა, თავიდან იწყებს საქმის ორგანიზებას. და ჟურნალ-გაზეთებში ჩნდება ცნობები ახალი ამხანაგობის კანტორის დაარსების შესახებ, რომელიც „კოლხიდას“ ნაშთებზე აღმოცენდა და „იმერეთი“ ეწოდა. იგი თავისი მიზნებითა და საქმიანობის არსით არაფრით განსხვავდებოდა წინამორბედისგან და, ფაქტობრივად, მისი საქმის გამგრძელებელი გახდა. „იმერეთის“ კანტორა ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის ერთ-ერთ მთავარ კულტურულ კერად იქცა.

1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საოკუპაციო რეჟიმის სიმძიმის გამო „იმერეთისა“ და სხვა ყველა დამოუკიდებელი ორგანიზაციის საქმიანობა, თანდათან გართულდა და ბოლოს შეუძლებელიც შეიქნა. რასაც კანტორის შიდა პრობლემებიც დაემატა. უკვე 1922 წლის ბოლოს მთავრობამ გადაწყვიტა გამოესყიდა საგაზეთე კანტორა „იმერეთში“ შენახული სამწერლობო განძეულობა. 30 წლის განმავლობაში ნაგროვები პერიოდული გამოცემების კოლექციები, ფოტომასალა და წიგნები მუზეუმის საკუთრებად იქცა, მასვე დაევალა საქართველოს მასშტაბით შეეგროვებინა და შეევსო კოლექციები (XIX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან მოყოლებული) და ჩაებარებინა მუზეუმისთვის.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ისიდორე კვიცარიძის, ასევე მისი ოჯახის ბედი, ტრაგიკულად წარიმართა; ჯერ კიდევ 1921 წლის თებერვალში თბილისის დაცვის დროს დაიღუპა მისი ძმისშვილი კონსტანტინე (კოტე) კვიცარიძე.1920-იან წლებში ისიდორეს ოჯახი, კანტორის ლიკვიდაციის, მისი რამდენჯერმე პატიმრობისა და ძველი საქმიანობით დაგროვილი ვალების გამო დიდ გაჭირვებაში აღმოჩნდა, რომლის დაძლევა ძველი მეგობრების, ქართველი ბუკინისტების დახმარებით ნაწილობრივ შეძლო. თუმცა მორიგი კრიზისი წინ იყო: 1934 წლის 17 ივნისს ისიდორე კვიცარიძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ქუთაისის რაიონულმა განყოფილებამ დააპატიმრა. მასზე თვალთვალის საფუძველზე, შინსახკომმა დაასკვნა, რომ ისიდორეს შინ შენახული უნდა

ჰქონოდა ძველი, რუსეთის იმპერიის დროს მოქმედი ოქროს ფული. სახლის ჩხრეკისას ისიდორე აიძულეს ეჩვენებინა ფულის ადგილსამყოფელი და 2005 ოქროს მანეთს, მთელი ცხოვრების დანაზოგს, კონფისკაცია გაუკეთეს.

1937-38 წლების დიდ ტერორს – მასობრივ რეპრესიებს შეეწირა ისიდორეს მეორე ძმისშვილი გრიგოლ (გიგლა) კვიცარიძე, რომელიც ფილოსოფიას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავად ისიდორე კვიცარიძე ამავე წელს დააპატიმრეს და თბილისში გადაგზავნეს, სადაც საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა, (ე.წ. ტროიკა), საზღვარგარეთ მყოფ თანაპარტიელებთან არალეგალური კავშირის ქონის, საქართველოს მდგომარეობის შესახებ ცნობების მიწოდებისა და საზღვარგარეთიდან არალეგალური ლიტერატურის მიღება-გავრცელების ბრალდებით, 1937 წლის 14 დეკემბერს მას დახვრეტა მიუსაჯა,რაც მომდევნო ღამეს მოიყვანეს სისრულეში.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდამ“ ქუთაისის გუბერნიაში სცადა დაემკვიდრებინა ცივილური საბაზრო ურთიერთობები და ყოველმხრივ ცდილობდა ის თამაშის წესები გაეტარებინა, რაც იმდროინდელ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში მოქმედებდა. მან ასევე პირველმა დაამყარა სავაჭრო ურთიერთობები ევროპულ ბაზრებთან და იქაურ მეფაბრიკე-მექარხნეებთან. ასევე „კოლხიდა-იმერეთის“ საგანმანათლებლო საქმიანობამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების სამართლებრივი და პოლიტიკური შეგნების ამაღლებაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ „კოლხიდას“ და ისიდორე კვიცარიძეს მოკრძალებული წვლილი მიუძღვით იმ დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, რაც მომდევნო ათწლეულში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში გამოიხატა.

>>

ისიდორე კვიცარიძე (დგას)
ქართველ მწერლებთან ერთად,
საკუთარ კანტორაში ქუთაისში

ფოტო: გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის მუზეუმი

სავაჭრო ამხანაგობა - შუამავალი

[ირაკლი ხვადაგიანი]

სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“

XIX საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიასა და საქართველოში ეკონომიკური ძვრებისა და დიდი კაპიტალის შემოჭრის კვლა-დაკვალ, (რაც ძირითადად ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალმა და ჭიათურის მანგანუმის მადნის დამუშავებისა და ექსპორტის განვითარებამ განაპირობა), ადგილობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, ძველებური ჩაკეტილობა და განუვითარებლობა, დიდად აღელვებდა როგორც ინტელიგენციას, ასევე მეურნეთა და მრეწველთა წრეებს; მათ განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ტენდენცია, რომ რეგიონებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების სადავეები წვრილ მოვაჭრეებს, გადამყიდველებს, „ჩარჩებს“, ჰქონდათ ხელში ჩაგდებული, რომლებიც ე. წ. კარტელური შეთანხმების პრინციპით, პორდუქციის შესყიდვისას, ფასს მინიმალურს ხდიდნენ და თავად კი გასაღებისას დიდ მოგებას ნახულობდნენ. შესაბამისად, გლეხების მეურნეობები ვერ ვითარდებოდა და არსებული გარემოს დარღვევას გლეხობა მხოლოდ საკუთარი ძალით ვერ ახერხებდა. ნაციონალისტურად განწყობილ მოქალაქეებში განსაკუთრებით საგანგაშო ის იყო, რომ „ჩარჩების“ უმრავლესობა უცხო ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ და მათ მიერ ვაჭრობისას გადაჭარბებით მიღებული მოგება, კაპიტალი, ადგილზე არ ჩერდებოდა და მინიმალურადაც არ უწყობდა ხელს ადგილობრივი მეურნეობისა და ცხოვრების განვითარებას.

სავაჭრო ამხანაგობის დაარსების იდეა

1893 წელს ტფილისელ და გურულ ინტელიგენტებსა და მრეწველებს შორის გაჩნდა სავაჭრო ამხანაგობის ჩამოყალიბების იდეა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებაში ჩაერეოდა, რეალურ ფასად, პირდაპირ მწარმოებლისაგან შეისყიდდა პროდუქტს და მომხმარებელს ნორმალურ ფასად მიაწვდიდა. რითაც ადგილობრივი წარმოების მეურნეობის შემოსავალს გაზრდიდა და მათ განვითარებას შეუწყობდა ხელს. გადამამუშავებელ მრეწველობასაც ხარჯებს შეუმცირებდა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გავრცელებას გაადვილებდა და ამ ოპერაციებით თავადაც მოგებას შეიძენდა.

მათ შეიმუშავეს ამხანაგობის სანიმუშო წესდება, რომელიც ამ დროისათვის უკვე არსებული ქართული „დეპოებისა“ და ამხანაგობების საუკეთესო გამოცდილებას წარმოადგენდა და აგნეტურის, წარმომადგენელთა ქსელის ორგანიზებას შეუდგნენ.

ინიციატორთა ჯგუფს, კონსტანტინე თავართქილაძე, ვ. ხუნდაძე, იაგორ თაყაიშვილი შეადგენდნენ, ხოლო მალევე მოხდა დროებითი გამგეობის ორგანიზება, რომელშიც ალექსანდრე გარსევანიშვილი, დავით კარიჭაშვილი, გარსევან რატიანი შედიოდნენ, ხოლო კანდიდატებად ი. ავალიშვილი, არსენ თოხაძე, მიხეილ თუმანიშვილი და გიორგი მარგალიტაძე იყვნენ.

წამოწყების აგენტურად შემდეგი პირები გამოვიდნენ: ქუთაისში – ვასილ ბეჟანიშვილი, ბათუმში – ნინო დავითის ასული ქიქოძე და ივანე დავითის ძე კაკაბაძე, განჯაში – სოლომონ დოლიძე და სიმონ კალანდაძე, რაჭაში – აგრონომი ერმილე ნაკაშიძე, თბილისში – სოსო კოლელიშვილი, არ. ორმოცაძე, სიმონ ჭყონია და ალექსანდრე თოიძე.

მალევე, სამზადისის გაჭიანურების კვალდაკვალ, გამოიკვეთა, რომ ინიციატორთა ნაწილი, რომელსაც მიაჩნდა ამხანაგობა თავის სამიზნესთან, გლეხურ მეურნეობებთან ახლოს უნდა ყოფილიყო, ადგილობრივი გურული ინტელიგენციისა და

მრეწველების წარმომადგენლები ამხანაგობის ქსელის აწყობას სოფლად – გურიაში აპირებდნენ. ხოლო ტფილისელმა ინიციატორებმა კი, თავის მხრივ, ქალაქად, სანიმუშო სავაჭრო სახლის დაარსება გადაწყვიტეს.

ორივე ჯგუფმა ახლად დაარსებულ ამხანაგობებს, მისი მოქმედების არსის შესაბამისად, სახელად „შუამავალი“ დაარქვეს.

გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალის“ წესდებით გათვალისწინებული იყო, რომ იმის მიუხედავად, ამხანაგობის წარმატება პოზიტიური ფაქტი იქნებოდა თუ არა, ადგილობრივი მეურნეობისათვის, მოგების ნაწილი – 30 % საქველმოქმედო მიზნებისათვის უნდა გადადებულიყო. წესდებით გაიწერა ამხანაგობის მმართველი ორგანოების მოწყობის პრინციპი, წევრობის პირობები და გადაწყდა, რომ ამხანაგობის კრებები მუდმივად გურიაში გამართულიყო.

ამხანაგობას გადაწყვეტილი ჰქონდა შეესყიდა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და განურჩევლად დაიწყო მათი შესყიდვა და გასაღება.

ტფილისის სავაჭრო სახლი „შუამავალი“

ტფილისის ჯგუფმა „შუამავლის“ სავაჭრო სახლი სალდათის ბაზრის ახლოს, ბარონისა და ბაზრის ქუჩების (ამუამინდელი ფურცელაძისა და თაბუკაშვილის ქუჩების) გადაკვეთაზე, მუხრანბატონის სახლში გახსნა და მალევე მიიპყრო ადგილობრივი მომხმარებლის ყურადღება. ტფილისის „შუამავლის“ სავაჭრო სახლის გამგეობის ხელმძღვანელად ვლადიმერ აღნიაშვილი აირჩიეს, ხოლო გამგეობაში წევრებად შედიოდნენ: გარსევან რატიანი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, ივანე როსტომაშვილი, ვარლამ ჭიჭინაძე, დავით კარიჭაშვილი (ხაზინადარი), ანტონ ფურცელაძე, არტემ ახნაზაროვი, იოსებ (სოსიკო) მერკვილაძე, ივანე კახეთელიძე, იოსებ მახარობლიძე, სამსონ წერეთელი, სოსო კოლელიშვილი, ვიქტორ კერვალიშვილი და ილიკო ლომინაძე.

სავაჭრო სახლმა მალევე მოიპოვა პოპულარობა და მყიდველების გული მოიგო სისუფთავით, ხარისხიანი პროდუქციით, რეალური ფასებითა და თავაზიანი მომსახურეობით, რამაც ამხანაგობას სტაბილური მოგება, საქმის განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობაც მისცა. თუმცა, ქსელის განვითარება ორგანიზატორებმა უარყვეს და არსებული მაღაზიის დატვირთვა გაზარდეს.

გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“

სავაჭრო სახლისაგან განსხვავებით, გურიის სავაჭრო ამხანაგობის ამოქმედებისთანავე პრესაში მწვავე პოლემიკა დაიწყო ამხანაგობის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ; კამათის ინიციატორი ამხანაგობის მიერ ტფილისში საკუთარ აგენტად განზრახული ალექსანდრე თოიძე იქცა, რომელმაც პრესაში განაცხადა, რომ ამხანაგობის მიზნები მისი რწმენის წინააღმდეგი იყო და უარი განაცხადა მასში მუშაობაზე; თოიძის აზრით, ამხანაგობა, რომელიც პროდუქციის შესყიდვაში ჩაერეოდა, წვრილ ვაჭრებს შეეცილებოდა და საქმეს ჩამოაცილებდა, უარყოფითად იმოქმედებდა გურიის განვითარებაზე. რამდენადაც ეს წვრილი ვაჭრები ადგილობრივი მოვაჭრეები იყვნენ და მათი მოგება სწორედ გურიის საზოგადო საქმეების მოგვარებასაც ხმარდებოდა. თოიძის აზრით, თუნდაც „შუამავალს“ მიზნად ქველმოქმედება ჰქონოდა, იგი მაინც ვერ გადაფარავდა კონკურენტი გურული ვაჭრების გაკოტრებით გამოწვეულ საზოგადო ზარალს. მისი აზრით, გამოსავალი „შუამავალის“ საექსპორტო საზოგადოებად გადაკეთებაში იყო.

ამხანაგობის მოთავეთა საპასუხო არგუმენტები დამაჯერებლად ჟღერდა: ისინი საზოგადოებას განუმარტავდნენ, რომ წვრილ მოვაჭრე-გადამყიდველთა უმეტესობა ადგილობრივები არ იყვნენ, ხოლო ადგილობრივებიც კი რეალურად ძარცვავდნენ გლეხებს დაბალ ფასებში პროდუქციის შესყიდვით და ალტერნატივის მოსპობით. ხოლო მათი მოგება, მათსავე კერძო ინტერესებს ხმარდებოდა და საზოგადოებრივი სარგებლობის საქმეებში მიზერული იყო. შესაბამისად, ამხანაგობა

თავისი მუშაობით, პირიქით, სასარგებლო შეიქმნებოდა გურიისათვის.

გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალმა“ პირველი ქმედითი ნაბიჯები 1895 წელს გადადგა; ამ ინიციატივას ხალისით შეუერთდნენ გურული გლეხები და წვრილი მრეწველები. საწევრო „პაი“ 20 მანეთს შეადგენდა. დაშვებული იყო, „პაის“ სრულად გადაუხდელობის შემთხვევაშიც, პირი ჩართული ყოფილიყო ამხანაგობის მოქმედებაში, თუმცა ასეთ პირებს ამხანაგობის კრებაზე ხმის უფლება ერთმეოდათ. 1895 წლიდან 1897-1898 წლებამდე ამხანაგობის წევრების რიცხვი 200-დან 500-მდე გაიზარდა.

გურიის მოსახლეობა ამხანაგობას, გარდა მეწილეობისა, ქონების შეტანით დაუდგა მხარში. ასევე ზოგიერთმა სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთები გადასცა საჩუქრად. გურიაში ამხანაგობის დამხმარედ და მოამაგედ მრავალთა შორის შემდეგი პირები გამოვიდნენ:

ალექსანდრე მიქელაიშვილი, ნინა ბერეჟიანისა და ქ-ნი გოგოლაშვილი, ივანე ცეცხლაძე, თავადი ნიკოლოზ თავდგირიძე, მიხეილ ორმოცაძე, დ. მაჭუტაძე. ა. მაჭუტაძე, სილოვან კალანდაძე, ეკატერინე, დიმიტრი და დავით მამულაიშვილები და სხვა.

ამხანაგობამ თავდაპირველი პრიორიტეტი შეინარჩუნა, იგი გლეხებისაგან სხვადასხვა პროდუქტს იძენდა გასასაღებლად. თავის მხრივ, მეურნეებიც გამოდიოდნენ ინიციატივითა და ამხანაგობას მიუთითებდნენ თუ რომელ პერიოდში რა პროდუქტზე იქნებოდა სავაჭრო მოთხოვნილება. მომდევნო წლებში „შუამავალმა“ სწორება აბრეშუმის წარმოების განვითარებაზე აიღო და აბრეშუმის პარკის თესლის შეძენა გასაღებასა და ნაწარმის რეალიზაციაზე, ასევე თუთის ნარგავების გავრცელებაზე გადაერთო.

აბრეშუმის ვაჭრობაში „შუამავლის“ მხარედ გამოჩენამ სწარაფი შედეგი გამოიღო და მიზერული ფასები ნახტომისებურად

მიუახლოვდა რეალურს, რამაც, ერთი მხრივ, მწარმოებელი გლეხების, მეურნეებისა და ასევე ამხანაგობის წევრების ენთუზიაზმი გაამძაფრა. 1897 და 1898 წლებში „შუამავალს“ დიდი მოგების პერიოდი ჰქონდა და სახალხო მხარდაჭერა და სიმპათია განიმტკიცა. ამხანაგობამ გამოცდილების გასაზიარებლად კავშირი დაამყარა იმერეთის მეაბრეშუმეთა პირველ საზოგადოებასთან და მის ხელმძღვანელ ნესტორ წერეთელთან, რათა საქმის განვითარების შემთხვევაში, ევროპაში ნაწარმის ექსპორტზე ეფიქრათ.

„შუამავლის“ წარმატება მაგალითად იქცა სხვა კუთხეებისათვის – „შუამავლის“ ტიპის ამხანაგობა დაარსდა საჩხერეში: ანემპოდისტო მაჩაბლის, ბეჟან წერეთლისა და ფილიპე მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდგომ ძველ სენაკში – სამსონ ყიფიანის, ლევან ქავთარაძის, ივლიანე გოგოლაშვლის, ოტია დადიანის, ბესარიონ თურქიასა და გ. ჩოჩუას ინიციატივით.

საჩხერის „შუამავალმა“ ვერ შეძლო ძალების ორგანიზება და მალევე შეწყვიტა არსებობა; ძველი სენაკის ამხანაგობა რამდენიმე წლის განმავლობაში გაჭირვებით ახერხებდა ბალანსის შენარჩუნებას, თუმცა მას შემდეგ, რაც გამგეობის მუშაობაში სახალხო მასწავლებელი არსენ წითლიძე ჩაერთო, ამხანაგობა გამოცოცხლდა და მოგების მოპოვება შეძლო.

გურიის შუამავალმა საჭილაოში, ადგილობრივი შეწირულობების ბაზაზე, კანტორის ამოქმედება შეძლო. მალევე ანალოგიურად, სოფ. დვაბზუში დავით მამულაიშვილის შეწირულ მიწაზე აბრეშუმის ძაფსახვევი სახელოსნო და სკოლა გამართა, სადაც გურული ბავშვები და ახალგაზრდები მეაბრეშუმეობას სწავლობდნენ და პარალელურად ამხანაგობის აბრეშუმს ამუშავებდნენ.

1901-1902 წლებამდე „შუამავლის“ მოქმედებამ საკმაოდ შეცვალა გურიისა და სამეგრელოს ნაწილის ეკონომიკური ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობის თავდაპირველი მოგება და წარმატება დროთა განმავლობაში პროგრესიით

არ განვითარდა, „შუამავლის“ გამოჩენამ ბაზარზე, მისმა აქტივობამ აიძულა კონკურენტები კომპრომისებზე წასულიყვნენ და ფასები დაერეგულირებინათ, რის შედეგადაც მეაბრეშუმეობა მომგებიან საქმედ იქცა და გლეხობამ მის განვითარებას მიჰყო ხელი.

ინიციატივების განვითარების შეწყვეტის მიზეზები

ამხანაგობის ეფექტიანობის დაქვეითებისა და საბოლოოდ მარცხის მიზეზი ძირითადად ორი, ერთმანეთზე დამოკიდებული ფაქტორი გახდა: ერთი მხრივ, მუდმივად იდგა პროფესიონალის, კომერციასა და საერთაშორისო ვაჭრობაში საფუძვლიანად გარკვეული ადამიანის საჭიროება; მიუხედავად იმისა, რომ „შუამავლის“ პირველი ხელმძღვანელი (გამგეობის თავმჯდომარე), კონსტანტინე თავართქილაძე საკმაოდ წარმატებულად უძღვებოდა ამხანაგობის საქმეებს, მას მაინც აკლდა კომერციის მეცნიერული ცოდნა და მხოლოდ საკუთარი პრაქტიკული უნარებითა და გამოცდილებით წარმართავდა ვაჭრობას, რის გამოც მალევე ამხანაგობის ანგარიშები აირია, პრობლემებმა იჩინა თავი და მას ხელმძღვანელობიდან წასვლა მოუწია. მცირე, გარდამავალი პერიოდის შემდეგ, გამგეობის ხელმძღვანელად არჩეული ასკანის ყოფილი მამასახლისის, სოლომონ ჭეიშვილის მმართველობის დროს კი, ამხანაგობას უფრო მძიმე პრობლემები გაუხდა გადასაჭრელი.

განხეთქილებისა და დაცემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, მმართველთა არაკომპეტენტურობის გარდა, თავად ორგანიზაციის წყობაში არსებული შეუსაბამობა და უსამართლობა იყო. საწარმოო ბაზა – აბრეშუმის მრეწველობა, რასაც ამხანაგობა ეფუძნებოდა, ძირითადად ლანჩხუთის საბოქაულოში იყო განვითარებული, ამხანაგობის გამგეობა კი ოზურგეთში იყო განთავსებული. ლანჩხუთის წარმომადგენლები, მეწილეები დისკრიმინირებულები იყვნენ, რამდენადაც გზის მოუხერხებლობის გამო მოწყვეტილი იყვნენ გამგეობის ყოველდღიურ მოქმედებას. ამასთანავე მათი წარმომადგენლობა გამგეობაში არაპროპორციულად მცირე იყო და მათი წინადადებები გამ-

გეობის გადახალისების, კონტროლის გამკაცრებისა და სავაჭრო პოლიტიკის გადახედვის შესახებ, მუდამ იგნორირებული რჩებოდა. გამგეობას სამოქმედო კურსს განუსაზღვრავდნენ არა მრეწველები (ლანჩხუთში მოსახლეები), არამედ ოზურგეთის მხრიდან წარმოდგენილი მეპაიეები.

ამას დაერთო ახალი გამგის – სოლომონ ჭეიშვილის არაკომპეტენტურობა და როგორც სარევიზიო კომისიამ (რომელშიც ავტორიტეტული და მიუდგომელი მეწილეები იყვნენ ჩართული) დაასკვნა, ხშირ შემთხვევაში, აშკარა იყო დანაშაულებრივი გულგრილობა და თანხების გაფლანგვა, რამაც ამხანაგობა წაგებაზე გადაიყვანა და მისი რეპუტაცია დასცა. ლანჩხუთის წარმომადგენლებმა საბოლოო კომპრომისად სცადეს ამხანაგობის გადარჩენა და საკუთარი სახსრების დამატებით დაბანდების წილ, უფლებების გაწონასაწორება მოითხოვეს. თუმცა ეს წინადადება ამხანაგობის უმრავლესობამ არ მიიღო და მცდელობა ჩაიშლა, 1903 წლისათვის გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალმა“, ფაქტობრივად, მოქმედება შეწყვიტა.

ანალოგიურად, ტრაგიკული გამოდგა ტფილისის სავაჭრო სახლის „შუამავალის“ ბედიც; რამდენიმე მომგებიანი წლის შემდეგ, იმის მიუხედავად, რომ ამხანაგობის საქმე იმედისმომცემად ვითარდებოდა და სავაჭრო სახლმაც თავისი პატიოსანი და კულტურული მუშაობით პოპულარობა მოიპოვა, გამგეობაში გაჩენილი წვრილმანი ინტრიგებისა და უთანხმოების გამო მმართველი – ვლადიმერ აღნიაშვილი საქმეს ჩამოშორდა, რის შემდეგადაც სავაჭრო სახლის საქმეები უკან-უკან წავიდა და, საბოლოოდ, გაუქმდა. თავად ლადო აღნიაშვილი კი, როგორც ერთ-ერთი დამაარსებელი და მეწილე, ვალებში გაება და მალევე ამ პრობლემების მოგვარებას გადაჰყვა.

მძიმე დასასრულის მიუხედავად, „შუამავლის“ ტფილისისა და გურიის ამახანაგობებმა მაინც პოზიტიური გავლენა მოახდინეს ეკონომიკურ პროცესებზე: ტფილისის სავაჭრო სახლმა საზოგადოებას აჩვენა მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესის წარმატებული მაგალითი, ხოლო გურიის სავაჭრო ამხანაგო-

ბამ წლების განმავლობაში ბაზარზე გამეფებული და მწარმოებლებისათვის მძიმე პირობები საფუძვლიანად შეაბრუნა და ადგილობრივ საწარმოო ძალების კონსოლიდაციის უპირატესობის ილუსტრირება მოახერხა. ორივე წამოწყებას რეალურად ჰქონდა ხანგრძლივი წარმატებისა და განვითარების პოტენციალი, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო მათი განვითარება შეფერხდა. მიზეზთა შორის უმთავრესის, პროფესიული განათლებისა და პრაქტიკის მქონე საქმის ენთუზიასტთა ნაკლებობის, როგორც ხელისშემშლელი ფაქტის გადალახვა იმ პერიოდში იმჟამად არსებული რესურსით ვერ მოხერხდა. თუმცა წარუმატებლობის მიზეზი გაფრთხილებად დარჩა მემკვიდრე ინიციატივებისათვის.

>>

სავაჭრო სახლი „შუამავალი“ თბილისში,
სასახლის ქუჩა. დაახლოებით 1919 წელი

ფოტო: საქართველოს ეროვნული არქივი,
კინო-ფოტო დოკუმენტების ცენტრალური
სახელმწიფო არქივი

მევენახე-მეღვინეთა გაერთიანებები

[პაატა ალავერდაშვილი]

მევენახე-მეღვინეთა გაერთიანებები

საქართველოს რეგიონებში მევენახე-მეღვინეების აქტივობა საკმაოდ შესამჩნევია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ისინი ქმნიან კოოპერატივებსა და ამხანაგობებს, რომელთა საშუალებითაც ერთად უვლიან ვენახებს, აყენებენ ღვინოს, ეძებენ და აფართოვებენ გასაყიდ ბაზრებს, ზრუნავენ შესაბამის ორგანოებში ინტერესების დაცვაზე. კახეთის მევენახე-მეღვინეების მიერ კოოპერატივის შექმნაზე ყველაზე ადრეული ინფორმაცია გვაქვს 1895 წელს. ოდნავ მოგვიანებით მსგავსი ამხანაგობები ჩნდება იმერეთშიც. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფორმის გაერთიანებები საკმაოდ მიმზიდველი და ხელსაყრელი ჩანს გლეხისთვის, რაც ისტორიულ-ეკონომიკურ-სოციალურმა გარემოებებმა განაპირობა.

ისტორიული კონტექსტი

1861 წლის 19 თებერვალს გლეხობა განთავისუფლდა ფეოდალებისგან, შესაბამისად, მას გაუჩნდა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად დაეწყო მიწათმოქმედება. თუმცა, გათავისუფლებას თან მოჰყვა ბევრი მცირე თუ დიდი პრობლემა – გლეხებს არ ჰქონდათ საკმარი საკუთარი მიწა, უფლებები და ფულადი რესურსი, გადასახადი იყო მაღალი და ა.შ. ამ პერიოდში ხშირად ვხვდებით გლეხთა გაფიცვებსა და გამოსვლებს. ხოლო მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისას, პრესაში ხშირად ისმოდა მოწოდებები ახლად-

შექმნილი სახელმწიფოს სასარგებლოდ, ძალების გაერთიანებისა და თანადგომისკენ, რომ „მხოლოდ საქართველოს მეღვინე-მევენახეთა გაერთიანებული ძალებით შეიძლება ურთიერთდახმარება, რომ აღძრულ დიად საკითხებს გაძღოლა და პატრონობა უნდა“. საკარაუდოდ, ჩამოთვლილმა გარემოებებმა ხელი შეუწყო გლეხთა მიერ ამხანაგობებისა და კავშირების აქტიურად წარმოქმნას.

გაერთიანებები და ამხანაგობა

საქართველოში მევენახე-მეღვინეები სხვადასხვა სახის თვითორგანიზებულ ფორმალურ თუ არაფორმალურ ჯგუფებს ქმნიან, შესაბამისად, ღონისძიებები და მიზნები სხვადასხვა აქვთ. მაგალითად, ასეთებია: ამხანაგობა, კოოპერატივი, კავშირთ-კავშირი, საქართველოს მეღვინეთა საერთო კრება.

საქართველოში, ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციით, როგორც ზემოთ ითქვა, 1895 წელს მეღვინეობა-მევენახეობის სფეროში ფუძნდება პირველი კოოპერატივი. წესდება გამოქვეყნებულია 1908 წელს. აღიშნული კოოპერატივი მოიცავს კახეთის რეგიონს. წესდებაში დეტალურად არის გაწერილი წევრების უფლება-მოვალეობები, მართვის ფორმა და ორგანოები, მოგების განაწილების გზები.

რაც შეეხება ამხანაგობის მიზანს, ამხანაგობის წესდებაში ვკითხულობთ: „კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ გლეხთა ამხანაგობას მიზნადა აქვს ხელი შეუწყოს თავის წევრებს მხოლოდ მათი მევენახეობის ნაწარმოების გასაღებაში: ა) ღებულობს მათგან ღვინოს დასამუშავებლათ და დასაძველებლათ; ბ) სასტიკ თვალყურს ადევნებს, რომ მიღებულ ღვინოს არავითარი ფალსიფიკაცია არ უყონ, არაფრით შეაზავონ, რომელიც დაუკარგავს ბუნებრივ გემოსა და ფერს და გ) ამგვარათ დამუშავებული და მოძველებული ღვინო გამოუშვას ამხანაგობის ფირმით გასაყიდად“. ამხანაგობა ღვინოს ასაღებს არამარტო საქართველოში, არამედ ამყარებენ კონტაქტებს სხვა ქვეყნებთან: „ამხანაგობა ბაზრის გაფართოებისთვის ზრუნავს,

რათა საქმე დაიჭიროს პირდაპირ ბაზართან. რისთვისაც ხსნის და მართავს, რუსეთში თუ საზღვარგარეთ, საწყობებს, სარდაფებს, განყოფილებებს, მაღაზიებს...“ 1918 წლისთვის ამხანაგობა 246 წევრს აერთიანებს. გაერთიანება ფარავს მთლიანად კახეთს, თუმცა მის გამგეობას უფლება აქვს იმსჯელოს მომიჯნავე რეგიონიდან წევრის მიღებაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოოპერატივის მართვის ფორმა არის სრულიად დემოკრატიული, უზრუნველყოფილია თითოეული წევრის ჩართულობა და ინფორმირებულობა, ასევე იყენებენ წახალისების მეთოდებს. იმისთვის, რომ მუშაობა გამჭვირვალე იყოს, პერიოდულად ბეჭდავენ და წევრებს ურიგდებათ ფინანსური და თხრობითი ანგარიშები, თითოეული წევრი იგებს ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ. გარდა ამისა, ყოველი წლის ბოლოს იმართებოდა საერთო კრება, სადაც გამგეობის თავმჯდომარე მოხსენებით წარდგებოდა წევრების წინაშე და აბარებდა ანგარიშს გასული წლის შესახებ.

კავშირთ-კავშირი

მეტად საინტერესოა კახელ მევენახეთა გაერთიანება „კავშირთ-კავშირის“ საქმიანობა. 1917 წელს დამტკიცებული წესდების მიხედვით, მიზანი არის „გაავრცელოს გაუმჯობესებული წესით მევენახეობის და მეღვინეობის წარმოება, აგრეთვე ხელი შეუწყოს მევენახეთა კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებას, მათ შეკავშირებას და საზოგადოთ, კახეთის კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებას.“ კავშირის აქტივობები სხვადასხვაა და მოიცავს მაგ: „1. სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა მონახვას; 2. ადგილობრივი ნიადაგისა და კლიმატურ პირობათა მიხედვით ამერიკულ და ადგილობრივ ვაზის შერჩევა-შესწავლას; 3. სახალხო ლექციების და თათბირების მოწყობას და ა.შ.; 4. სტატისტიკური ცნობების შეკრებას და მათი შედეგების გამოქვეყნებას; 5. პერიოდული თუ სხვა სპეციალური ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებას; 6. სათანადო დაწესებულებებში თუ კერძო პირთა წინაშე სხვადასხვა შუამდგომლობათა აღძვრას; 7. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობას (საზოგადო განმანათლებელი და სპეც. სა-

მეურნეო სკოლების, სახალხო სახლების და საზოგადოებების სამკითხველოების)“ და სხვა.

ტიპიური კოოპერატივისგან განსხვავებით, „კავშირთ-კავშირი“ თავის თავში თავად აერთიანებს სხვადასხვა ამხანაგობასა და მისი საქმიანობის გაუმჯობესებაზე ზრუნავს. საქმიანობის ეს ფორმა „მეორე“ დონედ შეგვიძლია განვიხილოთ, სადაც მუშაობენ გაცილებით ფართო მასშტაბის პრობლემებზე, ვიდრე ვიწროდ ღვინის დაყენებაა. მაგალითად, თუ ამხანაგობა „კახეთი“ კარგი ღვინის წარმოებისთვის მუშაობს, „კავშირთ-კავშირი“ ზრუნავს კარგი ღვინის დაყენების შესახებ ცოდნის გაღრმავებას შეუწყოს ხელი, რისთვისაც მაგალითად, საკუთარი ფულით აფინანსებს ჟურნალს მეღვინეობისა და მევენახეობის შესახებ.

საერთო კრება

გამორჩეული ფაქტიას რულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა საერთო ყრილობა (იგივე – საერთო კრება, ან კონგრესი). 1919 წლის 23 ნოემბერს „შეიყარნენ... საქართველოს უდიდესი სამეურნეო დარგის – მევენახე-მეღვინეობის წარმომადგენელი მეურნეები. რამდენიმე დღის განმავლობაში ბჭობდნენ, გამოარკვიეს თავიანთი დარგის პრობლემები, პრობლემების აღმოსაფხვრელად დასახეს შესაბამისი ზომები.აირჩიეს დროებითი საბჭო და მიანდეს მას ყრილობის მიერ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარება“. „კავშირთ-კავშირის“ საქმიანობა თუ პირობითად „მეორე დონედ“ შევაფასეთ, საერთო კრების საქმიანობა შეგვიძილია შევაფასოთ „მესამე დონედ“. კონგრესი მუშაობს ისეთ საკითხეზე, როგორიცაა მევენახეებისთვის საჭირო პრეპარატების ქვეყანაში შემოტანა, რეგიონების მიხედვით ინფორმაციის შეგროვების საჭიროება და მის სტრუქტურირება. რაც მთავარია, ის განიხილავს და შესაბამის დადგენილებებს იღებს მთავრობის ამათუ იმ გადაწყვეტილებაზე, როგორიცაა მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს მიერ ღვინოზე აქციზის საფასურის გაზრდა. ამ ფორმით ცდილობს იგი მეღვინეებისა და მევენახეების ინტერესთა დაცვას.

თვალშისაცემია მეღვინე-მევენახეების საერთო კრების დადგენილება, რომელიც ეხება საფრანგეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას (1920 წელის 12 იანვარი) – „იგი არის საქართველოს სახელმწიფოს „აღდგომის“ დღე, საუკუნეზედ მეტი თავისუფლების დაკარგულმა მან ხელახლა მოიპოვა საპატიო ალაგი ყველა ერთა შორის. ამიერიდან... მეტი უფლება გვავალებს მეტს პასუხისმგებლობას. დაუღალავად მუშაობა გვმართებს, უნდა ვიხმაროთ ყველა ძალები საქართველოს ეკონომიური აღორძინებისთვის და განმტკიცებისთვის“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კრებების დადგენილებებში ხშირად არის ხაზგასმული დემოკრატიული ღირებულებების ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა. როგორც ჩანს, იმ პერიოდის მეღვინე-მევენახეთა საზოგადოებაში, ალბათ ზოგადადაც, არის ბუნებრივი მოთხოვნილება დემოკრატიული ღირებულებებისადმი – „რაც მოხდა (დამოუკიდებლობის მიღება ავტ.) ამას დამკვიდრება სჭირდება – პოლიტიკურ დამოუკიდებლობას საბოლოოდ შენარჩუნება და დემოკრატიული პრინციპების – ცხოვრებაში გატარება“. უფრო მეტიც, ვხვდებით არა მარტო მოწოდებას, არამედ იგივე კრება ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების პროცესს აქციზების საკითხზე არადემოკრატიულს უწოდებს და შენიშნავს, რომ ის „ჰშორდება დემოკრატიულ წყობილებას“, შესაბამისად, ერთგვარად, დემოკრატიის სადარაჯოზეც დგას.

ხაზგასასმელია კონგრესის მუშაობის სტილი. დადგენილებებში უმეტესად ვხვდებით კომპლექსურ ხედვებს, მსჯელობისას თვალშისაცემია გლობალური მიდგომა პრობლემების მიმართ. შეუძლებელია არ აღინიშნოს მათი მუშაობის კულტურა, თუ როგორ იღებენ გადაწყეტილებას, როგორ აღიქვამენ პრობლემას და ცდილობენ მის გადაჭრას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, მეღვინე-მევენახეთა კრება როგორ მოუწოდებს მეურნეობის სხვა სფეროებს, იმუშაონ საკუთარ საკითხებზე და მათ მოგვარებაზე: „მესაქონლეებმა, მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის წარმომადგენლებმა და

აგრეთვე სხვა სამეურნეო დარგების მეურნეებმაც და მოხელეებმაც უნდა გამოარკვიონ ურთიერთ შორის თავ-თავიანთი მეურნეობის აწინდელი მდგომარეობა, გაიკვლიონ გზა წარმატებისა და შეუდგნენ მუშაობას მთელი თავიანთი ძალ-ღონით. როდესაც მშრომელი ხალხი ასე დარაზმდება და თითოეული ჯგუფი შეუდგება თავის სასპეციალო დარგის ზედმიწევნით შესწავლას,... ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებასაც მაშინ შეეტყობა წარმატება და ნაყოფიერობა. გარეშე ზრუნვა და აპეკუნობა აღარ დაგვჭირდება მაშინ.“ სწორედ ეს მიმაჩნია უმნიშვნელოვანეს ფაქტად, რომ ამ დროის მეურნეები ფიქრობენ თვითმყოფადობის გზების პოვნაზე.

საერთო კრება პირველივე შეკრებაზე განიხილავს მეღვინე-მევენახეებისთვის ინფორმაციისა და საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობას. შესაბამისად, პირველ ნაბიჯად ადგენს, რომ გამოიცეს გაზეთი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის შემდეგ გამოდის სახელით „ვაზი და ღვინო“. გაზეთში სტატიებს აქვეყნებენ სფეროს სპეციალისტები სხვადასხვა დარგიდან. გამოცემაში იბეჭდება როგორც ვენახისა და ღვინის მოვლასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე სფეროში მთავრობის ახალი დადგენილებები და უცხოური სიახლეები. საერთო კრება ბჭობს საერთო სანერგეებისა და სამაგალითო ვენახების მოწყობაზე, სადაც გამოცდილი იქნება ვენახის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები. ასევე გადაწყვეტენ, რომ ახლადდაარსებულ უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიასთან შეიქმნას ღვინის ლაბორატორიაც, რაც ხელს შეუწყობს ღვინის ხარისხის კონტროლს. უნდა ითქვას, რომ ამ დროის პრესაში ხშირად არის ხაზგასმული ღვინის ბუნებრიობისა და ნატურალურობის საკითხი, რაც, ალბათ, ცალკე მოკვლევას საჭიროებს.

საინტერესოა ადგილობრივ თემებში კრების აქტივობა. ინფორმაციის მიწოდებითა და ცნობიერების ამაღლებით, ის სტიმულს აძლევს სხვადასხვა პროცესს. საუკეთესო მაგალითია სოფ. კარდენახი, სადაც მეურნეების მოთხოვნით, მთავრობის მიერ დაარსდა სამეურნეო სასწავლებელი: „სოფ. კარდანახის მცხოვრებლებმა (კახეთში) აღძრეს შუამდგომლობა მიწათ-

მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა სახელმწიფო ნაციონალურ მამულში „კარდანახ“-ში (შერემეტევისეული) გაიხსნას მეურნეობის პრაქტიკული სასწავლებელი. სამინისტრო შუამდგომლობას დიდის თანაგრძნობით მოეკიდა. საერთო კრება ფინანსდება სხვადასხვა კოოპერატივებისა და ამხანაგობების მიერ, რომლებსაც ის, თავის მხრივ, იყენებს საგანმანათლებლო თუ სხვა, ზემოაღნიშნული მიზნებისთვის. მაგალითად, როგორც ჟურნალი „ვაზი და ღვინო“ იუწყება „დღევანდლამდე ფული შემოიტანეს: „კახეთმა“ 10,000 მან., „კავშირთ-კავშირმა“ – 15,000მ., „ძმობამ“ – 1,000 მ. და „კახურმა ღვინომ“ – 1,000 მან“. აქ აღსანიშნავია სხვადასხვა გაერთიანების სულისკვეთება და გაცნობიერებული მზაობა, საკუთარი რესურსი ჩადონ საერთო სფეროს განვითარების ხელშესაწყობად. შთამბეჭდავია საერთო კრების წევრების რაოდენობა, რომელიც 4 200 მევენახე-მეღვინეს შეადგენს.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის დასაწყისში მეღვინე-მევენახეები საკმაოდ აქტიურად ცდილობენ საკუთარი სფეროს განვითარებას. არ ზოგავენ რესურსსა და დროს, რომ წვლილი შეიტანონ ამ პროცესში. საინტერესოა გაერთიანებების ზომები, საქმიანობის სფეროები, მასშტაბები, სპეციალიზაცია და მიმართულებები, თუ რამდენად მრავალმხრივია მუშაობა. როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროის მეღვინე-მევენახეების გამოცემებში ზოგჯერ საკმაოდ ემოციურ მიმართვებსა და წერილებსაც ვხვდებით, რაც თავისებურ ეშხსა და მუხტს მატებს ამ მასალებზე მუშაობს.

>>

ღვინისა და ყურძნის ბაზარი ქუთაისში

ფოტო: საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,
საზოგადოებრივი არქივი

C

გამოყენებული ლიტერატურა

გულგულას კომუნა

საარქივო დოკუმენტები:

↳ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ილია ნაკაშიძის პირადი ფონდი. საქმე #295. Крестянская коммуна Гул-Гула в Кахетий.

↳ საქართველოს ეროვნული არქივი: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი: ფონდი #153, ანაწერი #1, საქმე #885-1, გვ.101, გვ. 116; ფონდი #156, ანაწერი #3, საქმე #68, გვ. 10; თელავის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი #4315, საქმე #7, საქმე #8. (დოკუმენტები მოიძია თეიმურაზ ვახტანგაშვილმა).

წიგნები:

↳ სოფელი გულგულა (რამდენიმე ეპიზოდი ქართული სოფლის ისტორიიდან), ზაალ გიგიტელაშვილი, ბიძინა ნანობაშვილი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010 წელი

გაზეთები:

↳ ცნობის ფურცელი, #2982, 19.01.1906 წ. გვ. 1, 3-4.

↳ მეგობარი, #16, 13(25).10.1906 წ. გვ. 2.

↳ ისარი, #26, 6.02.1907 წ. გვ. 2.

ჟურნალები:

↳ თეატრი და ცხოვრება, #8, 1919 წ. გვ. 16.

↳ შრომა, #1, სექტემბერი, 1922 წ. ნაროდნიკული იდეები და ჩვენი სინამდვილე. გვ. 13-15.

↳ ცისკარი, #4, 1976 წ. პირველი კომუნა, მრელაშვილი გ. გვ. 95-98.

↳ დროშა, #7, 1977 წ. გულგულას კომუნა, მარკოზაშვილი შ. გვ. 10-11.

ზეპირი ისტორიები:

↳ მალხაზ ალუდაშვილის ზეპირი ისტორია; ინტერვიუერი – ირაკლი ხვადაგიანი. თელავი, 28.06.2015 წ.

↳ იოსებ გიგიტელაშვილის ზეპირი ისტორია; ინტერვიუერი –

ირაკლი ხვადაგიანი, ზაზა კოლელიშვილი, მალხაზ ალუდაშვილი. გულგულა, 28.06.2015 წ.

სოფელ აკლევის მოდერნიზაცია

წიგნები:

↳ კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბი, ჟღენტი გ.ნ., შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1959 წელი.

ჟურნალები:

↳ კავშირი, #13-14, 1920 წელი, გვ. 20-21.

გაზეთები:

↳ ივერია, #194, 13-09-1892 წელი, გვ. 2-3; #192, 10-09-1894 წელი, გვ. 2; #153, 20-07-1895 წელი, გვ. 2-3; #458, 18-02-1898 წელი, გვ. 3; #212, 30-09-1901 წელი, გვ. 3; #183, 28-08-1902 წელი, გვ. 2.

↳ ცნობის ფურცელი, #1864, 12-07-1902 წელი, გვ. 2.

↳ მეგობარი, #13, 10-10-1906 წელი, გვ. 3.

↳ გრიგალი, #4, 13-09-1906 წელი, გვ. 2; #9, 20-09-1906 წელი, გვ. 2; #12, 23-09-1906 წელი, გვ. 3.

↳ ისარი, #36, 17-02-1907 წელი, გვ. 3-4.

↳ სახალხო ფურცელი, #674, 14-08-1912 წელი, გვ. 2-3.; #675, 15-08-1912 წელი, გვ. 2-3.

↳ Возраждение, #156, 03-08-1918 წელი, გვ. 2-3; #158, 06-08-1918 წელი, გვ. 2-3.

გურიის სახალხო ბიბლიოთეკა

საარქივო დოკუმენტები:
↳ ჩემი არქივი, ზაქარია ჩიჩუა, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი #2135 (ზაქარია ჩიჩუას პირადი ფონდი), ანაწერი #1, საქმე #1.

წიგნები:
↳ მოგონებები, ისიდორე რამიშვილი, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი 2012 წელი.
↳ მასალები აკეთის თემის კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ისტორიის შესახებ (სკოლა, ბიბლიოთეკა, ეკონომიკური სიდუხჭირე 1876-1904 წლებში), მურვანიძე-ვადაჭკორია ლია, თბილისი, 2008 წელი.

გაზეთები:
↳ ტალღა, #12, 12(25)-08-1906 წელი.
↳ წყარო, #17, 16-11-1907 წელი.
↳ ჩვენი გზა, #19, 27-09-1907 წელი.
↳ ლახვარი, #43, 03-06-1907 წელი.
↳ ეკალი, #8, 10-09-1908 წელი.
↳ ჩვენი საქმე, #6, 11-02-1909 წელი. #31, 11-04-1909 წელი. #32, 12-04-1909 წელი.
↳ მომავალი, #46, 16-10-1909 წელი.
↳ საქმე, #33, 03-11-1910 წელი.

ჟურნალები:
↳ თეატრი და ცხოვრება, #3, 17-01-1916 წელი.
სახალხო მოღვაწე მასწავლებელნი: არსენ სიმონის ძე წითლიძე. ა. შუბნელი და იერემია გულისაშვილი.
↳ ლიტერატურული აჭარა, #2, 1966 წელი.
ლავრენტი წულაძე.

სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“

საარქივო დოკუმენტები:

↳ საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი #153, ჩანაწერი #3 – ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ფოტო-კარტოთეკა.

↳ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ზაქარია ჭიჭინაძის პირადი ფონდი, „იმერეთის მწიგნობრობის ისტორიისათვის – ისიდორე კვიცარიძე“.

↳ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი, ფონდი #6, საქმე #3454. ფონდი #8, საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სამეულის (ე.წ. ტროიკა) სხდომის ოქმები.

გაზეთები:

↳ ისარი, #50. 07.03.1907. გვ. 3; #72. 01.04.1907. გვ. 3; #104. 16.05.1907. გვ.3-4; #69. 29.03.1907. გვ. 1; #14. 26.04.1907. გვ. 4;

↳ ფონი, #1. 06.09.1909. გვ.1; #9. 01.11.1909. გვ.1-2;

↳ ჩანგი, #13. 18.07.1909. გვ.4

↳ ამირანი, #134. 15.08.1908. გვ.3-4; #135. 17.08.1908. გვ.1-2

↳ ჩვენი ხმა, #17. 22.01.1908. გვ.3

↳ შრომა, #66. 25.01.1906. გვ.4

↳ იმედი, #13. 23.10.1908. გვ.3

↳ ტალღა, #7. 06.08.1906. გვ.3-4

↳ ცისკარი, #7. 28.10.1907. გვ15-16; #8. 04.11.1907. გვ.14-16

↳ ცნობის ფურცელი, #1667. 11.12.1901. გვ.2; #1809. 15.05.1902. გვ.3; #1967. 28.10.1902. გვ.2;#2159. 23.05.1903. გვ.3

↳ ივერია, #98. 12.05.1899. გვ.1

↳ კომუნისტი, #225. 01.10.1922. გვ.3

ჟურნალები:

↳ საგლეხო კალენდარი,1907. გვ. 117-120

საპაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“

ჟურნალები:

↳ „მეურნე“, #8, 1895 წ. გვ. 7-8; #9, 1895 წ. გვ. 6-8;

↳ „კოოპერაცია“, #10, 30-08-1911 წ. გვ. 12-13.

↳ „კვალი“, #9, 1895 წ. გვ. 1-2.; #10, 1895 წ. გვ. 1-2; #24, 1895 წ. გვ. 6; #8, 1896 წ. გვ. 132-133; #11, 1896 წ. გვ. 185-187; #22, 1896 წ. გვ. 371-372; #11, 1897 წ. გვ. 236; #25, 1897 წ. გვ. 478-480; #39, 1897 წ. გვ. 701-703; #7, 1898 წ. გვ. 127; #9, 1898 წ. გვ. 154-156; #10, 1898 წ. გვ. 170-174; #11, 1898 წ. გვ. 181-183; #12, 1898 წ. გვ. 204-206; #14, 1898 წ. გვ. 242-246; #9, 1900 წ. გვ. 138; #10, 1900 წ. გვ. 155-156; #13, 1900 წ. გვ. 210-211; #31, 1900 წ. გვ. 490; #18, 1901 წ. გვ. 494; #21, 1901 წ. გვ. 550-552; #3, 1902 წ. გვ. 53-54; #5, 1902 წ. გვ. 78-80, გვ. 87; #14, 1902 წ. გვ. 226; #15, 1902 წ. გვ. 241; #20, 1902 წ. გვ. 320-322; #21, 1902 წ. გვ. 342.

გაზეთები:

↳ „ცნობის ფურცელი“, #1, 20-10-1896 წ., გვ. 1-2; #34, 22-11-1896 წ., გვ. 3; #40, 28-11-1896 წ., გვ. 2; #43, 01-12-1896 წ., გვ. 4; #45, 03-12-1896 წ., გვ. 3; #46, 04-12-1896 წ., გვ. 4; #52, 10-12-1896 წ., გვ. 3; #60, 18-12-1896 წ., გვ. 3; #62, 20-12-1896 წ., გვ. 4; #78, 08-01-1897 წ., გვ. 3; #102, 01-02-1897 წ., გვ. 2; #109, 08-02-1897 წ., გვ. 2-3; #121, 20-02-1897 წ., გვ. 2; #134, 06-03-1897 წ., გვ. 2; #136, 08-03-1897 წ., გვ. 2; #144, 16-03-1897 წ., გვ. 3; #159, 01-04-1897 წ., გვ. 1-2; #168, 11-04-1897 წ., გვ. 2; #169, 13-04-1897 წ., გვ. 2; #173, 19-04-1897 წ., გვ. 1-2; #192, 11-05-1897 წ., გვ. 2; #209, 27-05-1897 წ., გვ. 2-3; #213, 31-05-1897 წ., გვ. 3-4; #217, 06-06-1897 წ., გვ. 2; #222, 11-06-1897 წ., გვ. 2; #229, 18-06-1897 წ., გვ. 2-4; #232, 21-06-1897 წ., გვ. 3; #259, 19-07-1897 წ., გვ. 2; #330, 04-10-1897 წ., გვ. 3; # 337, 11-10-1897 წ., გვ. 3; #341, 15-10-1897 წ., გვ. 3; #382, 26-11-1897 წ., გვ. 2; #389, 03-12-1897 წ., გვ. 2; #402, 16-12-1897 წ., გვ. 2; #450, 08-02-1898 წ., გვ. 3.; #453, 11-02-1898 წ., გვ. 3; #461, 21-02-1898 წ., გვ. 4; #462, 22-02-1898 წ., გვ. 4; #463, 24-02-1898 წ., გვ. 4. #475, 08-03-1898 წ., გვ. 4; #477, 10-03-1898 წ., გვ. 4; #480, 13-03-1898 წ., გვ. 4.; #482, 15-03-1898 წ., გვ. 4; #484, 17-03-1898 წ., გვ. 2; #485, 18-03-1898 წ., გვ. 2-3.

#521, 30-04-1898 წ., $_{\text{ვ3}}$. 3; #570, 28-06-1898 წ., $_{\text{ვ3}}$. 2; #708, 19-12-1898 წ., $_{\text{ვ3}}$. 2-3; #837, 09-06-1899 წ., $_{\text{ვ3}}$. 3-4; #848, 22-06-1899 წ., $_{\text{ვ3}}$. 1; #872, 21-07-1899 წ., $_{\text{ვ3}}$. 1; #919, 19-09-1899 წ., $_{\text{ვ3}}$. 2; #971, 25-10-1899 წ., $_{\text{ვ3}}$. 2; #1053, 25-02-1900 წ., $_{\text{ვ3}}$. 1;
#1329, 16-12-1900 წ., $_{\text{ვ3}}$. 4; #1383, 16-02-1901 წ., $_{\text{ვ3}}$. 3; #1443, 22-04-1901 წ., $_{\text{ვ3}}$. 4; #1502, 22-06-1901 წ., $_{\text{ვ3}}$. 4; #1708, 26-01-1902 წ., $_{\text{ვ3}}$. 4; #2192, 26-06-1902 წ., $_{\text{ვ3}}$. 3; 2429, 05-03-1904 წ., $_{\text{ვ3}}$. 3.

↳ „ივერია“, #195, 12-09-1893 წ. $_{\text{ვ3}}$. 1; #258, 28-11-1893 წ. $_{\text{ვ3}}$. 1; #97, 07-05-1895 წ. $_{\text{ვ3}}$. 1; #112, 01-06-1895 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #227, 20-10-1895 წ. $_{\text{ვ3}}$. 2-3; #52, 06-03-1896 წ. $_{\text{ვ3}}$. 1; #57, 12-03-1896 წ. $_{\text{ვ3}}$. 3-4; #71, 03-04-1896 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #80, 13-04-1896 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #23, 12-02-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 1-2; #84, 02-05-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #98, 18-05-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #115, 13-06-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 3-4.; #128, 28-06-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 2-3; #172, 22-08-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 1-3. #208, 28-10-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #260, 16-12-1897 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #32, 12-02-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 2-3; #38, 21-02-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 2-3; #40, 24-02-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 2-3; #42, 26-02-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #50, 07-03-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #67, 28-03-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 3; #107, 23-05-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #113, 31-05-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 2-3; #114, 02-06-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 3; #123, 12-06-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #107, 23-05-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #214, 07-10-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #263, 09-12-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #256, 01-12-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #280, 31-12-1898 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #48, 05-03-1899 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #90, 01-05-1899 წ. $_{\text{ვ3}}$. 1; #96, 09-05-1899 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #110, 27-05-1899 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #149, 15-06-1899 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #253, 24-11-1899 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #49, 07-03-1900 წ. $_{\text{ვ3}}$. 3; #50, 08-03-1900 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #59, 17-03-1900 წ. $_{\text{ვ3}}$. 4; #39, 20-02-1901 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #104, 16-05-1901 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #147, 08-07-1901 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #20, 26-01-1902 წ. $_{\text{ვ3}}$. 2; #30, 06-02-1902 წ. $_{\text{ვ3}}$. 2-3.

მევენახე-მეღვინეთა გაერთიანებები

წიგნები:

↳ "საუფლისწულო მამულები კახეთში 1885-1921 წწ.", თენგის ჩხეიძე, 1968, გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი

↳ "მევენახეობა და მეღვინეობა", N1-4, 1919-1920 წწ., ი. კილაძის სტამბა, ქუთაისი

ჟურნალები:

↳ "ვაზი და ღვინო", N 1-11, 1920 წ. ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა, თბილისი

დოკუმენტები:

↳ კახელ მევენახეთა "კავშირთ-კავშირის" წესდება. თბილისი, ქალაქთა კავშირის სტამბა, 1919 წ.

↳ კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ გლეხთა ამხანაგობა "კახეთის" წესდება, 1908 წ., თბილისი

თეატრის მშენებლობა სოფელ ქვემო მაჩხაანში

ფოტო: კულტურული მემკვიდრეობის
არასამთავრობო მონიტორინგი

პუბლიკაცია „ინიციატივა ცვლილებებისათვის“ მომზადდა პროექტის – „თანამშრომლობა ძლიერი სოფლისათვის“ ფარგლებში; პროექტი განხორციელდა სათემო განვითარების ცენტრისა (CDC) და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისის (CCA Tbilisi) მიერ, ფონდის – „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით.

გამოცემულია ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით. მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

პროექტის პარტნიორები: სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი. პროექტი ასევე თანამშრომლობს თბილისის მეორე საერთაშორისო ხელოვნების ტრიენალესთან „თვითორგანიზებადი სისტემები“.

პროექტის გუნდი: ანა მარგველაშვილი (CDC); ვატო წერეთელი (CCA Tbilisi);

მკვლევართა გუნდი: ირაკლი ხვადაგიანი, დავით ხვადაგიანი (საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია); დიანა კაკაშვილი, თამარ სიხარულიძე, პაატა ალავერდაშვილი (კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი).

სტილი და კორექტურა: ქეთევან ინწკირველი, ქეთევან გოგობერიშვილი;

დიზაინი: მანანა არაბული / zangodesign

დაკაბადონება: მაგდა ცოცხალაშვილი;

@ სათემო განვითარების ცენტრი, თბილისი, 2015
ISBN: 978-9941-0-8204-7